„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№7 (235)
ივლისი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## ირაკლი აბაშიძე

# მესხეთს



უფრო მხურვალედ,
ვიდრე არასდროს,
მინდა გემთხვიო და გეთაყვანო,
ათას ავდარში,
ათას ვარამში
შენ, დაუშლელო, ჩვენო აკვანო!



მინდა ხერთვისში, თმოგვში,
ხანძთაში
შენი ზეიმის მოსვლა გახარო,
ათას გრიგალში, ათას ხანძარში
დაუნგრეველო ჩვენო სახლ-კარო!



შენ, ჩვენო ფესვო,
მარად ცოცხალო,
ბრძენო რაინდო,
ტბილსაჭვრეტელო,
ჩვენი სასახლის ხუროთმოძღვარო,
ჩვენი გვირგვინის ოქრომჭედელო!



ჩვენი გონების
გაშლის,
განფენის,
ჩვენი კაცობის ძველო თავდებო,
ჩვენი სიმღერის და ალმაფრენის,
ჩვენი დიდების ფუძის დამდებო!



მინდა,
შენს მთებთან თავი დავხარო,
უხვად შეგმოსო ვარდის სამოსით;
მინდა,
ზეიმი ჩვენი გახარო,
მკერდში ჩაგეკრა ამ მისალოცით.



მინდა,
პირნათლად თვალში შეგხედო,
შუქო, უკვდავო, უკვდავ ელვისა...
ჩემო მესხეთო,
ჩემო მესხეთო,
მშობელო მიწავ რუსთაველისა!..

# ლეგენდის ჩრდილი

*(ცოტა რამ გელათის მონასტრის სახელწოდების წარმოქმნისა და ცვლილების შესახებ)*

## იოსებ მერაბიშვილი



რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ **დავით აღმაშენებელი** დაარწმუნა, რომ საქართველოში უნდა შექმნილიყო ისეთი სოციალ-ეკონომიკური პირობები, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა საკუთარი საგანმანათლებლო სისტემა. სხვა ღონისძიებათა გარდა, 1106 წელს, მისი ხელმძღვანელობით დაიწყო იმ დიდი საგანმანათლებლო კერის აგება, ან უფრო სწორად, აღდგენა, რომელიც დღევანდელობაში გელათის სახელით არის ცნობილი.

გელათი სამონასტრო კომპლექსი იყო, სადაც, ამავდროულად, მეფეთა სამარხსაც და სამიწათმოქმედო ერთეულსაც წარმოადგენდა, ამავე დროს, საგანმანათლებლო ცენტრადაც ითვლებოდა და სნეულთა და დავრდომილთა თავშესაფრადაც (ე.წ. სოხასტერად). ამიტომ ასეთ რთულსა და კომბინირებულ ნაგებობას, რომელიც, ერთდროულად, რამდენიმე ფუნქციის მატარებელი იყო, არ შეიძლებოდა „გელათი“ თავიდანვე რქმეოდა.

სიტყვა „გელათი“ არაფერს არ ნიშნავს, ქართველებს კი ტრადიციად ჰქონდათ, „ნათლობის“ ასეთ შემთხვევაში, გამოერკვიათ, დაედგინათ, სახელდასარქმევის ძირითადი არსი, მთავარი დამახასიათებელი, რომელსაც, ამა თუ იმ ვარიანტით, სახელწოდებაში მის რაობას ჩადებდნენ.

სიტყვა გელათი რომ არაფერს ნიშნავს, ქართველებს დიდი ხანია შეუნიშნავთ, მაგრამ, ამ მხრივ, კვლევა-ძიება არ ჩატარებულა, დასკვნა კი არსებითად ერთპიროვნულად გამოთქმულ აზრს წარმოადგენს.

ეს მოსაზრება გამოსავალს ეძებს არა ქართულ ნიადაგზე. ცხადია, ასეთი დასკვნები არ იქნება შეცდომისაგან დაზღვეული. მაგალითად, **დავით ღამბაშიძე** ასკვნის, რომ ***„სიტყვა გელათი არაფერს ნიშნავს, მას გაენათი ეწოდებოდაო“,*** მაგრამ იგი ამის დასაბუთებას ბერძნულ წყაროებში ეძებს. უნდა მივიჩნიოთ, რომ მას ეს არც გაემტყუნება. მაშინ მოდად იყო ქცეული, ყველაფრის დასაბამი ბერძნულ, ან ლათინურ ენებში ეძიათ:

ღამბაშიძე დეკანოზი იყო, მან, როგორც სასულიერო პირმა. გვერდი აუარა გელათში საგანმანათლებლო ცენტრის – აკადემიის არსებობას, წინა პლანზე წამოსწია რელიგიური მოტივები. მისი აზრით – ***„სიტყვა გაენათე წარმომდგარა ბერძნული სიტყვის გენიაფლიაკონისაგან და ნიშნავს დაბადებას. ალბათ ასეთი სახელი ეწოდა მონასტერს იმის გამო რომ, მონასტრის უმთავრესი ტამარი არის აღმშენებელი ღვთის მშობლის დაბადების სახელზეო“.***

ზერელეა ასეთი მსჯელობა. როგორც ჩანს, არც ავტორი ყოფილა მასში დარწმუნებული და სიტყვა „ალბათ“ მოუშველებია. ჩვენ გვინდა დავუბრუნდეთ იმ უფრო ძალღვმაგარ ფაქტორს, რომელსაც მაშინდელ გელათში ჰქონდა ადგილი. ეს არის უმაღლესი სასწავლებელი – „გელათის აკადემია“.

როგორც იმდროინდელი მდგომარეობის ანა-

დასასრული მე-11 გვ. ▶

# ლიტერატურული კონკურსი



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა „ლიტერატურულ მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

პირველი პრემია – 1000 ლარი – ასპინძის მერიისაგან;

მეორე პრემია – 500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;

ორ-ორი მესამე პრემია – 400-400 ლარი – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია – 400 ლარი, ნომინაციაში – რელიგიურ თემატიკაზე – ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის ქართული უნივერსიტეტისაგან.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება ვარძიაში – „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის სექტემბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

# მონადირის დღიურიდან, ანუ დიალოგი შვილთან



**ვახტანგ გურგენიძე**

სვანეთში, დალის მთის კალთებზე, სამი დღე და ღამე ნადირობაში გავატარეთ. ისე მოსპობილა საჯიხვეთი, რომ მხოლოდ ორმა არჩვმა გადაგვირბინა. მეოთხე დილით, მე და ჩემი მეგობარი, მშიერ-მწყურვალები, მივადექით იქვე, ერთი სოფლის „საზაფხულო საძოვრების“ ფერმას. გულკეთილმა სვანებმა შეგვიპატიჟეს და დაგვაპურეს. კარავში, სადაც ჩვენ გავჩერდით, რამდენიმე წიგნიც იდო მაგიდაზე. ერთ-ერთი შევარჩიე და თვალიერება დავიწყე. იქვე მყოფმა, ფერწასულმა გოგონამ, გადმომხედა და წყენით წარმოსთქვა: „მაგის დამწერს, ხელში რომ ჩამივარდეს, მე ვაჩვენებდი სეირსო“! მას კვერი სხვებმაც დაუკრეს:

– რაშია საქმე-მეთქი, – შევეკითხე.

– წაიკითხეთ და მიხვდებით! – ასეთი სვანეთი არავის გაუგონია, როგორც მანდაა დაწერილი.

დავინტერესდი, გარეთ გამოვედი, ცოტა მაღლობზე ავინაცვლე, ერთი დიდი ფიჭვის ძირზე მოვთავსდი და დავიწყე სვანების მიერ „დაწუნებული“ წიგნის კითხვა...

ძროხების წველის დამთავრების შემდეგ, კარავს დავუბრუნდი. შესასვლელთან რამდენიმე სვანი ახალგაზრდა შემომეგება და შემეკითხნენ:

– ახლა გვითხარით, ასეთია სვანეთი?

– აბა, შეხედეთ კავკასიონს, უშბას, თეთნულდს, სვანეთის ქედს. ისინი, უმეტესად, ბურუსში არიან გახვეულები! ალბათ, ამ წიგნის ავტორმა, მაშინ იმოგზაურა სვანეთში, როცა აქაურობა ნისლით იყო დაფარული, – ორაზროვნად ვუპასუხე და მაღლაფერიძის წიგნი „უშბა“ თავის ადგილზე დავდე.

წამოვედი მესტიისკენ. გზა-ბილიკებიდან გავყურებდით საოცნებო კავკასიას გოროზად, როგორც ჩოხის კალთებს გადმოჰყურებდა მყინვარით მოსილ გარემოს, სადაც მიიკლაკნებიან პატარა ნაკადულები და შემდეგ მშობლისაგან მოწყვეტილნი, თანდითანობით ერთდებიან და აბობოქრებულნი მიარღვევენ ხევსა და ღელეებს...

საღამო ჟამს ერთ სოფელს მივუახლოვდით. გადავწყვიტეთ ღამეც იქ გაგვეთენებინა. მიმართულება სოფლის ცენტრისკენ ავიღეთ და... ერთ-ერთი პედაგოგის ოჯახის სტუმრები შევიქენით. ეს ისე ბუნებრივად მოხდა, რომ არც მასპინძელს და არც მის დაუპატიჟებელ სტუმრებს უგრძვნიათ რაიმე უხერხულობა. ამ სახლში ცხოვრობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მარტოხელა დედაკაცს იმ დღეს, დიდი სიხარული ედგა ოჯახში, მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც დიდი ხანია ბარში გადასახლებულა, დედასთან იყო „სტუმრად“...

ვახშმობის შემდეგ, ჩვენ მეორე „სასტუმრო“ ოთახში მოგვათავსეს და თვითონ ძველებურ, კოშკისძირა ოდაში დარჩნენ.

მთელი ღამის განმავლობაში, თითქმის არ შეუწყვეტიათ დედაშვილს საუბარი. ჩვენ შორის კედლის ღია ფანჯარამ „შესაძლებლობა“ მოგვცა ყველაფერი მოგვესმინა. მოგვიტეოს ჩვენმა ძვირფასმა მასპინძელმა, თუ მათი გულისნადები საჯაროდ გამოვიტანეთ. ეს დიალოგი დღევანდელი მთისა და ბარის სატკივარია, თავისებური გოდება ეპოქისა:

– არა, ჩემო საყვარელო შვილო! ამირანი რომ არ გაჩენილიყო, იმ ღმერთგამწყრალს ცეცხლი რომ არ მოეპარა ყოვლისშემძლისათვის, დღეს უფრო ბედნიერიც და მრავალრიცხოვანიც ვიქნებოდით. თუ არა ამირანი, ჩვენც და მომავალ თაობასაც შემოგვრჩებოდა სოფელი, გვექნებოდა სუფთა ჰაერი, ანკარა წყალი და შეუბღალავი ჩვენი მარჩენალი მიწა. ბუნების წიაღში მარად იარსებებდა ყოველივე სიკეთე – „პური ჩვენი არსობისა“. არ განადგურდებოდა სოფელი და მასთან ერთად ცხოველთა და მცენარეთა სამყარო.

– კი, მაგრამ, ძვირფასო დედა, ჩემთვის გაუგებარია, მაინც რა შუაშია აქ ამირანი?

–ჰმ, თქვენს გამონათქვამს ვიმეორებ, შვილო! თქვენ არ გაიძახით, რომ „ამირანის ცრემლებისგან ბობოქარ ენგურზე ავაგებთ ახალ შუქურას და ახალ-ახალ სასწაულებს მოვახდენთო?.. გავიწყდებათ, რომ „ამირანის ცეცხლისაგან“ შექმნილმა ამ „სასწაულებმა“ მოსპო არა მარტო ბუნება, არამედ, ჩვენი მარჩენალი სოფელიც. დიახაც, თქვენი შემყურე, ბობოქრობს, ტირის და ჰგოდებს ჩვენი უპირველესი წინაპარი ამირანი და გვევედრება – „მე, ღმერთმა სიკეთისათვის მიმაჯაჭვა, მაწამა, მთები თავზე დამადგა, ორბი და ხალიბაური მჭედლები დარაჯად დამიყენა... თქვენ კი ამ ცეცხლით სპობთ ყველაფერს, სწვავთ დედამიწას... მეყო ორნაირი ტანჯვა, წამებაც და სირცხვილიც, გამათავისუფლეთ, მომხსენით ბორკილები და კვლავ დაგიბრუნებთ მშვიდობას, სიხარულს, სიყვარულს...“ თქვენ კი, შვილო ჩემო, ამირანის გოდებას და თხოვნას, ორაზროვნად და, ამავე დროს, დამცინავად ასე პასუხობს: – „არა და არა! ვერ შეგვაცდენო...“

– დედავ, ძვირფასო! შენ, როგორც მასწავლებელი, თითქმის სამოცი წელი არ უკიჟინებდი ბავშვებს, სოფლის ხალხს, რომ სხვა დროა, სხვანაირად მიდის საქმეო. დღეს, ნამდვილად ჩვენი ქვეყნისთვის ახალი ეპოქაა, დღეს მთავარია ბუნების რესურსების მთლიანი გამოყენება... ამიტომ ღიმილს იწვევს შენი, ძვირფასო დედა, ვიწრო-ეროვნული შეზღუდულობა, – რა დროს დაცარიელებულ სოფელზე ფიქრია, ან რას იძლევა შენი გადახრუკული მთის სოფლები?! რაც შეეხება ბუნებას, ნუ დარდობ, ჩვენც, ჩვენს შვილიშვილებს და მათ შვილთაშვილებსაც ეყოფა. მერე თუ საჭირო შეიქმნება, გამოვიყენებთ ოკეანეებს, მზის ენერგიას, პლანეტებს. დღეისათვის კი ყველაფერი – „ამირანის ცეცხლიც და მისი ცრემლებიც“, ბუნებაც და მშობლიური სოფელიც, მთელი ჩვენი ძალაც და ენერგიაც, – უნდა ემსახურებოდეს საერთო მიზანს!

– როგორ ცუდი აგიტატორივით მელაპარაკები, შვილო! როგორ არ ვიცი, რომ საჭიროა დიდი მშენებლობები; საჭიროა დედამიწის გულიდან ამოვიღოთ სიმდიდრე და ხალხის კეთილდღეობას მოვახმაროთ, რომ აუცილებელია ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენება, მაგრამ ეს უნდა იყოს მოფიქრებული, გეგმაზომიერი, რომ ერთმა საქმიანობამ მეორე არ დააზარალოს... მე, შვილო, კარგად იცი, რომ სოფელში, ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის გარდა, გეოგრაფიასაც ვასწავლიდი, ცოტა რამ მეც გამეგება ამ საქმეში. დედამიწაზეც და საზოგადოებაშიც, რაც კი რამ ხდება ცუდი, შეუსაბამო, საბოლოო ანგარიშით, ყველაფერში ადამიანია დამნაშავე. ის არღვევს ბუნებასთან ღვთით დადგენილ კავშირს, ის უხეშად ერევა საუკუნეების მანძილზე დაკანონებულ ჰარმონიაში; განსაკუთრებით დამნაშავეა, როცა ბუნებაზე ზემოქმედებით დროს, ანგარიშს არ უწევს არაფერს, არც დღევანდელ და არც ხვალინდელ დღეს, ივიწყებს ისტორიის გაკვეთილებს... სხვანაირია, შვილო, ეს დალოცვილი ბუნება, – კარგად მოეპყრობი, ისიც ერთი ათად გადაგიხდის, გაგახარებს, მტრულად მოექცევი და, ისიც მთელი თავისი მრისხანებით, არ გაპატიებს, არ დაგინდობს, სამაგიეროს გაზღვევინებს, მიწასთან გაგასწორებს, წაგლეკავს, დაგწვავს, შიმშილისაგან სულს ამოგხდის. ხომ ხედავ, მთელი სიმკაცრით გვპასუხობს ბუნება ამჟამადაც, როცა მოუფიქრებლად ვაშრობთ ჭაობებს, გაუმართლებლად ვანადგურებთ ტყეებს, უანგარიშოდ ვქაჩავთ ბუნების წიაღიდან ღვთით მომადლებულ სხვადასხვა საბადოებს... ასეა საზოგადოებაც. აქაც დარღვეულია, თუნდაც მუშახელის ჰარმონია... ამან გამოიწვია ბარისა და მთის სოფლების დაცარიელებაც. შენ რაღა გაგამტყონო, შვილო, და აი რას წერენ ოფიციალური პირები გაზეთებში, მე ეს ამონაწერები შევინახე, რომ ურწმუნოები დამერწმუნებინა. აი სიტყვა-სიტყვით რაა მოთხრობილი: თურმე, ჩემნაირი შეუგნებლები, ყოველი ახალი ქარხნის თუ ახალი გზის, გვირაბისა თუ ჭაბურღილის კოშკურის მშენებლობას, ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფად მიიჩნევენ; თურმე, ვერ გაგვიგია, რომ, აქამდე, არნახული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ყოველგვარი ეროვნული ინტერესები მეორე რიგში უნდა გადავიტანოთ და ამით უნდა შევძლოთ ყოველგვარი უკიდურესობისაგან თავის დაღწევა... ბუნების სილამაზისათვის თბილისის ახლო-მახლო ნავთის ჭაბურღილები ნაკლებ სასიხარულო მოვლენაა, არც ნავთის სუნია სასიამოვნო და არც გარემოს გაჭუჭყიანება, მაგრამ შეუძლებელია საკუთარი ნავთის მოპოვებაზე უარის თქმა, მითუმეტეს, რომ ბათუმის ქარხანა, რომელიც უკვე საქართველოს გადმოეცა და უკვე ჩვენი ნავთობით აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოთხოვნებს, ორი წლის შემდეგ, როცა დამთავრდება ქარხნის რეკონსტრუქცია, იგი მთლიანდ იმუშავებს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ნავთობზეო... იგივე ითქმის ახლად აღმოჩენილ ბუნებრივ სხვა რესურსებზეცო, სამრეწველო ნედლეულის ბაზის მკვეთრ ზრდაზე, შავი და ფერადი მეტალურგიის წარმოების გადიდებაზე, ქიმიური მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებელი უდიდესი სიმძლავრეების ამოქმედებაზე... და ყოველივე ამისთვის ჩვენს რესპუბლიკას საკუთარი რეზერვები გააჩნიაო. მას არ დასჭირდება მაინცდამაინც ბევრი მუშახელის შემოყვანა რესპუბლიკის ფარგლებს გარედან და ეს უნდა გაკეთდეს ადგილობრივი მოსახლეობის შრომაში უკეთ ჩაბმითო... ადვილი წარმოსადგენია, შვილო, ამდენი მუშახელის კიდევ უფრო მეტი მოზიდვით, რა დაემართებათ ისედაც გაპარტახებულ ჩვენს სოფლებს... არა მგონია რაიმე უშველოს ხალხისაგან დაცარიელებულ არა მარტო მთიანეთს, არამედ ბარსაც, ხოლო მომავალში, ალბათ, კვლავ გაცივდება ასობით, ათიათასობით კერა, როცა საქმეს ვერ უშველის, შვილო, თითო-ოროლა გაპარტახებული მთის სოფლის აღდგენა...

რადგან ამ ქვეყნიდან მეც მალე წამსვლელი ვარ, შვილო, ერთსაც მოგახსენებ: მეცნიერებამ, ტექნიკამ და ბუნების განუკითხავმა გარდაქმნებმა, თავისი თავი გამოააშკარავა. ხშირად სიკეთის ნაცვლად უბედურება დაგვატყდება თავს. თუ ხვდები, რომ ადამიანებიც გარდაიქმნენ, – დედა შვილს დააცილა, ადამიანები ერთმანეთს დააშორა, აღარც ნათესავი, აღარც ნათელმირონი, აღაც მისვლა-მოსვლა... თვეები გავა და კარს არავინ შემოგიღებს. ამ ტექნიკურმა პროგრესმა წარმოშვა უმუშევრობა, შიმშილი, სიღატაკე. იმ სიკეთეს, იმ სიმდიდრეს, რომელსაც ხალხი ჰქმნის, თვითონ მშრომელი ნაკლებად იყენებს. ქვეყნები და ხალხები ერთმანეთს მტრობენ, ეჯიბრებიან ყველაფერში, – ესეც თქვენი ტექნიკის შედეგია. იმისათვის მზადება და მთელი დოვლათის ამ საქმისათვის ხარჯვა, ესეც „პროგრესის“ მიზეზითაა. ვინ-ვის ებრძვის, ან რისთვის ებრძვის, კაცი ვერ გაიგებს. ამიტომაცაა ჩემნაირი უბრალო ადამიანები, ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც, უმწეობისაგან, უპატრონობისგან გამოურკვეველი შიშით ცას შევყურებთ და შველას ღვთისგან მოველით. აი, რა ამივიკითხე ამას წინათ ერთ ახალგამოცემული წიგნიდან: დღევანდელი ადამიანები ისევე უმწეოდ დგანან საკუთარი ნამოქმედარის წინაშე, როგორც ძველი ხალხები სტიქიური კატასტროფების პირისპირო. ძველები, შვილო, ბუნების სასწაულებრივი ძალების წინაშე ლოცულობდნენ, ჩვენ კი, ჩვენივე „ნამოქმედარი“, – ტექნიკური სასწაულები, შიშის ჟრუანტელს გვგვრიან, როცა გავიხსენებთ, რომ მათ შეუძლიათ თვით დედამიწაც ააფეთქონ. ამან დაამკვიდრა შვილო, რწმენის დაკარგვა – ადამიანი ყოვლის შემძლე, უძლურ არსებად იქცა. მას ცალკე თითქმის არაფერი შეუძლია. რწმენის დაკარგვა, შვილო, სიკვდილის თანატოლია. ადამიანს აღარ სჯერა არავისი, გაორებულია, ზოგი პირუტყვის დონემდეა დასული. ხომ გაგიგონია, შვილო, მეფეებიც მაშინ მეფობენ, როცა მრევლიც უდგას მხარში... ამან გამოიწვია ზნეობრივი ხრწნაც. ახლა, იმდენ რამეს წერენ ჟურნალ-გაზეთებში, იმდენ სისაძაგლეს აჩვენებენ ტელევიზორში, რომ ადამიანს თმა ყალყზე დაუდგება, გაგიჟდება...ამიტომაც აიშვა ადამიანმა, გვერდზე დადგა და ამბობს: „მოხდეს რაც მოსახდენია, მე მაინც არავინ არაფერს მეკითხებაო“. ნამეტანი გაშიშვლდა, შვილო, ხალხიც და საზოგადოებაც... ძნელი გამოსაცნობი შეიქმნა, ვინ ცრუობს და ვინ მართალია! როგორც გითხარი, ადამიანები სოდომებად, ორპირებად და ორგულებად იქცნენ. მათ აღარ აფიქრებთ და ადარდებთ არც ხვალინდელი დღე და არც სამშობლო... ამ ქვეყანას რომ უყურებ, მართლაც, საშველი არსაიდან არ ჩანს, სიკეთეს სიავე, სინდისს უსინდისობა, სიყვარულს სიძულვილი სძლევს... კიდევ ბევრი საშინელებაა მოსალოდნელი, შვილო! აი, თუნდაც, გიფიქრია, რა შედეგი მოჰყვება, როცა კაშხალებს დაემუქრება საშიშროება?! და, რამდენი დაგუბებული „ზღვები“ გვაქვს, შვილო, ამიერ და იმიერ ამ პატარა საქართველოში! ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამასაც მოესწროს ჩვენი ქვეყანა!

ისიც გასათვალისწინებელია, შვილო, რომ ამ ქვეყანაზე გამოულეველი არაფერია, ხომ გაგიგონია, ზღვა კოვზით დაილევაო. მე, საერთოდ, მოგახსენებ, თორემ რას წარმოადგენს შენი პატარა საქართველოს რესურსები, ამხელა ქვეყნების წარმოებისათვის, როგორც თქვენ უწოდებთ. ისე კი, ადგილებზე ბუნების ათვისება, საწარმოო ობიექტების მშენებლობა, მუშახელის გამოყენება და სხვა, უნდა ხდებოდეს გეგმაზომიერად, შესაძლებლობისა და მომავლის გათვალისწინებით, რათა არ მოხდეს როგორც ბუნებრივი სიმდიდრის, ისე მოსახლეობისაგან დაცარიელება; არ დავკარგოთ ერის სახე, ჩვენი ხალხის თვითმყოფადობა, საჭიროა შევისწავლოთ გლეხი, შვილო, გლეხი – მიწის მუშა, გლეხი მხვნელთესველი, მევენახე, მებაღე, მეფუტკრე, მწყემსი, მეწისქვილე, მეტყევე. სხვა მხრივ, საქართველო წარმოუდგენელია!

აბა, რა საკადრისია თქვენი ასეთი განცხადება: „ვის რად უნდა შენი მთაგორიანი, გაპარტახებული სოფელიო“? რას მიქვიან გაპარტახებული! რატომ გავიწყდება, რომ საქართველო მთლიანად მთაგორიანია, – სვანეთიც, რაჭაც, ლეჩხუმიც, აფხაზეთიც, აჭარაც, ოსეთიც, იმერეთიც, სამეგრელოც, გურიაც, სამცხე-ჯავახეთიც, თრიალეთიც და ქართლ-კახეთიც. არა, შვილო, სოფლის, თავისი ერის უარმყოფელი, ყველა მტერზე დიდი მტერია, ხომ გაგიგონია? რატომ გავიწყდება, რომ რაც კი რამ არსებობს ამ ქვეყანაზე, რითაც სულდგმულობს კაცობრიობა, რითაც თავი მოგვაქვს, ჩვენ, სოფელშიც გლეხების მიერაა შექმნილო! თქვენ ამბობთ: „სახელმწიფოსთვის მომგებიანი არ არისო ასეთი სოფლები“! – ვინ გითხრათ, ვინ დაგაჯერათ! აბა მოუარეთ, მიუალერსეთ, დაამუშავეთ, ახარეთ, რაც ხარობს და ამრავლეთ, რაც გამრავლდება. ამასთან ერთად, დაუმატეთ დღევანდელი განათლება და მაშინ მიხვდებით, რომ ენგურზე ნაკლები მომგებიანი როდის იქნება თქვენთვის „გაპარტახებული“ სვანეთის სოფლები... მიწა მიწაა, შვილო, ჩვენი და ყველას მარჩენალი, უკვდავებაც და მარადისობაც. სინამდვილეს, როგორც იტყვიან, თვალებში უნდა ჩავხედოთ; ბუნებას, სოფელს... კვლავ უნდა შევიყვაროთ ბუნება, მიწას უნდა მოვეფეროთ. ვიცი, ძნელია, გიჭირთ, შეუძლებლად გეჩვენებათ შეცდომების აღიარება, „უკან დაბრუნება“, მაგრამ უნდა დაუბრუნდეთ სოფელს მთაშიც და ბარშიც. სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა, ქვეყანას განადგურებისაკენ, ხოლო ერს სიკვდილისაკენ წაიყვანს. შენვე უნდა დაუბრუნდე, შვილო, შენსავე სოფელს... უპატრონოდ დარჩენილ ეკლესიის სამრეკლოზე რომ ზარია შემორჩენილი, შენ უნდა შემოჰკრა, შენ უნდა მოუხმო სოფლიდან საშოვარზე გახიზნულთ... როცა დაბრუნდებით მამა-პაპათა ნასახლარზე და „ლილეოს“ დასძახებთ, ორბნიც და არწივნიც გამოჩნდებიან ცაზე, საჯიხვეთს ჯიხვიც დაუბრუნდება, მერცხლებიც მოაკითხავენ უპატრონოდ მიტოვებულ თავიანთი ბუდეების ნანგრევებს...

იმედი არასოდეს დაგვიკარგავს, არც მოხუცს და არც მშობლიურ მხარეს...

დიახ, უნდა დაუბრუნდეთ მამა-პაპისეულ ადგილებს! უნდა დაანთოთ ცეცხლი მათ გაციებულ კერებზე! თქვენმა შვილებმა აქ უნდა მოისმინონ ზღაპრები ამირანზე, აქვე უნდა იმღერონ მრავალჟამიერი და აქვე აითვისონ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი... ნუ შეშინდებით, სოფელი ღონიერია. გული ნუ დაგწყდებათ თუ მიწაც გაოხრებული, გადახრიოკებული დაგხვდებათ...

ამ ბოლო დროს თქვენც ბევრს ლაპარაკობთ სოფლების აღდგენაზე, ბუნების დაცვაზე. ლაპარაკი ვერ უშველის საქმეს...

ხშირად, ჩვენში, გაკვირვებას იწვევს, ერთი მხრივ, მუშახელის მიპატიჟება ქალაქად, მეორე მხრივ – ლაპარაკი სოფელზე, – სოფელს მივხედოთ, ნუ მოვშლით წინაპართა ნაკვალევს, ნუ დავკარგავთ ჩვენს მარჩენალსო, ჩვენ მამაპაპათა საფლავებს... ერთმანეთში ირევა, შვილო, სიტყვა და საქმე. კარგად მახსოვს, როცა ენგურის მშენებლობა დაიწყო, როგორი ქება-დიდებით იხსენიებდნენ ყველას, ვინც სოფლიდან იყრებოდა ოჯახებით. ფილმებიც კი მიუძღვნეს მათ; ხოტბას არ აკლებდნენ ფეხის ხმას აყოლილი მწერლები, მეცნიერები, რომლებიც ამჟამად საწინააღმდეგოს წერენ, – თურმე, ენგურის დაგუბებამ შავი ზღვის სანაპიროს ნგრევა გამოიწვიაო... ნგრევა და უბედურება გენახა, რომ არ ჩაეშალათ ქართველ მამულიშვილებს დარიალისა და მთელი რაჭის დაგუბება ელექტროენერგიისათვის... ასევე შეცდომად ჩაითვლება, ალბათ, ინგირის, ჟინვალის, მინაძის კაშხალებიც. თურმე, თავის დროზე, რუსთავის ქარხნის აშენება თბილისში ყოფილა გათვალისწინებული. ჭკვიანი კაცები რომ არ ჩარეულიყვნენ, ანანურის ისტორიული ძეგლიც წყალქვეშ მოექცეოდაო, რომ რიონის დაგუბებით დავამახინჯეთ, თურმე, ძველის-ძველი ქალაქი ქუთაისიო, ამასაც აღიარებთ, რომ დატბორილი ადგილებით ისპობა სახნავ-სათესი მიწები, ტყე... მიწის ქვეშ არქეოლოგიური ძეგლები... აი რას ნიშნავს, შვილო, თქვენებურად „ამირანის მიჯაჭვა“. არ ვიცი, როგორ მიაჯაჭვეთ საბოლოოდ ამირანი, მაგრამ მჯერა, რომ ამირანია ჩვენი ხალხის სიძლიერის სიმბოლოც და მისი მარადისობაც. იგი პატრონობს დღესაც საქართველოს, შენს უპატრონოდ დარჩენილ სვანურ კოშკებსაც და სოფლებსაც. მე მჯერა თქვენიც! ადამიანს რა გამოულევს ხვალინდელი დღის რწმენას. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმედი! მჯერა, რომ ქვეყანას, ხალხს, დაუბრუნდება რწმენა. ეს იქნება „ამირანის გათავისუფლებაც“ და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებაც. ამ იმედით წავალ, შვილო, ამა ქვეყნიდან და ამავე სულისკვეთებით შევხვდები საიქიოში, – „დაცემულ ანგელოზის“ სამყაროში ჩემს ღირსეულ წინაპრებს. მჯერა, შვილო, რომ საუკუნეობრივი ჯვარცმისაგან ტანჯულ საქართველოში, მის ყველა კუთხეში, მარად ენთება ქართველი ერის უკვდავების სანთელი და მარად იმეფებს ყოვლისშემძლე იმედი ამირანის განთავისუფლებისა; მარადიულად იგუგუნებს „მამლი მუხასა“, „ლილეო“ და „მრავალჟამიერი“!

არ დაგავიწყდეს, შვილო, რომ ჯერ კიდევ თავისი სახე არ დაუკარგავს ზეცას და მიწას, ჯერ კიდევ არსებობს სიკეთე და სინათლე, ჯერ კიდევ მძლავრობს ყოვლის შემძლე სიყვარული! დაე, იცოდნენ მათაც, ვისაც აღარ სჯერათ სიყვარულის ძალა და ძლიერება, რომ ისინი საცოდავი ცოცხალი მკვდრები არიან თავიანთი ქვეყნისთვის. დადგება დრო, შვილო, როდესაც სიმართლე და სიყვარული გაიმარჯვებს, – სიყვარული იხსნის ყველას სოციალური უთანასწორებისაგან, ყოველი ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან, ომების საშინელებებისაგან, მხოლოდ სიყვარულის ყოვლის შემძლეობა დაამკვიდრებს ძმობასა და ბედნიერებას ჩვენს პლანეტაზე, მაშ გაუფრთხილდი სიყვარულს, იმათ კი, სიყვარულის მოძულეებს, ახსოვდეთ, რომ მათ ამ წუთისოფლის საზღვარს იქით, არ გადმოყვებათ ამქვეყნიური „დიდება“! დაუბრუნდით სიყვარულს, იზრუნეთ სიყვარულისთვის, რომელიც კაცობრიობისათვის ერთადერთი გადამრჩენელი ძალაა, სანამ გვიანი არაა! შეაერთეთ ყველა ქვეყნის ხალხთა დათრგუნული სიყვარულის ნაკადულები და ისინი წალეკავენ ბოროტებას, რომელიც ხარხარებს მხოლოდ სიკვდილს!

*საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ.303, N 567*

# უჩა ღონღაძე

***

როგორ იარე,
ამ ღამეში
მიამბე თოვლო,
შენებმა-მეთქი,
თუ იციან,
რომ წამოხვედი?
მითხარი, სად აქვს
დაწყევლილთა
ცის სურვილს ბოლო,
სად განისვენებს
სამუდამოდ
ფიქრი მოხეტე?
მითხარი... მე კარგს
ჯერ-ჯერობით
ვერაფერს გეტყვი,
გაძარცულს დამაქვს
ცივი სახით
ღიმილი ნაჭრის,
შიში დამეძებს,
ტყის პირებზე,
როგორც მეტყევე,
კოპლებიანი
ოცნებების
ფეხში დაჭრისთვის...
თუნდაც ტყუილი
რეალურად
იყოს, – მითხარი,
მიმატრიალე,
მიმითითე, –
ყვავისო თუთა...
მარტოსული ვარ –
სულიც არ მაქვს –
დღეს მე, ვით ქარი,
ცარიელი მაქვს
ტყუილების
გაჭრილი გუდა...

***

დრო გადის, მაგრამ
ბუნებრივი
ეს სიახლოვე
მე მაიმედებს,
უსათუოდ
რომ კვლავ შევხვდებით,
როცა სიცოცხლეს
გავეცლებით
ხვალ ან ახლავე,
სიბერით, ვნებით,
ამნეზიით,
ან სულ შემთხვევით...
ასე ძალიან,
ასე ჩუმად
როდის დაღამდა,
რომ ვერ გავიგე
შენზე ფრთხილი,
შენი შეხება,
მასზე, – რაც ძლიერ
ტკივილამდე
მღლიდა აქამდე, –
წუხილი მწყდება,
დაღლეტილი,
როგორც ფეხები
ახლად აზლაზვნით,
უსურვილოდ
ვდგები დივნიდან,
საძინებელში
ამ დღეს მაინც,
რომ გადავიდე,
დრო ტკივილივით
მოსისხარი
თუ გამივლიდა
აღარ მეგონა...
ორი მერცხლის
ამბავს თავიდან
ვიწყებ – იზრდება
მოსისხარი
დრო ტკივილივით, –
შენთვის რომ არ მაქვს,
უხმოდ რომ ვკლავ...
და ჩვენც ვიზრდებით,
მხოლოდ ხანდახან
ხასიათზე
ღამით ვილევით,
როგორც ილევა
ანთებული
შენი თითები,
როცა ჩემს თითებს
შემთხვევითაც
არ ეხებიან...
ზოგჯერ მოვიწყენთ,
გავყვითლდებით
ხოლმე უქაროდ
და გახუნებულ
შენს ღიმილებს
თარიღებივით
ველარ აღვნიშნავ
კალენდარზე
ჩემს სამწუხაროდ...
დღეს – რიცხვს
ვგულისხმობ,
შენით როცა აღარ
იწყება, –
მოშიებული
უგემურად
ჭამენ ლანდები
და შემოსეულ
სიზმრებს ვებრძვი,
როგორც სიცხეებს,
რომლებშიც არ ხარ,
არსად არ ხარ
ან გვიანდები...
ძილში ვბორგავდი
უნებურად
პირჯვრის წერისთვის
საყინულედან
არა ჩემი
მომაქვს თითები,
ძილში ვბორგავდი,
უნებურად,
პირჯვრის წერისთვის,
უძლებ შვილივით
უსაყვარლეს
თოვლს ვეჭიდები, –
რომ დაიბრუნეს
მთების მსგავსმა
ხმებმა წინა დღეს,
გზებმა წუხელი
მხოლოდ ჩემთვის,
რომ მოიგონეს,
ხელისგულივით
გუნდა-გუნდა
ეძებს სინათლეს
ჩემი უბრალო,
უსინათლო
და ბრმა სტრიქონი...
და ეს სინათლე,
მგონია რომ
მოდის შენიდან,
როგორც შინიდან...
ცოდვა არ გაქვს,
არ გაქვს ტიტანთა
შური და ახლა
სუსტი მხრებით,
იმას შენ იტან,
რასაც მე, ალბათ,
ვერასოდეს
ვერ ავიტანდი...
რასაც მე, ალბათ,
ვერასოდეს
ვერ გავუძლებდი...
ვერ გავუძლებდი,
ვერ ვზიდავდი
- მეთქი, უშენოდ,
მომეცი შენი
თბილი ხელი,
ჩვენი უძლები
შვილიც დაბრუნდა...
დაგვიბრუნდა,
მინდა ვუჩვენო,
თუ როგორ ფეთქავს
მოწოლილი
სახლი გულივით,
როცა აღარ წვიმს,
მზეს ვუყვარვართ
ან წვიმს ისევე,
როცა, ძაღლურად,
ვამჩნევ, როგორ
აღარ იქცევა
წამოწოლილი
მხართეძოზე
კართან სიცივე...
როგორ გვამშვიდებს
ბუნებრივი
ეს სიახლოვე
და გვაიმედებს,
უსათუოდ
რომ კვლავ შევხვდებით,
როცა სიცოცხლეს
გავეცლებით,
ხვალ ან ახლავე,
სიბერით, ვნებით,
ამნეზიით
ან სულ, შემთხვევით!!!

***

ის აქ სუნთქავდა,
ამ ოთახში,
ამის მოწმენი
ეს კედლებია
გაყინული,
ყრუ და უფერო,
ის უჩვეულოდ
მგრძნობდა, როგორ
გითხრა...მოწმენდილ
ცაზე ღრუბელს, რომ
მოყვარული
იგრძნობს ღრუბელი.
ჩაუკეცავი
ეს ოცნება
და სარეცელი
ადრეც დაქონდათ
გადაცმულებს –
ლანდებს ციმციმით,
რადგან ყოველთვის,
ანდა თითქმის
მას არ ეცალა
მწუხარებისთვის,
სიმართლისთვის
და სიმძიმისთვის.
ანუ ტკივილოდ
მწიკვ შვებაში
სულს ვინ იძლევა,
მაგრამ დუმილის
გამოუხსნელ
უღელს შეება,
რომ არ მენახა–
ჩრდილების სმით –
მისი ღვიძლივით
გადიდებული
და გაჭრილი
ის ღამეები.
აქეთ მოიწი,
სინათლისკენ,
მანდ, შეიძლება,
დგას შედეგივით
უეჭველი
ქსელი ობობის,
რომლის მიზეზი
მნიშვნელოვნად
არ შეიცვლება,
როგორც მიზეზი –
მოარული
ავადმყოფობის.
როგორ მინდოდა,
ცოტა ადრე
წყეულ წყენაზე, –
მისი გრძელი და
სიყვარულზე
სუსტი თითები
მე ჩემს თვალებშიც,
უპრობლემოდ
ღმერთამდე მისვლა,
სანამ სახლამდე
მოგასწრებს და
ჩამოვა თოვლი.
სანამ ხელების
ჩატეხილი
სახურავიდან
ჩამოვარდება
უწყინარი
ბარტყივით სითბო,
პირველი შენგან
მოღალატე
რწმენა წავიდა
და რატომღაც მე
შენ მახსოვხარ,
წახვედი თითქოს.
ძვირფას თუთებზე
ორმოც ზღაპარს
გიყვება სიცხე
ანუ საფუძვლოდ
ჩაშლილი ხარ
ჩეროთა ჭორში,
ტირილსაც თითქოს –
სხვა გამოგდის –
პირველად იწყებ,
არადა, ორი
ან ცამეტი
წუთის წინ მორჩი.



გიორგი პაპკიაურის ნახატი

რომ შემენიშნა,
როგორც ძმის თვალში
შემინიშნავს
ბეწვის ხიდები.
ეს ნაზამთრალ გულს
ახლა ესმის,
ალბათ, ნახევრად,
ცივი ვერ იგებს,
ვერც გაიგებს
ამას გული ხომ,
მზემდე მინდოდა
მშრალ სიტყვებზე
სველ ბალახივით
მისი წამწამი
წარამარა
ამოსულიყო.
მე ახლა მხოლოდ
წვიმიანი
ღამით ვდგები, რომ
სახლში მოვზიდო,
მისი ხმიდან,
მისი ვეება
და ცაზე ლურჯი
თვალებიდან,
როგორც მთებიდან
ჩამოტანილი
ხელებივით
დიდი ხეები!!!

***

უკვე სახლამდე
ჩვეულებრივ,
ჩამოდის ნისლი,
უკვე გჭირდება
უჩვეულო
ზრუნვა და მოვლა,
რადგან თავად ღმერთს
გირჩევნია
თავს იხსენიებ,
როცა არ თოვს,
მესამე პირში,
სრული სახელით
ახლა მხოლოდ
მიმართავ წამწამს,
რომელზეც ცრემლის
კონწიალის
არა ხარ ღირსი,
რომელზეც ცრემლი
კონწიალით
იზრდება ამ წამს.
გზა მკითხავივით
გამხდარ ხელზე
შეგახებს თითებს
და შენი სიზმრით,
შენი შიშით
აცახცახდება:
გზა, გაძლებისკენ,
გატანისკენ,
რომელიც გიდევს, –
სიზმარზე იტყვის,
მზეზე იტყვის,
რომ არ ახდება!

***

ასეთ ამინდში
ჭერზე გასულ
ცეცხლს მოსაწყენი
თამაშით ვტოვებ,
გულს ვიღელავ
და ქარს დავყვები
და მეც თოვლივით
ცივ მიწაზე
ვფეთქავ ნატკენი
მუხლის თავებით,
სურვილებით
და იდაყვებით.
გული ეჩვევა
სიტყვებს
უხმოს,
სიტყვებს უთუთოს:
გული პურზე და
წყალზე ჯდება,
გულზე დაღლილი –
ფხაჭნის შეკეტილ
მოგონებას,
კარს და ქუთუთოს
ცა თვალებიდან
გაგდებული
გარეთ ძაღლივით.
წარბი ირყევა,
წამწამს ბაძავს,
როგორც ტიხარი
და აღარ მყოფნის
ერთიანი
მზერის ოთახი,
ცრემლს ვიშველიებ –
ძმაზე ვფიქრობ –
რომ გავიხარო
გაორებული,
რამდენიმე
კუთხით ცოტა ხნით.
ასეთ ამინდში
მე ამ ცაზე
ცოტა მშვიდი ვარ
და თვალებს ვფხაჭნი
დახუჭულებს,
მხოლოდ ცის მერე:
არც ისე ავად,
ისე ძლიერ
მეწვის თითივით
ჩაყოლებული
ქუთუთოში
ორი სიზმარი!

***

ვერ წამოვედი,–
სიომ ისევ,
სოფელში ვარო,–
ნაჩხაპნი ფოთლით
ალეწილი
გიწუხს იერი:
მარცხენა მხარზე
იდაყვებით
მეყრდნობა მთვარე
და გაყვითლებულ
შენს სურათებს
ვათვალიერებთ...
მერე ტირილის,
მგონია რომ
არ მაქვს უფლება,
მერე შემოდის
თერმომეტრზე
მეზობლის ბავშვი,
მერე შეცვლილი,
გაბზარული
ხმით ვეუბნები,
რომ გასული ხარ...
რომ სხვაგან ხარ...
რომ არ ხარ სახლში...

***

დღეებიც, ვიცი,
გაუნძრევლად,
ასე ვიწვები,
სანამ შენი ხმით,
შენივ ნებით
ნათილისმარი, –
ხმელ თივასავით
ღერა-ღერა
არ ჩაიწვება, –
მოგროვებული
სველ მინდვრებზე
ჩემი სიზმარი.
არ მომშივდება
ერთი კვირა,
არ მომწყურდება,
ნისლად ჩავყვები
ორიოდე
სიტყვის გამო ხევს,
ვიდრე ღრუბლები,
მორჩენილი,
როგორც ხურდები
ჩამოწელილ ცას
ჯიბესავით
სულ არ ჩამოხევს.
მანამდე-მეთქი,
შენც არ გძინავს,
უძლებ სიცხეებს,
ზღვა გიყვარს, მაგრამ
სახლს უვლიდა
არ ეუბნები
და ტკივილს,
როგორც,
პროვინციულ
ქალაქს იწყებენ,
შენი ტუჩების
დაკვნეტილი
გარეუბნები.
მანამდე ხსნიდან,
ბიუსტიდან
ანდა მერვედან
დრო გადმოვარდა,
გადმოაგდეს
და შეესწარი,
წყდება გზა ფუტკრის
ნაკბენივით,
წყდება ნერვი და
სხეულში რჩება,
შხამიანი,
როგორც ნესტარი.
მანამდე მე ვარ
მიწიძვრებით
გამოუცდელი,
შენც იძაბები,
თავს იტკიებ
ზეცის არევით,
როცა ფეხზე დგას
მთელი სახლი,
სახლთან უზრდელი
წევს რაღაც ცუდის
მოლოდინი
მეძებარივით.
როცა იმედით
ან თითებით
გაურკვევლობა
არ იბზარება,
ჩვენს შუაში,
როგორც კედელი
და წვიმასავით
წამოსული
თავზე გვევლება
სიტყვების ჯერი
უაზრო და
განუწყვეტელი.
არ ვუფიქრდებით,
ბავშვობაში
რადგან საქციელს,
რადგან ნაბიჯებს
დიდობაშიც
არ ვუკვირდებით,
სიტყვებად როდის
დავაზრეთ
და,
გადავაქციეთ
გასააზრებლად,
ბუნებრივად,
მზარდი კვირტები?
წვიმდა თუ თოვდა? –
შავ თუთებთან
თეთრი თუთები
როდის დავკარგეთ
და წავაგეთ,
როგორც თავები?
წუხილს როდიდან
ვენატრებით,
ვესათუთებით,
ღამეს როდიდან
ვეგებით და
ვეჭიდავებით?
რას ვუძლებთ, ანდა
რას გავუძლებთ,
რას გავუძელით –
ჯერ არ იციან
უგუნურმა
ჩვენმა შვილებმა,
დასასიზმრები,
დასაკოცნი
შენი მუცელი
ჯერ ჩემს ტუჩებს და
პარამეტრებს
ემორჩილება.
ჯერ ბალახივით
ხის ძირებში
ვთიბავ სახეებს.
სახეებს-მეთქი...
ჩავფიქრდი და
სხვა რამ მინდოდა
მეთქვა – დავხუჭავ
ტკივილამდე
უცებ გახელილ
თვალებს და მომდევს
ქარზე ჩქარი
ხსოვნა მინდორთა,
რომლებიც ბევრჯერ
ბავშვებივით
გადავირბინეთ,
სიმართლე რომ არ
გვენახა და
გადაგვერბინა,
ჯერ უფსკრულებზე
ნიჭიერი
ნების სირბილე
დაცემებს ჩვენსას
იზუთხავს და
სწავლობს ზეპირად.
ჯერ ისევ ვწევარ
გაუნძრევლად,
ასეც ვიწვები,
სანამ შენი ხმით
შენივ ნებით
ნათილისმარი, –
ხმელ თივასავით
ღერა-ღერა
არ ჩაიწვება, –
მოგროვებული,
ხის ძირებში
ჩემი სიზმარი!

# ღალატის თემა თეოლოგიურ ჭრილში

**ვაჟა ოთარაშვილი**

## ღალატის სათავეებთან

საეკლესიო გადმოცემით, უხილავი, ანგელოზთა სამყარო ღმერთმა ხილულ სამყაროზე უწინარეს შექმნა (ასე ფიქრობს ბევრი წმინდა მამა. მაგალითად: წმ. ამბროსი მედიოლანელი, ნეტარი იერონიმე, გრიგოლ დიდი, ანასტასი სინელი), **„ოდეს იქმნნეს ვარსკვლავნი, მაქებდეს მე ხმითა დიდითა ყოველნი ანგელოზნი ჩემნი“,** – ეუბნება უფალი იობს *(ძველი აღთქმა - იობი 38.7).*

სწავლება ანგელოზთა სხვადასხვა დასის არსებობის შესახებ, საღმრთო წერილზე დაყრდნობით, მრავალ ღმრთისმეტყველთან გვხვდება. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პავლე მოციქულის მოწაფის, ***წმინდა დიონისე არეოპაგელის*** შრომა: *„ციური იერარქიის შესახებ“.* მან ანგელოზთა ცხრა დასი განაჩინა – სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი, უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი.

სწორედ ხილული სამყაროს შექმნამდე, ჯერ კიდევ ადამის მოდგმის ქვეყნად გაჩენამდე, დაიწყო შურისა და ამპარტავნების გამო სამყაროს შემოქმედის მიმართ პირველი ღალატის გამოვლინება. ორგულობასა და მტრობას აქედან დაუდო სათავე სატანამ, რომელიც ადრე ერთ-ერთი ანგელოზი იყო და „ლუციფერი“ ანუ მოელვარე ეწოდებოდა.

იგი დაამარცხა მიქაელ მთავარანგელოზმა, ანგელოზთა დასის წინამძღოლმა (რომლის სახელი ებრაულად ნიშნავს: „რომელი ვითარცა ღმერთი„). სწორედ ის შეებრძოლა და დაამხო ღვთის წინააღმდეგ ამხედრებული სატანა და მის მსახურებთან ერთად ზეციდან გადმოაგდო. სწორედ ღმერთთან გატოლების ამპარტავნებამ სატინუილი ბოროტ ანგელოზად აქცია.

შემდეგ, ბიბლიაში აღწერილია პირველი ადამიანების – ***ადამისა*** და ***ევას*** შეცოდების მომენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ადამის მოდგმის დაცემას და ცოდვის ბუნების შეძენას, რაც ადრე უცხო იყო ედემში უფლის ერთგულებაში და თანხმობაში თანამცხოვრები ადამიანებისათვის.

ბოროტ სულს შეშურდა ადამ და ევას ნეტარი ცხოვრებისა, მათ გველის სახით გამოეცხადა და უფლის წინააღმდეგ დაუწყო საუბარი, რომ შემოქმედი იმიტომ არ გაძლევთ სიკეთისა და ბოროტის ხიდან (ჩვენთვის ნაცნობი ვაშლის) შეჭმის უფლებას, ღმერთივით შეიქმნებით და მარხვის დარღვევისა და ღვთის ურჩობისაკენ უბიძგებდა.

წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ადამ და ევას რომ ბოროტისთვის არ მოესმინათ და უფლის სიტყვის ერთგულნი დარჩენილიყვნენ, ან შეცოდების შემდეგ მოენანიებიათ, თავის მართლება და ყვედრება არ დაეწყოთ უფლისთვის, მაშინ მოწყალე ღმერთი მათ აპატიებდა... მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ცოდვამ – იგივე ღალატმა, უფლის ერთგულებისა და სიტყვისადმი და ღმერთის მორჩილების დარღვევამ, სათავე დაუდო კაცთა მოდგმაში ცოდვით დაცემას, ბოროტი ძალების სულიერი დაცემა-გადაგვარების შემდეგ.

კერძოდ, ***კაენისა*** და ***აბელის*** მაგალითით კიდევ უფრო მძაფრდება ეს ცოდვა, როცა კაენმა, შურის გამო, საკუთარი ძმა ღალატით მოკლა და პირველი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა დედამიწაზე...

საუკუნეების მანძილზე დღემდე იმკის სამყარო ამ ცოდვებით გამოწვეულ სავალალო შედეგებს... ბევრი შემზარავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ კაცობრიობის ისტორიიდან შურისა, ამპარტავნებისა, გაცემისა, ღალატისა.... ქვეყნიერება მოელოდა ამ ცოდვის ბორკილთაგან განმათავისუფლებელ მესიას... თუმცა თვით მაცხოვარსაც უდიდესი ღალატი, გაცემა და ჯვარზე გაკვრა ხვდა წილად იუდასაგან – მისივე მოწაფისაგან...

როცა ადამიანები ცდილობდნენ გამხდარიყვნენ ადვილი გზით ღმერთივით, უფალი თვით იმოსავს კაცის სახეს, ადამიანთა დიდი სიყვარულისა და მისივე ქმნილების მიმართ ერთგულების გამო და ჯვარს ეცვა კაცთათვის, რათა ადამის მოდგმა სულიერი სიკვდილისგან ეხსნა...

და მაინც, როგორ შეუძლია ადამიანს განღმრთობა... ისევ წმინდა მამათა გამონათქვამებით, ეს მხოლოდ ღვთის და მოყვასის ერთგულებით, უფლის მორჩილებითა და თავმდაბლობითაა შესაძლებელი და არა ღალატით და მადლის მიტაცებით. შორს რომ არ წავიდეთ, თვით ქრისტე ღმერთი ბრძანებს სახარებაში, რომ ათი მცნებიდან ყველაზე უმთავრესი ორი მცნებაა, რომელზედაც დგას სჯული და სარწმუნოება და მთლიანად ითავსებს ყველა სხვა დანარჩენ მცნებებს, ესენია: **გიყვარდეს უფალი შენი და გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენი. ამ მცნებათა დაცვა კი, ერთგულების გარეშე შეუძლებელია, რამეთუ გაცემა და ღალატი უცხოა მოყვარული გულისათვის.**

გავიხსენოთ ბიბლიური ***იოსები***, მისი გაცემა საკუთარი ძმების მიერ. იოსების ისტორია ბიბლიური პატრიარქების ციკლს განეკუთვნება. ბიბლიის თანახმად, იოსები ***იაკობისა*** და ***რაქელის ძე*** იყო. შურიანმა ძმებმა იოსები მონად მიჰყიდეს ვაჭრებს, რომლებმაც იგი ეგვიპტეში წაიყვანეს. აქ იოსები ჯერ საპყრობილეში მოხვდა, მაგრამ ბოლოს ფარაონის კარზე აღზევდა და მამა და ძმები ეგვიპტეში მიიწვია *(დაბადება, 37-50).*



იოსები ცხოვრობდა ქანაანში. ის იაკობის მეთერთმეტე ვაჟი იყო. იაკობს ვაჟიშვილებს შორის ყველაზე მეტად იოსები უყვარდა, რადგან იგი მართალი, მშვიდი და მორჩილი ყმაწვილი იყო. იაკობი არ ფარავდა თავის სიყვარულს იოსებისადმი: როცა დანარჩენი შვილები მთელ თვეებს სამწყემსურში ატარებდნენ, იოსები მამას მუდამ შინ ჰყავდა და ჭრელი ტანისამოსით მოსავდა. ძმებმა იოსების შური ჩაიდეს გულში. ეს შური მალე სიძულვილად ექცათ ძმებს, მაგრამ სიძულვილისთვის მათ სხვა მიზეზიც ჰქონდათ. იოსებმა ორი სიზმარი ნახა, ორივე სიზმარში ძმები თაყვანს სცემდნენ მას. როცა იოსებმა ძმებს სიზმრები მოუყვა, მათი სიძულვილი კიდევ უფრო გაძლიერდა.

ერთ დღეს, როცა იოსების უფროსი ძმები მამის ცხვარს მწყემსავდნენ, მამამ იოსებს სთხოვა, ძმები მოენახულებინა. დაინახეს თუ არა ძმებმა იოსები, ერთმანეთს უთხრეს: „მოდი, მოვკლათ!“ მაგრამ უფროსმა ძმამ, ***რეუბენმა*** თქვა: **„არა, არ ჩაიდინოთ ასეთი რამ!“** მათ შეიპყრეს იოსები და ამომშრალ ჭაში ჩააგდეს, მერე დასხდნენ და მსჯელობა დაიწყეს, რა გაეკეთებინათ.

ამ დროს ისმაელელმა კაცებმა ჩამოიარეს. ***იუდამ*** ნახევარძმებს უთხრა: **„მოდი, იოსები ისმაელებს მივყიდოთ“**. ისინი დასთანხმდნენ და იოსები 20 ვერცხლად გაყიდეს. რა სიბოროტე და სისასტიკეა!

მათ დაკლეს თხა, იოსების ტანსაცმელი სისხლში ამოსვარეს, მამას მიუტანეს და უთხრეს: **„ეს ვიპოვეთ, ნახე, იოსებისა ხომ არ არის?“** იაკობმა შვილის ტანსაცმელი იცნო: **„ეტყობა, ნადირმა შეჭამა!“** – წამოიძახა მან. იოსების ძმებმაც ხომ ეს ჩაიფიქრეს. იაკობმა ძალიან განიცადა შვილის დაკარგვა და დიდხანს გლოვობდა მას... მაგრამ იოსები არ მომკვდარა, თუმცა ეს სხვა ისტორიაა და როგორ გვაგონებს მართალი იოსების 20 ვერცხლად გაყიდვა, იუდას მიერ ქრისტეს 30 ვერცხლად გაცემას... აქაც საფუძველი შური და ამით გამოწვეული გულქვა ღალატია.

ღალატის თემას ბიბლიაში ისევ აგრძელებს ***იუდას*** მაგალითი, რომელმაც გასცა მუხანათურად შემოქმედი, უფალი ***იესო ქრისტე*** და სასიკვდილოდ გაიმეტა უდანაშაულო ძე კაცისა...

იუდას ღალატის მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ თვით ქრისტეს გვერდით, ახლობელთა წრეში ყოფნაც არ შველის ბოროტისაგან დასახსნელად ადამიანს.

ასევე ***პეტრე მოციქულის*** ღალატი იმით არის საინტერესო, რომ ასევე უფალი იესო ქრისტეს ახლობელ მოციქულთა წრეში აღმოცენდა იგი. ***პეტრე*** იმიტომ აღმოჩნდა მოღალატის როლში, რომელსაც იგი მთელი ცხოვრება ინანიებდა, რომ თავდაჯერებული იყო და სხვებზე აღმატებულად მიაჩნდა თავი და ამბობდა: **უფალო, ყველამ რომ გიღალატოს, მე არ გიღალატებო** და მამლის შეყივლებამდე სამჯერ უღალატა. ანუ ადამიანს ღმერთის იმედი უნდა ჰქონდეს და არა საკუთარი თავის. **„მაგრამ ღმერთი არ გასწირეს“** – *შოთა* ბრძანებს.

დასკვნა ერთია: ადამიანში ცოდვა, რომელიც ადამ და ევადან მოსდევს, ყველაშია ჩაბუდებული და ბოროტის ძირი ყველა ადამიანში სახლობს. მხოლოდ მას არ უნდა მივცეთ გაფურჩქვნა-აღმოცენების საშუალება ჩვენი უფალთან ყოფნით, ლოცვითა და მარხვით, ქრისტიანული ცხოვრების წესით, აღსარება-ზიარებით. ე. ი. ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე არ უნდა მოდუნდეს, რათა ბოროტმა ვერ იპოვოს მასში ნიადაგი.

ღალატი სათავეს ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ამპარტავნებისგან და შურისგან იღებს. **ამპარტავნება ერთ-ერთი შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგანია. იგი არის ცრუ გრძნობა საკუთარი თავის უპირატესობისა, ანუ ქედმაღლობა, ზეობა, გოროზობა, რაც უპირისპირდება სიმდაბლეს (თავმდაბლობას) და შეიცავს სიცრუის ელემენტებს, არამართებულ დამოკიდებულებას და შეხედულებას საკუთარი თავისა და გარემომცველთა მიმართ** *[საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2007 წ. ენრ. გაბისაშვილის რედ. გვ. 59].* შურს კი ***სულხან-საბა ორბელიანი*** ასე განმარტავს: **„შური - არს მწუხარებაჲ სხვისა კეთილსა ზედა“** *[სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“. თბ. 1993 წ. ტ.II, გვ. 310],* ხოლო სიტყვა „ღალატი“ განიმარტება შემდეგნაირად: **„ღალატი - მუხთლად მოკლვა“** ან **„მუხთლად სიკვდილი“** *[სულხან-საბა ორბელიანი „ლქ“, თბ. 1993 წ. ტ. II, გვ. 246].* მეორენაირად ერთგჰულების ნაკლებობა უკვე ღალატია.

ძმისადმი ღალატის, შურის, ამპარტავნების, ორგულობის მაგალითია ბიბლიაში კაენის მიერ აბელის მოკვლა მუხანათურად და ამ მკვლელობის დაფარვა. კაენს **„უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს...“** *[„ძველი აღთქმა“. დაბ. 4.10].* კაენმა ხომ ეს მკვლელობა ძმისადმი შურის გამო ჩაიდინა. ღალატი ***ნიკო ჩუბინაშვილის*** „ქართულ ლექსიკონში“ შემდეგნაირად არის განმარტებული: **„ღალატი - მუხთლად შეთქმულება მოსაკლავად ვისსამე“** ანუ **„განცემა“** [ნ. *ჩუბინაშვილი „ქართული ლექსიკონი“, თბ. 1961 წ. გვ. 408*]. უკვდავი ***შოთა რუსთაველი*** „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან წერს:

**„მოახსენა: ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა,**

**თუღა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მემცა განა!“**

*[შ. რუსთაველი, სტრ. 419. „ვეფხისტყაოსანი“. პ. ინგოროყვას რედ. გვ. 240. თბ. 1970 წ.].*

კაცობრიობის ცხოვრება ადამიანის სულში ბოროტის ჩასახლების შედეგად ცოდვებითაა სავსე. მათ შორის ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა უფლის, სამშობლოს, მოყვასის, ახლობლის ღალატი.

როცა სულიერად უფალს ღალატობ, როცა არ შეგიძლია **„გიყვარდეს მოყვასი შენი“** და ხშირად არღვევ მცნებას **„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“**, მაშინ სამშობლოსაც ღალატობ და შენს ხალხსაც. მსოფლიოს ისტორიამ და, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს ისტორიამაც იცის ღალატის უამრავი შემთხვევა სხვადასხვა სახისა და მასშტაბისა.

ქართული ისტორიოგრაფიიდან ღალატის და მოყვასის დაუნდობლობის ბევრი მაგალითი შეიძლება გავიხსენოთ. განვიხილოთ თეოლოგიურ, უფრო ზუსტად, ისტორიულ-თეოლოგიურ ჭრილში ღალატის თემა სხვადასხვა ისტორიული პიროვნებების ზოგად მაგალითზე, ხოლო შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირის, დიდი მხედართმთავრისა და მამულიშვილის **გიორგი სააკაძის** ცხოვრების მაგალითზე, იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი მოვლენების თეოლოგიურ ჭრილში ანალიზით დავადგინოთ ჭეშმარიტება.

გიორგი სააკაძის ანუ დიდი მოურავის პიროვნება ავირჩიეთ იმიტომ, რომ დღემდე ორგვარი აზრი არსებობს ამ ტრაგიკული ბედის მამაც პიროვნებაზე. ერთნი მას გმირად მოიხსენიებენ, მეორენი კი – მოღალატედ. ჩვენ მიერ ახლად აღმოჩენილი ისტორიოგრაფიული მასალის ანალიზით გვინდა თეოლოგიურ ჭრილში პირუთვნელად წარმოვაჩინოთ მტყუან-მართალი. ამას გვავალებს ჩვენი ბრძენი კათოლიკოს-პატრიარქის **ილია II-ის 2015** წელს წარმოთქმული საოცარი სიტყვები: **„გიორგი სააკაძე იმ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც კამათი სულ იქნება. ერთნი მას განიკითხავენ, მეორენი კი გმირად წარმოაჩენენ.**

**ამ პიროვნებას მეტად რთულ დროს მოუწია ცხოვრება და თავის ასპარეზზე მოღაწეობისას – მრავალი ფაქტორისათვის ანგარიშის გაწევა. დაუშვა ძალიან დიდი შეცდომებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, სამშობლოს სიყვარული მისთვის უმთავრესი იყო.**

**ღმერთმა შეიწყალოს გიორგი სააკაძის უკვდავი სული“.**

გიორგი სააკაძემ მთელი ეპოქა შექმნა. **„მისნი... დიდნი საქმენი ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა“** - ბრძანებდა *ილია ჭავჭავაძე* XIX ს-ის მიწურულს დიდ მოურავზე.

**„ამ ქვეყნად იყო და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა და ქვეყანამ იგი ვერ იცნო“** - ქადაგებს *იოანეს სახარება* (1.10). ივერთა ერის ბევრი დიდი შვილი დღესაც ჯერ კიდევ შეუსწავლელი და დაუფასებელია... ამიტომაც შეიქმნა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის 2009 წლის 10 ივლისის ბრძანებით საქართველოს საპატრიარქოსთან ***„საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია“*** მისი მაღალყოვლადუსამღდელოესობის მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ***ანანიას (ჯაფარიძის)*** ხელმძღვანელობით.

## ღალატი ისტორიულ-თეოლოგიურ ჭრილში ქართველ წმინდანთა მაგალითზე (მოკლე მიმოხილვა) წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი (431-491)

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ***ვახტანგ გორგასალი*** 15 წლისა ასულა სამეფო ტახტზე. იგი ყმაწვილობიდანვე ყოფილა სწავლისმოყვარე საღმრთო რჯულისა და სამხედრო საქმისა. ***ჯუანშერი*** შემდეგნაირად გადმოგვცემს გორგასლის გამეფებას: **„...ხოლო ვახტანგ იყო სწავლის მოსწრაფე ფრიად სამღვთო-სამხედროთა, არამედ რა იქმნა წლისა იე** *(ანუ 15 წლის - ვ. ო.),* **მოუწოდა დიდებულთა და დაჯდა დალიჭსა ზედა და იწყო სიტყუად: „ეჰა დიდებულო მოიწია ჩვენ ზედა მწუხარება ძლიერი, რამეთუ მოგვიხუნეს ჩვენ საზღვარნი ჩვენნი და გვერივნენ მტერნი ცოდვათა ჩვენთათვის, ვინაჲთგან ვსცოდეთ წინაშე ღვთისა და არა დავიცვენით მცნებანი მისნი“** *[ჯუანშრი „ქართლის ცხოვრება“, თბ. 1973 წ. გვ. 101*]. ამ სიტყვებში კარგად ჩანს მეფის ქრისტიანული მრწამსი და ღვთისმოსაობა. იგი იბერიის სახელმწიფოს წარუმატებლობას მტერს კი არ აბრალებს, არამედ საკუთარ და ერის ცოდვებს. ამ დროს საქართველოს დასავლეთიდან ბერძნები აფხაზეთიდან უტევენ, უჭირავთ ეგრისისწყალი ციხე-გოჯამდე, აღმოსავლეთიდან – სპარსეთი, ჩრდილოეთიდან ოსები აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას. სწორად შენიშნავს მეუფე ანანია (ჯაფარიძე), რომ მეფე ვახტანგ გორგასლის მსგავსად, იმ ეპოქაში ყოველი ქართველი ასე აზროვნებს, ამას ამბობს ყოველი ქართველი და იყვნენ დიდ მწუხარებაში, რადგანაც ღმერთმა უცხო ტომის დუშმანს მიუგდო ივერიელთა მამული საჯიჯგნად ქართველთა მიერ ღვთის მიმართ **„განმრავლებულ ცოდვათა“ გამო** *(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე) [„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“. თბ. 2009 წ. გვ. 262].*

რა ჩანს ჩვენი ერის მატიანის ამ ამონარიდებიდან? პასუხი ერთია: ქართველი ერი მეფე ვახტანგ გორგასლიდან (431-491 წწ.) დაწყებული უფრო ახლოა V საუკუნეში უფალთან, ვიდრე დღეს. მეფე, ერი და ბერი, სხვას კი არ აბრალებს თავის გაჭირვებას და მტრის შემოსევას, არამედ მორჩილად მიიჩნევს ღვთის სასჯელად, ცდილობს გამოასწოროს თავისი შეცდომები და ღვთის გზით იაროს.

ამ დროს არც ვახტანგ მეფე, არც ქართველობა არ არის მშიშარა და ლაჩარი. **ვარან-ხოსრო-ტანგ-მგელ-ლომ-მუზარადიანს** ნიშნავდა სპარსულად გორგასლის სახელი, რამეთუ იგი ბრძოლაში მგელ-ლომიანი მუზარადით ომობდა მამაცურად. არსებობს სხვა ვერსიაც, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიაში“ *(№144)* დაბეჭდა 1902 წელს: **„სპარსელები ქართველებს გურგებს გვეძახდნენ და კასპიის ზღვასაც გურგების ზღვას** *(ერთ-ერთი სახელია კასპიის ზღისა - ვ. ო.)*, **ე. ი. ქართველების ზღვას. სწორედ ამიტომ ვახტანგსაც გორგასლანს ეძახდნენ მისი ვაჟკაცობის გამო, ე. ი. ქართველთა ლომი, ანუ ქართველების ლომიო“.**

საქართველოს გასაერთიანებლად წარმოებულ ბრძოლებში მოპოვებული წარმატებების პარალელურად ვახტანგ მეფე საეკლესიო საქმეთა და ეკლესია-მონასტრების კეთილმშენებლობა-გამგებ-

➔

# გიორგი სააკაძის მაგალითზე

ლობითაც გამოირჩეოდა. მის მიერ არის საფუძველჩაყრილი და აშენებული უძველესი ქართული ტაძრები: მეტეხის, წილკნის, სამთავისის, ანჩისხატის და სხვ. 484-491 წლებში. 482-484 წლებში ახალი დედაქალაქის გალავნის მშენებლობას იწყებს [ვ. ოთარაშვილი „ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში, 2001 წ. გვ. 4]. მას კავშირი აქვს ჩვენს დიდ წმინდანთან პეტრე იბერთან და, სავარაუდოდ, მისი არქიტექტურული ნახაზების მიხედვით აწარმოებს ქრისტიანულ ეკლესია-ტაძრების მშენებლობას საქართველოში. ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, დაბადება-გარდაცვალების თარიღები გამოიკვლია შესანიშნავმა ქართველმა ისტორიკოსმა **ვახტანგ გოილაძემ** *[ვ. გოილაძე „ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი“, თბ. 1991 წ.]* და მეუფე ანანია ჯაფარიძემ *[„ვახტანგ გორგასალი“. თბ. 2009 წ.].*

ვახტანგ გორგასლის ცნობილი სიტყვებია: **„ეძიებდეთ ქრისტესათვის სიკვდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“,** რომელიც ყველა ჭეშმარიტი ქართველი ქრისტიანის გულს დღესაც ათბობს და მაცხოვრისათვის და სამშობლოსათვის თავდადების ჟინით აღავსებს. მშვენიერი ხალხური ლექსია მიძღვნილი გორგასალ მეფისადმი:

**„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,**
**ციდან შემოესმა რეკვა...**
**იალბუზზე ფეხი შესდგა,**
**დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...**

მრავალი საგმირო მაგალითის მოყვანა შეგვიძლია და ვახტანგ გორგასლის მიერ მოგებულ ბრძოლათა აღწერა, მაგრამ „ქართლის ცხოვრება“ (ჯუანშერი) ვახტანგ გორგასლის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრის ამბავს ასე გადმოგვცემს: **„...მუნ ბრძოლასა სპარსმან ვინმე სცა ისარი ვახტანგ მკერდსა...“** მაგრამ ნეტა მტრის გამოსროლილ ისარს მოეკლა გორგასალი! სინამდვილეში მტრის ისარს არ დაუჭრია სასიკვდილოდ სასიქადულო ქართველი მეფე. იგი ღალატით მოკლეს. ფეოდალების ღალატმა იმსხვერპლა. თავისივე მხლებელ მონას მოაკვლევინეს, რომელმაც კარგად იცოდა სადა ჰქონდა გორგასალს ჯაჭვის პერანგი გარღვეული... აი, რას გადმოგვცემს ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ცნობა ამის შესახებ: **„ხოლო მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისაჲ ღლიასა ქუეშე. და აღიპყრა რა ხმალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუეშე და მით მოჰკლა...“** *[ვ. ჭელიძე „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, თბ. 1997 წ. გვ. 252].*

ბუნებრივია, მეფის ახლობელთა წრის გარდა არავის ეცოდინებოდა, რომ იღლიის ქვეშ რკინის პერანგი გარღეული ჰქონდა გორგასალს. ვის და რა შურდათ ვახტანგ მეფისა, დღესაც უპასუხოდაა თითქოს ეს კითხვა...

განა საკვირველი არ არის ასეთ ზნეკეთილ და გმირულად მეომარ მეფესაც გამოუჩნდა საახლობლო წრიდან მოღალატე იუდა, რომელმაც „იორსა ზედა“ ერთ-ერთი ბრძოლის დროს 491 წელს იღლიის ქვეშ „განრღვეულ“ ჯაჭვის პერანგში შხამიანი ისარი სტყორცნა და სასიკვდილოდ დაჭრა ფილტვში სულიერადაც და ფიზიკურადაც (იგი 2 მ 40 სმ იყო) უდიდესი ქართველი მეფე. რა ნაღვლიანი სტრიქონებია „ქართლის ცხოვრებაში“ ღვთისნიერი მეფის გარდაცვალბის თაობაზე: **„...გარდაიცვალა მხნე და მოწამეობისა ღირსი გორგასალ...“** *[„ქც“ თბ. 1973 წ. გვ. 115],* თუმცა მანამდე ქრისტეს სჯულის ერთგულება დაავალა მომაკვდავმა თანმხლებთ.

აი, ასე ღალატით აღესრულა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი.

ისმის კითხვა: განა რა დანაშაული ჰქონდა მაცხოვრის ერთგულ ვახტანგ გორგასალს, რომ მუხანათურად დაჭრეს სასიკვდილოდ მოღალატის ხელით?

## წმინდა მეფე აშოტ დიდი კურაპალატი (ბაგრატიონი) (813-826)

**„...განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა ბაგრატოვანისა“** – იუწყება „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე *[„ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1973 წ. გვ. 128. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ. 1955 წ. გვ. 252].* გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც ხშირად ვხვდებით ანჩის ეპისკოპოსთან დაკავშირებით აშოტ კურაპალატის სახელს. მან მეფედ დადგინებისთანავე დაიწყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის. ისარგებლა არაბთა დაუძლურებით და თბილისიდან განდევნა აგარიანნი. **„ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი, თვინიერ ალი შუაბის ძისა“** – წერს ჟამთააღმწერელი „ქართლის ცხოვრებაში“. ქართლის შემომტკიცების შემდეგ ბარდავიც ქართლს შემოუერთა და სამი წლის მანძილზე მის **„სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“**. გამოხდა ხანი და **„განძლიერდა ხელმწიფება აგარანთა და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან“**. საქართველოს დედაქალაქი თბილისი კვლავ არაბებმა ჩაიგდეს ხელში და აშოტ კურაპალატი მტერს განერიდა და გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა




საბერძნეთში. იგი ცოლ-შვილთან და მცირე სპასთან ერთად გზად ჯავახეთში დასასვენებლად ფარავნის ტბასთან შეჩერდა. მძინარე სამეფო ამალას უეცრად სარკინოზები დაესხნენ თავს და თითქოს სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი ქართველნი, მაგრამ **„შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა ლაშქარს მისსა, მოსცა ძლევაჲ მათ ზედა და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხვნი მტრისა“.** აშოტ კურაპალატმა ამ გამარჯვებაში ღვთის ნიშანი განჭვრიტა და საბერძნეთში წასვლა გადაიფიქრა და შავშეთ-კლარჯეთში დარჩენა გადაწყვიტა. ამ დროს სამხრეთ საქართველო მტერთა შემოსევების და ხოლერის ეპიდემიის გამო სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მოსახლეობაც გაწყვეტის პირზე იყო. მემატიანე ბრძანებს: **„მცირედდღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“.** აშოტ კურაპალატმა-ბაგრატიონმა აღადგინა კეთილმსახური ვახტანგ მეფის მიერ აგებული არტანუჯის ციხე, რომელიც მურვან-ყრუს შემოსევებისას დაინგრა. მის მახლობლად ქალაქი აღაშნა და ბაგრატიონთა სამბრძანებლად გამოაცხადა. ასევე მორწმუნე მეფემ ააშენა ამ მხარეში პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია. ჟამთააღმწერელი საქართველოს ისტორიისა წერს: **„მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდება ბრძოლასა შინა...“** სამხრეთ საქართველოში ამ დროსვე მოღაწეობდა უდიდესი წმინდა ქართველი მამა – ერთ-ერთი დიდი სვეტი ივერიელთა სახელმწიფო და ეროვნული ცნობიერებისა – **გრიგოლ ხანძთელი** (759-861 წწ.). ამ დროს საქართველოს ეს ძირძველი მიწა-წყალი, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, თურქეთის მიერ არის ოკუპირებული, ქართული კულტურის, სულიერების უდიდესი ცენტრი იყო. აშოტ კურაპალატი მთელი საქართველოს გასაერთიანებლად ემზადებოდა, მაგრამ...

არაბთა ერთ-ერთი თავდასხმის მოლოდინში აშოტ კურაპალატი ლაშქრის შეგროვებას შესდგომია, როგორც გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“ – **„კუალად გამოვიდა აშოტ, რათა შემოიკრიბოს სპანი“** *[„ქც“, ტ. IV, გვ. 129, თბ. 1973 წ.].* ასევე „ქართლის ცხოვრების“ ***სუმბატ დავითის ძის*** „ქრონიკიდან“ ვგებულობთ: **„განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა“** *[„ქც“, ტ. I, თბ. 1955 წ. გვ. 253].* საუბედუროდ, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, **„სპათა შემოკრებამდე დაესხნენ სარკინოზნი, და ივლტოდა აშოტ ნაგალით, რათა ჰპოვოს სპანი თვისნი“.** როგორც ჩანს, მტრის დიდი ლაშქრის თავდასხმას ელოდებოდა აშოტ მეფე და თავად ჰქონდა გადაწყვეტილი ჯარის შეგროვება, მაგრამ ვიდრე ლაშქარს შეკრებდა, სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან, მანამდე მეფეს თავს დაესხა მოსყიდულ მეომართა ჯგუფი *[ვ. ჭელიძე, „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, თბ. 1997 წ. გვ. 427-429].* პირველი შეტაკების დროს მეფე, რომელსაც მცირე ამალა ახლდა და ჯარის შეკრება ჯერ ვერ მოესწრო, გადარჩა ცოცხალი, გაცლა ამჯობინა და ნიგალისაკენ გასწია, სადაც უკვე ეგულებოდა თავისი ერთგული ლაშქრის ნაწილი შეკრებილი. როგორც იქნა, ჩააღწიეს ნიგალას, თითქოს თავი სამშვიდობოს დაიგულეს, მაგრამ სწორედ აქ დატრიალდა ტრაგედია. უზარმაზარი მეფე აშოტ კურაპალატი გვიან მიხვდა, რომ მის წინააღდეგ საშინელი ღალატი მოემზადებინათ. ეგონა ნიგალაში ერთგული ხალხი დახვდებოდა, მაგრამ მოღალატეები და ორგულები დახვდნენ... სწორედ მათ აღმართეს მეფის წინააღმდეგ მახვილი, ვისგანაც დაცვას მოელოდა აშოტ კურაპალატი. შეთქმულება კარგად იყო ორგანიზებული. აშოტ მეფეს მცირე თანხმლები ამალა ამოუხოცეს, რადგან შეთქმულნი რიცხობრივად დიდად სჭარბობდნენ მათ. მეფემ ვერაფერი გააწყო ბრძოლით, ცხენიდან ჩამოხტა და იქვე მდგარ თავის აშენებულ პეტრე-პავლეს ეკლესიას მიაშურა, ალბათ, იმის იმედითაც, რომ წმინდა ტაძარში ხელს არ ახლებდნენ... შესაზარი ტრაგედია კი სწორედ ეკლესიაში დატრიალდა: მეფის და ქვეყნის მოღალატე მდევრებმა ეკლესიაში, ზედ საკურთხეველთან დაკლეს მეფე აშოტ კურაპალატი-ბაგრატიონი. აი, რას წერს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე: **„რამეთუ დაკლეს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი მისი დათხეული დღესაცა საჩინოდ სახილველ არს...“** ე. ი. საქართველოს მეფის თავზე დატრიალებული უბედურებისას მე-9 საუკუნეში დანთხეული სისხლი ეკლესიის საკურთხეველზე მე-11 საუკუნეშიც „იხილვებოდა“, როცა ჩვენი მემატიანე ამ ისტორიას წერდა. საკვირველი ღალატის და ორგულობის ერთ-ერთი შემაძრწუნებელი პიკია ჩვენი წარსული ისტორიისა. აშოტ კურაპალატი შემდეგ არტანუჯში წაასვენეს მისმა ერთგულმა ქართველობამ და მისივე აგებულ ტაძარში დაკრძალეს. მოღალატეებზე შურიც იძიეს ივერიელებმა: ჭოროხის ხეობაში წამოეწივნენ შეთქმულ იუდებს და მუსრი გაავლეს.

მაგრამ ისმის ისევ კითხვა: ვინ და რატომ




მოკლა ქართლის მეფე აშოტ დიდი კურაპალატი?

მეისტორიე მკვლელთა ვინაობას მშრალად გადმოგვცემს: **„მოიკლა... აშოტ ხელითა ოროზმოროზის ძეთათაო...“** მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერია თქმული ვინ მოამზადა ეს კარგად ორგანიზებული შეთქმულება, როგორ მოამზადეს? უპასუხო კითხვებია კვლავ! წმინდა ***ექვთიმე თაყაიშვილი*** სამართლიანად შენიშნავს: **„ვინც უნდა ყოფილიყვნენ აშოტ მეფის მკვლელები, რასაკვირველია, არაბთაგან იყვნენ მოსყიდულნი და მოგზავნილნიო...“** *[ვ. ჭელიძე „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, თბ. 1997 წ. გვ. 428].* მეც ასე მგონია, რომ არაბთაგან მოსყიდულ იუდათა ნამოქმედარია აშოტ კურაპალატის „ცხოვარივით დაკვლა“ საკურთხეველზე. ქართველები იყვნენ მკვლელები, რადგან როცა ეკლესიას თავს აფარებდა მეფე, ფიქრობდა, რომ წმინდა ადგილას, სალოცავ ტაძარში მეფის სისხლს ქართველი არ დაღვრიდა, რაშიც „ქართლის ცხოვრებაც“ გვემოწმება, რომ **„დაესხნენ თავს უცნაურად“.** შემდგომ დროის საქართველოს ისტორიის მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აშოტ კურაპალატი თავისივე ქვეშევრდომმა ფეოდალებმა მოკლეს. ეს ის ფეოდალები იყვნენ, ვისაც არ აწყობდათ აშოტ კურაპალატის მიერ გაერთიანებული მძლავრი ქვეყნის არტახებში ცხოვრება და სამთავროებად დაქუცმაცებულ ივერიაში ავკაცობის მეტი უფლება ჰქონდათ და პიროვნული გამდიდრების მეტი საშუალება. ასეთია, სამწუხაროდ, ფეოდალური ურთიერთობის ხასიათი, მისი სოციალური არსი. მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური ხედვა ეროვნულ სახელმწიფოებრივ აზროვნებას უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია და ამ შემთხვევაშიც ქართველებს შორის არაბებმა ადვილად მონახეს 30 ვერცხლად გაყიდული იუდების ბრბო...

საქართველოს ისტორიიდან მრავალი შემზარავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ღალატისა, გამცემლობისა, ორგულობისა, რომლებიც ვინმეს (არა აქვს მნიშვნელობა მდიდარია თუ ღარიბი, თავადია თუ მეფე, გლეხია თუ აზნაური, საერო პირია თუ სასულიერო, კაცია თუ ქალი) ჩაუდენია, სული ბოროტისთვის მიუცია, იუდას გზას დასდგომია, შედეგი ყოველთვის ტრაგიკულია, უარყოფითია, დამანგრეველია...

გავიხსენოთ კიდევ ჩვენი ისტორიიდან რამდენიმე ღალატის მაგალითი: IX საუკუნეში თბილისის ამირა ***საჰაკის*** კარზე გაზრდილი ***„დიაკვანი ცქირი“,*** როცა გრიგოლ ხანძთელის მკვლელს მოისყიდის რამდენიმე **„გრინვა ფეტვის მარცვლად და რამდენიმე თხად“**... მიზეზი: **„მოითხოვა ანჩის საყდარი უკეთურმან მან ცქირმან“** – გვეუბნება გიორგი მერჩულე. **„ასოჲ დამპალი“** – ასე უწოდებს ნადიაკვნარ ცქირს გიორგი მერჩულე. ამ ორ სიტყვაში ყველაფერი დევს ბოროტს შეპყრობილი კარიერისტი ნაძირალა და ამპარტავანი ცქირისა. გრიგოლ ხანძთელი კი ამ უკვდავ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში მთელი თავისი სულიერი სიწმინდით და დიდებულებით, მაგრამ თავშკავებითა და მოწიწებით არის წარმოჩინებული: **„რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთა“...** სწორედ უფალმა და დედაღვთისმშობელმა გადაარჩინა უდიდესი მეუდაბნოე ქართველი მამა მკვლელის ისარს, რომელმაც ხანძთელის თავზე ღვთიური აურა დაინახა. ისე საოცარია, მე-9 საუკუნეში ის მოსყიდული მკვლელი უფრო ახლოს იყო უფალთან თუ ილია ჭავჭავაძის მკვლელები 1907 წელს წიწამურის გზაზე, რომ შუბლი გაუგმირეს ერის მამას და ვერც ილიას ბუმბერაზობა და ვერც ღვთის ნათელი ვერ დაინახეს მომავალი წმინდანის თავზე.

არადა, რა საოცარი ჰიმნოგრაფიული და პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა დიდმა მამამ გრიგოლ ხანძთელმა *„იამბიკონნი“, „გალობანი აღვსებისანი“, „გალობანი ნათელთანი“, „სტიქარონნი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისანი“, „ძლევაჲ ჯვართა ბარბაროზთა ზედა“, „ჯვარისა გამოჩინებაჲ იერუსალემს, გოლგოთას, და ჯუარისა აღმართვაჲ მცხეთას“* და თითქოს ეხლაც ყურში გვესმის მისი უფლის რწმენითა და სასოებით ნათქვამი სიტყვები:

**„...რჩეულნო ღმრთისანო,**
**პატიოსანნო მეფენო,**
**გიხაროდენ ქრისტჱს მორწმუნენო,**
**რომელთა ღმრთისაგან მოგიღებიეს**
**საჭურველი მტკიცე –**
**უძლეველი ჯუარი,**
**და მით დასთრგუნენით**
**ნათესავნი წარმართთანი**
**აწ და უკუნითი უკუნისამდე...**
**და გულში ვიძახი კრძალვით: ამინ!“**

*[ვ. ინგოროყვა. „თხზულებათა კრებული“. ტ. III. თბ. 1965 წ. გვ. 391.]*

ისევ ისმის კითხვა: შეიძლებოდა ასეთ მეუდაბნოე წმიდა მამაზე იარაღის აღმართვა? ვინ იყო მკვლელობის დამკვეთი? რა ეროვნების? ვინ იყო შემსრულებელი? რა ეროვნების?

ერთი მხრივ პასუხი ასეთია: **იუდას ეროვნება არა აქვს.** ვერც რუის-ურბნისის 1104 წლის საეკლესიო კრების მომწვევი და ჩამტარებელი „ქვაბ ავაზაკთაგან ქმნული“ ღვთის სახლის უღირსთაგან განმწმენდი, დიდგორის და მრავალ ომთა მომგები „მკლავითა ძლიერითა“, „ვითა ლომი“ და „ვითა გრიგალი“ – დიდი მეფე **დავით აღმაშენებელი,** უბადლო მეფსალმუნე და ღვთისმოშიში ვერ გადაურჩა ერთხელ კარვის პირას მდგომი მისთვის შინაურ მოღალატეთა ნასროლ ისარს. უფალმა არ ინება მისი სიკვდილი და გულზე დაკიდებულმა მთავარანგელოზის ხატმა იხსნა გმირი მეფე... იუდას თესლი ერია თურმე დავით აღმაშენებლის საახლობლო წრეშიც...

არც ერეკლე II-ს აკლდა მოღალატეები კრწანისის ომში და მიუხედავად ქართველთა ჯარის სიმცირისა, მტრის გამარჯვებაში დიდია „დამსახურება“ შინაური იუდა-გამყიდველებისა...

არც ილია ჭავჭავაძის მკვლელები არ მოსულან საგურამოს გზაზე წიწამურთან სხვა კონტინენტიდან და სიტყვები „ილია ვარ!“ ქართველ მოღალატეთა ნასროლმა ტყვიებმა დაადუმა...

მსგავსი მაგალითები, სამწუხაროდ, მრავლადაა ჩვენი ერის (და არა მარტო ჩვენი!) ისტორიაში...

გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით ცოტა უცნაურად არის საქმე. აქ ქართველებიც და უცხოელებიც, საქართველოს მტრებიც და ქართველი ისტორიკოსებიც, გმირადაც აღიარებენ დიდ მოურავს და მოღალატის ხალათითაც მოსავენ. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს სიმართლე ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების თეოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

***გაგრძელება იქნება***

# რეზო ადამია

ვარსკვლავეთური სამყაროს ჭეშმარიტად მოაზროვნე, ქრისტიანული ზეჰუმანური რელიგიის უფლისეული სიახლე მისიით, მაცხოვრის ოთხი თავდადებული მოსწავლე ერთდროულად დედამიწის არც ერთ ქვეყანას არ ხლებია: ამ სახის მოციქულეობრივი მოვლენა მთელს საქრისტიანოში მართლაც რომ იშვიათობაა. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში დიდი და მრავალსარწმუნოებრივი ისრაელიდან, სამარადისოდ აღმდგარი იესოს ღვთიური მითითებით ყოველმხრივ დარწმუნებულნი და წინასწარმეტყველურად უძველეს კოლხეთს გულითადი და სულიერი ნდობით მხსნელად გამოეცხადნენ (სამშობლოდან განდევნილები კოლხეთ-იბერიაში ღვიძლ შვილებად გრძნობდნენ თავს). ღვთისგან გამოხათლებულად მოვლენილება, შორეული წარსულის ლეგენდარულ მიწაზე თითოეულად უეჭველად და დამოუკიდებლად თავისუფლად იქადაგეს და წმიდად აღვლენილება საღვთო წერილი შეუფერხებლად უწყვეტ ქშნად განავრცეს. ღვთისგან მონდობილმა ეკლესიათა აღმართვის და ხატის შექმნის ხელოვნებით განფაფს კოლხები, ძირძველი საქართველო, უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე სამუდამოდ დაამკვიდრეს. წარმართობისმიერი უმძიმესი კანონცხოვრებისგან განამდებულმა ხალხმა მდუმარე შინაგანი სწრაფვა ზეიმით მიიღო ქრისტიანობა და ზნეღვთურ-მზეალებლური სარწმუნოება ბრძნული და გმირული შემართებით, იმავდროულად, უარყო.. ქალაქიდუმალ აიას, ჭყონდიდის, აკადემიად წარდგენილი ფაზისის, დიოსკურიის, პეტრას არქეოპოლისის, ბიჭვინთის, საკულტო ადგილმშვენებს ვანის და მრავალი უმნიშვნელოვანესი ქალაქისა თუ სოფლის კერპთაყვანისმცემლობა სამუდამოდ გაუქმდა. და, განგებ შერჩეულ, არქაულ ულამაზეს ვარდისფერ-მოცისფრო, უხსოვარდროინდელ ქვაზე ყოველთა სალოცავად, ლუკა მოციქულის მიერ უძველეს ფიცარზე შექმნილი, მაცხოვრის სასწაულმოქმედი მზეხატი დაასვენეს, სადაც იმ ადგილზე მალე პირველი ქრისტიანული სამების სახელობის მცირე ბაზილიკა აშენდა.

ისტორიული სიმართლე, 'ქართლის ცხოვრება~ იუწყება, ვახტანგ გორგასლის წინაპარმა, წარმართმა მეფემ, დიდი ამალით გაილაშქრა უდანაშაულო ქრისტიანულ ეგრის-კოლხეთზე და მართლმადიდებლურ მოსახლეობას წმიდა ხატები გადამალვინესო (რაც არ გვიკვირს).

სინმინდის განვრის დღიდან ღვთისნიერმა კოლხმა-ქართველებმა ოთხი მოციქულთაგანიდან ორის უპატიოსნესი ნეშტი, რომლებიც მზის სისტემის დროთა დაუთმობელმა დინებამ ფიზიკურად მოამწიფა და კეთილმოწყობანნი მიიცვალნენ, ვალმოხდილ-იმქვეყნიური მიწას მიაბარა და მარადისობის მშობლიური ნისლ-საბურველი გადააფარა, წმიდად მოვლენა სვიმონ კანანელს და კეთილ მატთას: ხოლო ყოვლისშემძლე მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა კი ფეხით, იესო ქრისტესმიერად, შემოიარა ჭეშმარიტების მომლოდინე ქვეყანა და, ვინ იცის, რამდენი ქალამანი გაცვითა, კოლხი კეთილი მეწაღეების მიერ ირმის ტყავისაგან შეკერილი. მერმე კმაყოფილი და მადლიერი ზეციური შეგნებით, დაუღალავი მასწავლებელი იბერიას და სხვა მეზობელ ქვეყნებს ეახლა, ყველა მათგანი წარმატებით გააქრისტიანა. მაცხოვრის ურთგულესი მიმდევარი სვიმონ კანანელი იმდენად ახლობელი და ღვიძლი გახდა კოლხ-იბერიელ ხალხს – თავისუფალ და უკვე ქრისტიან ქვეყანას, მარადიულ განსასვენებლად, როგორც მოგახსენეთ, მათი მითიური მიწა ირჩია, კერძოდ, ბიჭვინთის ზღვისპირეთი. იგივე ზეციური ბედი ეწია ერთგულ მატთას, რომლის საფლავი დრომ თუ ურჯულოთა შემოსევებმა პირისაგან მიწისა წაშალა, მაგრამ კოსმოსურ უკიდეგანო მეხსიერებაში, ქალაქ პეტრას ციხის და ირგვლივი წმიდა სამარხ-სანახები ნათლად მოიხილება; ზოგან ფანტასტიკურ ადგილმდებარეობას კოსმოსსასწაულმოვლენ ციხეგოჯის მიდამოებსაც ამსგავსებენ. ღრმად მორწმუნემ და მოკრძალებულმა ბართლომემ, დაუღალავი შრომა-შეცადინეობით ყოველ მიყრუებულ მთის სოფელსაც ბეჯითად მიემასწავლება და თითქმის უკლებლივ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მერმე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას განმწმენდ-განმანათლებელ ეწვია, სადაც უმოწყალოდ, ჭირმეტყველურად აწამეს. ყოველივე მათგან განუყელი ღვაწლ-შეწირვა უფლისმიერი და პლანეტაზე ჭეშმარიტი ჰუმანური რჯულის ზეიმ-გამარჯვებაა.

სამწუხაროდ, დიდი ქრისტიანული ქვეყნების დამპყრობლური ულვთო, მოღალატური ხასიათიდან გამომდინარე, კოლხეთ-იბერიის ამ სახის რელიგიურ-სარწმუნოებრივ სიამაყე-ისტორიაზე, თვალს ხუჭავენ.

ღვთიური ნატვრაა ამ ნაწარმოებში და ოცნება...

ზოგჯერ რა ძლიერი ყოფილა უსამართლობა და ბოროტება. ეს უკვე პირდაპირი მტრული მოქმედებით მაცხოვრის უარყოფა – ჭეშმარიტების და წმიდათაწმიდა რელიგიის უკეთური დამახინჯება. ნუთუ ღმერთის მაინც არ ეშინიათ, ან კოსმოსური ხელუხლებელი უბრძენესი განწმეთუფების. მაცხოვრის და თავისი უახლოესი მონაფეების რეალურ ისტორიას ხომ ვერავინ და ვერავითარი უკეთური შური შემაკული ვერავებითაც ვერ ამოშლის წმიდად დაწერილი თუ დაუწერელი წიგნიდან.

ქრისტიანობის საზიანოდ სატანას ნუ ახარებთ, ბოროტზრახვებიანო ადამიანებო!.

პლანეტის ახალმა რელიგიამ პერიოდულად გაანადგურა უსასტიკესი წარმართობა და, სამწუხაროდ, მათგან შეუგნებლებმა იმ დროთა, შორეული უფლის, ზემოქმედებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშ-შედევრებიც მიაყოლეს.

რელიგიურად უძლიერეს იუდეველებს კი ვერაფრით ვერ გაეკარნენ, აქ რაღაც კოსმოსურ კანონ-წონასწორობასთან გვაქვს შეხებები. საუბედუროდ, წარმართობის მოშლას მოჰყვა ადამიანების დიდი მსხვერპლი, ალბათ, დადგენილია სამყაროში ღვთიური სიახლე – დიადური, გარკვეულ თავდადებას მოითხოვს: ამას, მგონი, ვერც ერთი ზეძალა ვერ გაითვალისწინებდა, კოლხეთ-იბერიაში კი, როგორც მოგახსენეთ, ყოველივე სასტიკი შეწირვები შედარებით ნაკლებად მოხდებოდა. ჭეშმარიტებამ უფრო იბერიის წარმართული ბოროტი კერპები დაამსხვრია და მათ ადგილას სიკეთის, სიცოცხლის და სიყვარულის წმიდათაწმიდა ხეები აღმოაცენა.

დროთა დინებას შებერებული კაცობრიობის ცივილიზაცია საწყის ლეგენდა-ქალაქი აია, ფაზისი, დიოსკურია, ციხეგოჯი (არქეოპოლისი), პეტრა – ჭყონდიდის საბრძანებელი, კოლხეთის რამდენიმე ქალაქი და სოფელი პირადად, ასევე თქვენგან მრავალთ, წარმოგვიდგენია კოლხეთ-იბერიის ქრისტიანული სარწმუნოების სათაყვანებელ უძველეს აკვნად, რომელთაც, მოგვიანებით, ქალაქი მცხეთა, მზის ამოსვლასავით, გულღიად შეეგება, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინო კაბადოკიელის მეოხებით და მარადიულ ქრისტიანულ სახელმწიფო სარწმუნოებად დაკანონდა, ერთ დროს ლეგენდარული მეფე აიეტის, ოქროს ვერძის საოცრება ასული მედეას მითოსურ-მისტერიული კოლხური მხარით და სრულიად საქართველო.

ჩვენს მარტოსულ, სიცოცხლით სავსე პლანეტაზე ექვს მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს: ხუთი მილიარდი, თუ მეტი არა, ქრისტიანი არ გახლავთ, რამდენიმე ათეული მილიონი კი ათეისტია. სამწუხაროდ, მრავალათასეული ანტიქრისტე და სატანისტია. ხოლო ნაღდი ქრისტიანები ვინც ვართ და სხვა უახლოესი აღმსარებლობის მრავალ უფლისმიერ ხალხს კბილებით და სიცოცხლის ფასად გვიკავია კაცთა შორის ჭეშმარიტება, სიყვარული და სიკეთის ზეცისგან განწმენდილი გრძნობები...

უსასრულო ოკეანედან ხმელეთზე უმწეოდ გამორიყულივით, ბავშვობიდან ღრმად მორწმუნემ და ხატმწერმა წარმოსახვით მაინც რომ ვინატრო, სიყვარულითა და სიკეთით სავსემ ვიოცნებო, რათა ზეუსასრულობის უფალს, ლეგენდარულ კოლხეთ-იბერიაში მოევლინა ნათელი იესო. ამით რა სარწმუნოებრივი დანაშაულია დაშვებული? ყველაფერი ის წმიდა წიგნები, საღვთო წერილები, ლოცვები, სწავლებებიც, ოდნავ ან საკმაოდ განსხვავებით შავი ზღვისპირეთში, ქალაქ აიაში, ფაზისში ან პეტრაში რომ დაწერილიყო, ხომ შეეძლო მათივე უსაზღვრო ზეციური ფანტაზია, გავლენა, ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ყოვლისშემძლე ზეციურ დასს კოლხი ხალხი, მრავალი ათასი წლიდან მოყოლებული, უთუოდ ქვეცნობიერად მაცხოვრისეული თანდაყოლილი უძველესი რწმენით და სრულყოფილი ზნეობით ცხოვრობდა. ისე, უბრალოდ და თვითდინებით არ შეიქმნებოდა ოქროს ვერძი და კოლხური ოქრომრავალი კულტურა-ცივილიზაცია... ჩვენ კი, რატომღაც, გვგონია ურყევ კანონად და დოგმებად ქცეული ყოველგვარი დღევანდელი რელიგიური აზროვნება კანონიკები რომ არა, თავზე დაგვექცევა ცა და მიწაო. რეალურად ასე ხომ არ გახლავთ კოსმოსი მოწყობილი; ყოველგვარი ეჭვების გარეშე სამყარო აურაცხელი გალაქტიკებით შეუჩერებლივ მოძრავია და სიახლეებითი უსაზღვრო გარდაქმნებია, საერთო აზროვნებითაც მარად პროგრესული და მისგან მაგნიტურად მოესხივება ყოველგვარი რელიგიური ზესიახლე-სწავლებები ადამიანთა ზნეობრივ წარმმართველი სულიერი ჰარმონია და ვარსკვლავეთური საოცრება, საღვთო წერილისეული შეგონება. უზარმაზარი უსაზღვრო წარმოსახვებითი შემოქმედია თავად სამყარო, ვინ იცის, მართლაც მაცხოვრის მეორედ მოსვლა კოსმიურ გავლენა ულამაზეს მცხეთაში მოხდეს, ვარძიაში, უფლისციხეში, ზღვით განბანილ ფაზისში ან კავკასიის მთებისკენ მიმავალ მარტვილში და მხოლოდ ქართულ ენაზე იქადაგოს, მომავალი ათასწლეულების სიბრძნე, სიკეთე და სიყვარული. ჩვენ ხომ შორსა ვართ ამდაგვარ ზეციურ-ღვთიურ მოულოდნელობათაგან. ეს აუხდენელი ნატვრა ჩემეული ლოცვაა თავად და, ნეტავიც კია ფრიად თავისებურებებით. უჩვენოდაც, უსასრულობის ღმერთისთვის, ყველაფერი წინასწარ ნათელია. საუბედუროდ, ადამიანში ჩასახულ ეშმაკეულ ბოროტად შობილ თვისებებს ხშირად და საბოლოოდ არაფერი არ ჯაბნის. ეს უკვე ცალკე, ისევ კოსმიური მიუწვდომელი ულვთო მკაცრი ძალაა მარად უსაშველო და მეცნიერულადაც შეუსწავლელი. თქვენ, ჩემზე ძლიერნო, ჯობია მას მიხედოთ და ღვთისნიერად გაანელოთ უკულმართული თვისებები, ვინემ ღრმად მორწმუნის კეთილ და ალალ ნატვრას, ალმაცერად უყურებდეთ, რათა ყოველივე ჩემეული ისევ მართალი ცისარტყელას პლანეტარიუმის ანარეკლი ფერებიდან მოედინება შეუდარებელი მზიური და კეთილმოსიყვარულე ზრახვებით. ვის ჰკითხეს ან ვინ უთანხმდება ადამიანებს, სად უნდა მომხდარიყო ღვთის მოვლინება. შესაძლოა, კოსმოსური უთვალავი მოძრაობა-ბრძოლა წინააღმდეგობების ტალღურმა



ცვლილებებმა მაგ დროს შემთხვევით ისრაელში ჩამოიარა, მაგრამ (მართალია, რელიგიურ სწავლებათა ეტაპებთან კი გვაქვს საქმე, ოღონდ) შედეგი? მთლიანობაში გაოგნებულმა ადამიანებმა, რაც კი ვიწვნიეთ, ტანჯვა-წამებით, სიკვდილის ყველა უსაშინლესი ფორმით, ისტორიულად სახეზეა; რასაც ჩაჟამულ ქარბორბალად მოჰყვა მომაკვდინებელი ჯვარცმა, მოწინავე წმიდანის თავის კვეთა, ტანჯვა, პირადი და ხალხთა მასიური შეწირვები, წარმართთაგან საშინელი დასჯები, მკვლელობები, ხოცვა-ჟლეტები, სარწმუნოებათა უთანხმოება, დევნა და ასეთ უბედურებას, საქვეყნოდ ბნელ ტრადიციად ქცეულს, ბოლო არ უჩანს. რათა? რატომ? რისთვის, საბოლოოდ რას ფიქრობს ქვეყნიერების პატრონი? ცნებების, ფანტაზიების, მომავლის ოცნებების და უფრო უხილაობის იქითაა, ყოველივე ადამიანის თანდაყოლილმა უმძიმესმა ბუნებამ ხომ არ გაამძაფრა ის მოვლენები, ზემოთ სულიერი ტკივილებით რომ შევეხე მარად შეუგუებელ ქვესკნელურ ჩვენეულ ხასიათს?

ველური ცხოვრების სინამდვილეში, დედამიწაზე თუ ქვეყნიერებაში, უთვალავი რამე ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და გონებრივი ჭეშმარიტებისაკენ სვლაში უმართავია. საუბედუროდ, მაგ უკეთურობებს სრულიად სხვა ბნელეთური ძალა განაგებს და, აქედან გამომდინარე, მრავალი ზეციურ-სტიქიურ-მომწამვლელი სულის სივრცობრივი ჟანგი ადამიანშიც მძლავრობს და საშინელ ბოროტმოქმედად აყალიბებს. რა თქმა უნდა, ისევ ზნეამღვრეული ვარსკვლავთა უარყოფითი მკვეთრი სხივები მოქმედებს და უკეთურთა ქსელს დღენიადაგ აძლიერებს. ბევრჯერ დამიწერია, რომ კეთილ და ავ პლანეტათა ქვეყნიური ქმედება, ჩვენდა საბედნიეროდ, უფლის კეთილი განგებლობითაა დამუხტული, რითაც მუდმივად გაწონასწორდებ-განიწმინდება კაცობრიობა...

ხოლო ნატრული, მშვიდობიანი, მორჩილი, უფლისეული სულიერების გარემოცვაში აღვლენილი სარწმუნოება მარად პროგრესულ, კეთილ და ურთიერთსიყვარულის გარემოცვაში იქნებოდა. ხალხთა, ეროვნებათა და მრავალ პიროვნებათა განადგურება-ხოცვა-ჟლეტვებს როგორც სრულიად საქრისტიანოში, ასევე ყველგან, უთუოდ ავიცდენდით და არ დაიბადებოდნენ კულტურა-ცივილიზაციის და ხალხთა გამანადგურებელი, ბელადად წოდებული დემონები. ამ შემთხვევაში თბილისის ათი ათასი წმიდანის ისტორია ხომ ყელაფრის მთქმელია! რა თქმა უნდა, როგორც მოგახსენეთ, კოსმოსმაც დედამიწაზე თავისი უარყოფითი სხივებიც მრავლად ჩაყარა და უაზრო-უადგილო მარტვილობა ეშმაკეულ ტრადიციად იქცა... კოლხეთ-იბერიასა და საბერძნეთში, მაცხოვარს, შესაძლებელია, ას ოც წლამდე ან ბევრად მეტიც ღვთიური სვლადიდებით პლანეტის მანათობლად ეცხოვრა, მსოფლიოს უამრავი და ყოველგვარი წამყვანი რელიგიები ოცნება-კაცთმეგობრობაში მოექცია და, მართლაც, უფალს ხელს ვერ შეუშლიდა ფუჭი ადამიანური, დაუნდობელი ბოროტი ძალა და მორჩილ ნებად დაჰყვებოდა უზენაესის უკეთილშობილეს მიუწვდომლობას. ამჟამად?! თვალს ნუ ვხუჭავთ, კრიტიკულად განწყობილო საზოგადოებავ და კარგად გადავხედოთ პლანეტის რელიგიურ მარად კონფლიქტურსა და ხშირად დამღუპველ ნერვიულ შავბნელ მოზაიკას.

უხსოვარი დროიდან ადამიანის უკეთურობა და ბოროტება ყველგან ყელაფერს მისწვდა და უკუნეთური კვალი დატოვა, მაგრამ ზეციურ ანგელოზებს ავი ქმედებით ვერასოდეს მიუახლოვდა: მხოლოდ გამუდმებითი თხოვნა-მუდარით და მორჩილებით, იმედის თვალ-გონებით შესციცინებს. გვიკვირს და ისმის კითხვა, რაშია მდგომარეობა? რათა კოსმოსურ უტეხ, სულიერ, იდუმალ, უფლისეულ ზეენერგიულ ფენომენთან გვაქვს სიახლოვე, როგორც დედამზესთან, მიუდგომელ-მიუწვდომელია ცოცხალი არსებანი, ასევეა ყოველთა მფარველ ანგელოზებთანაც, თავისი ვარსკვლავეთური განსხვავებული სულიერი თუ სივრცობრივი სიშორით. ამ ფორმის შეუძლებლობაზე მოკრძალებით, წუთიერად მაინც ვიფიქროთ და, ალბათ, მთავარანგელოზიც რომ განკაცებულიყო, მაშინვე წიოკით დაუპირისპირდებოდნენ ულვთო-უკუღმართად დაბადებულნი, საშინელი შურით, ბოღმით და ბოროტულ-მოღალატეობრივი ზრახვებით...

ვაჟა-ფშაველას ხევსურეთისეული საკვირველი გამონათქვამია: გველს დაუჩივლია, კბენა ადამიანმა მასწავლაო... (ერთ-ერთმა განაწყენებულმა მისტიკოსმა საშინელება ბრძანა თურმე, სატანა ადამიანის ტყუპისცალიაო!!)

რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია მორგენშტერნი: ნათელი რეალობაა!

უძველესი რელიგიებიდან, უფრო წარმართობიდან, მოყოლებული, დედამიწაზე, სამწუხაროდ, ადამიანებთან ერთად, ღმერთებიც დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს: გადის დრო და გონებრივ-ზნეობრივი წინსვლის მაგიერ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ახალი და ძველი რელიგიები უფრო დაუპირისპირდა ურთიერთს. აღმაშფოთებელ ღვთიურთაგან ისმის კითხვა, საიდან იბადება ამდაგვარი უთანასწორო საშინელებაო?! ჯიუტი ფაქტია, რომ ყოველივე ადამიანის უმძიმესი და უნდო ბუნებიდან მომდინარეობს. ადამის მოდგმის გადამრჩენელად უსასრულობიდან ებოძა მას წმიდა უფლისმიერობა, მაგრამ თავისი შეუთავსებელი ხასიათ-თვისება ყველგან ბოლომდე ბნელ ფორმად ჩადო. თანვე, სრული მიწიერი კაცთა არსება ხომ მარადიულ წვალებაშია და მათი ყოფა ცხოვრებისეული უმკაცრესი გამოცდაა. ამდაგვარი არსებობიდანაც გამოუმუშავდა მას მწარე საპირისპირო თვისებები.

ადამიანი რომ ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან ის ძალას წარმოშობს. ნიცშე უთუოდ დიდ ნებასაც მოაბრძანებს, მაგრამ... საკვირველ და უმნიშვნელოვანეს ვარსკვლავეთურ მოვლენა-მოძრაობათა გაქრობა-აღდგენა თუა სამყაროს სივრცეში, მაშინ საოცარი საწყისი, შუა და ბოლოცაა მისი; აგრეთვე მარადიული ფენომენალური საიდუმლო ხაზიც არსებობს უკიდეგანობაში, რომელსაც დაწყება-დასასრული არ გააჩნია. ჩვენ უთუოდ სივრცობრივი იმ გზა ელემენტ-ხაზთ მოძრაობის მავალნი ვართ, რა თქმა უნდა, აზროვნების, სულიერი და შინაგანი განწყობილების სხვადასხვა სფეროთი. ამქვეყნიური ცხოვრება თითქოსდა მიწიერი თვისებებითაა შემოფარგლული და იქვე ჩამაფიქრებლად ცხოველურ-ფიზიოლოგიური პირდაპირი თანხმობით, ფიზიკურად მრავალი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე; ხოლო შემდეგი სხვა იდუმალი, სულიერ-ფსიქოლოგიური საფეხურები ურთულესია და მის წინაშე ნებისმიერთა რეალური შეგონებები უსუსურია... პიროვნება – ადამიანი, უწყვეტად მოდის სივრცის მიუწვდომელი მდიდარ-უკვდავი უჯრედოვანი საგანძურიდან და შეუწყვეტლივ გადის ზეცის სავსეობის გაგრძელების უსასრულობაში. რატომღაც ბევრს ჰგონია, ყოველივე ჩვენეული მხოლოდ მიწიერი პროცესიაო. მაგრე რომ არაა, მეგობრებო, ფაქტია, კოსმოსური ინსტინქტი, სიმართლესთან ბინადრობს, რათა, თვით დედამიწა, ქვეყნიერების უმცირესი შემადგენელი მორჩილი კონტაქტ-პლანეტათაგანია. ხოლო ადამიანის მთლიანი ფსიქო-სულიერი გონ-გულის გამოუკვლევი სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივად პირადული გაუცხოებული თავის მეობის ძიებაშია, აქვე, რაც მთავარია, ყოველთა მხსნელია და მიუწვდომელი ღმერთისა, ოდითგანვე იმიტომაც დაიწყო ადამიანმა უფლისკენ მოუსვენარი ლტოლვა, ქვეყნიურთან ერთად პირადი, ყოველგვარი სულიერ-გონებრივი განზომილებებით, თითქოსდა ხილული ნაწილობრივ დაემორჩილებინა მას, მაგრამ უკლებლივ ყველა მათგანს, თურმე, გარემოსგან უამრავი პირობები და ყველაფერი ზედმეტადაც სჭირდება, დღენიადაგ ეძებს, უკმაყოფილოა მუდამ, აღუვსებელია, ქმნის, იგონებს სიახლეებს, იბრძვის, ბოროტობს, სულ კონფლიქტშია და იწვის. საბოლოოდ თავისი შინაგანი უმთავრესი ბუნება როგორმე ერთობ უნდა შეიცნოს, დაიურვოს, მაგრამ ისმის კითხვა: აგრე რატომ უჭირს, ეძნელება ყველაფერი და მუდამ წამებაშია?.. უეჭველად მასში მისი გაჩენის და არსებობის შეუცნობადი უფლის მიუწვდომელი და ურთულესი ფენომენია ჩასახული. ან, შესაძლოა, რომ ის, თავად იყოს ყოველივეს და ყველაფრის საწყისი, (ზოგჯერ კითხვასაც ვსვამ: – სატანა ადამიანით ხომ არ გაჩნდა?!) კოსმოსურ უწყვეტ სხივ-მაგნიტს დაქვემდებარებული, ანუ სამყაროს სიმბოლური უიშვიათესი მეტეორული მუქი ლურჯი ქვისგან გამოჩორკნილი სიცოცხლის თასისმიერი (რაზეც მე ხშირად ვსაუბრობ).

მილიონობით და ათასწლეულთა დაგროვილი, მაღალგონიერი აზროვნება დასჭირდა ადამის მოდგმას, ბიბლია – წიგნ-შედევრი რომ შეექმნა; ებრაელთა უძლიერესი თორა

➔

და შესანიშნავ-ნააზრები ყურანი. აგრეთვე სივრცობრივი სულთჰარმონია ბუდისტური მოძღვრებისა. სიყვარულის, სიკეთის და ჭეშმარიტება-ზნეობის დროშა `ახალი აღთქმა~ და, კიდევ რამდენიმე, შედარებით მცირე, მაგრამ ნათელ-თეორიული სწავლა-ქადაგებანი და ამათგან იშვა საოცრება განძთსიმდიდრე ვარსკვლავებით მოვარაყებული ღვთიური წიგნები, ურთულესი მიწიერ-ზეციური ზნეობრივ ჭეშმარიტებათა გამოხატვისა. კოსმოსური უზარმაზარი მომავლის ადამიანებს ისევ ათასეული წლები დასჭირდება, მათივე დროების სრულყოფილი რელიგიური სიახლეების მოსვლის ლოდინში, რის შემდეგ გაუმთლიანდება უფლის, ურთულესი შეუსწავლელი სულის და სრულიად უცხო ზეციურ ახლად აღმოჩენილ უხილავ სამყაროს, ანუ უთვალავ გალაქტიკათა მარად ურღვევ ჰარმონიულ ანსამბლს. ამ სახის შორეული მომავლის გარდაუვალი საღვთო სწავლებანი უფრო კეთილ განსხვავებული იქნება ამჟამინდელ მყარად არსებულთან შედარებით. ხოლო უბრძენესი `ათი მცნებიდან~ დაწყებული წმიდათაწმიდა უამრავი ჭეშმარიტებანი მიმდინარე ტოტებდახუნძლული ათასწლეულისა, ოქროს მოქნილი ზამბარასავით გაჰყვება სამარადისოდ უკიდურესად განსხვავებული სიახლე რელიგიური მოძღვრებების; ასევე აურაცხელ წელთა მერმეც, ნებისმიერ, ახლადგამოცხადებულ სამყაროსეულ სარწმუნოებრივ ჰარმონიას, ოდნავ გაუმჯობესებული ფორმით გაჰყვება მცნება `გიყვარდეს მტერი შენი~... `რათა არ იციან რასა იქმნიან~. მარადიული და უზარმაზარი კოსმოსური ფილოსოფიაა მზის სხივივით ნათელი... დიახ! მომავლის საუკუნეები და ათასწლეულები, უფლისეულ ამოუწურავ გენიათა საოცრება ქმნილებების ჭეშმარიტ და თვითმყოფად წმიდა რელიგიების ეპოქათა ღაღადი იქნება, პლანეტის უმთავრეს და სრულიად სიახლე აღმსარებლობათა გვერდით...



ადვილად შესაძლებელია, მომავალში სიტყვა ტერმინ-განმარტება რელიგიური, შეიცვალოს მოსული მცნება კოსმოსური მოძღვრებებით, რათა აწ მომდინარე უსასრულობის ათასწლეულები სამყაროსეული დაუსრულებელი და მრავალმხრივი ვარსკვლავეთური ფორმა-ძიებებით იქნება სავსე...

წუთით წარმოვიდგინოთ, ადამიანი რომ არ არსებობდეს ჩვენს პლანეტაზე, თავისი მრავალი ხასიათ-ურთულესი ფსიქოლოგიით, რა სახ-ზნეობის და შინაარსის იქნებოდა გაძარცული დედამიწა? უფალი ქვეყნიერების მიმართებაში ზეენარული ძალა ფუნქციებით როგორ იმოქმედებდა, ამ თემაზე მიახლოებითი გააზრებაც კი ძნელია. სრულიად ვამართლებ ბრძენ მეცნიერს – `ადამიანი ციდან ჩამოგდებული ღმერთიაო~. აგრეთვე სიღრმისეულად რომ გვმოძღვრავენ, – `ადამიანს ზეცა ახსოვსო~, მაგრამ მას დროულად მიწა ულამაზესი, კეთილი, წყალი, ჰაერი და აურაცხელი ცოცხალი არსებანი დახვდა. რა თქმა უნდა, ის თავიდანვე ზეციური სრულყოფილებით ვერ ეწვეოდა დედამიწას და გარდაუვალი ევოლუციური განვითარებაც ბუნებასთან სიახლოვით თანადროულად მიიღო, მგრამ, როგორც თავის დროზე მოგახსენეთ, ზეციდან უმთავრესი ვარსკვლავების კეთილი და უხიაგი თვისებები უკლებლივ ჩამოჰყვა, მათგან უმთავრესი სიყვარული და ბოროტქმედებიანობა. დედამიწაზე ღმერთი და ადამიანი ერთად გამოჩნდა და სამარადისოდ დამკვიდრდა, მაგრამ კაცთა მოდგმა, თავისი ბრმა და გონებრივი სისუტეებიდან გამომდინარე, მარადიულად დაეძებს თავის გვერდით მყოფ უფალს და ხშირად ღალატობს კიდევაც. დადგენილი ვერსიაა, როგორც ხშირად ვწერ, მხოლოდ სამყაროს ახალმა უკეთილშობილესმა დინება-ნაკადმა უნდა უშველოს მათ... უფლისმიერად ძირფესვიანად გააძლიეროს და თავადვე გააწმენდინოს თავისი კუთვნილი მხოლოდ სულიერი გარემო წმიდათაწმიდა ზნეობრივი ფორმიდან დაწყებული, თუ არადა, დედამიწაზე ადამიანის ტანჯვა-წამებას დასასრული არ ექნება

მზის სისტემის სანიმუშო მიწიერმა მასპინძლებმა შხამს ამოვლებული სულით აწამეს მაცხოვარი და ყაჩაღის დონეზე მოკლეს. მერე სიბრძნისეულად ითქვა, ასე უნდოდაო მხსნელს, რათა გამოესყიდა, თურმე, დიდიან-პატარიანად მისივე მკვლელებითურთ თანდაყოლილი ბინძური ცოდვებისგან. მერე?! მაინც არ დაადგა საშველი და სხვა ფორმით უფრო მძაფრად გაგრძელდა მორჩილ მორწმუნეთა გაუთავებელი დასჯა, ტანჯვა და მკვლელობები. მხოლოდ ასეა საჭირო, თუ არადა სამოთხეში ვერ მოხვდებითო. ალბათ, გულუბრყვილო ფანატიკოსები მალე უბოროტეს დამნაშავეებსაც გაამართლებენ მიტევების ფონზე ის საშინელი უკეთურობა ხომ ფაქტიურად მასიურად, მათ, კანონმდებლებმაც, განახორციელეს.

ამქვეყნიურობა უწყვეტი წინააღმდეგობებია და სიცოცხლე ჟამთა სვლით ურთულესია, კოსმოსური თუ უახლოეს მიწიერ მოვლენათა ჩახლართული ხვეულებით. უპატიებელ შემთხვევაშიც გვეუბნებიან, ყოველივე მაგ სახის მოქმედებები აუცილებელ-ჩვეულებრივია თურმე. აქ დავძენ უმძაფრეს მოვლენას: `მამა, რატომ მიმატოვე?!~ – ჯვარზე გაკრული და უკიდურესად ნაწამები, დასისხლიანებულ-სხეულდაგლეჯილი, მომაკვდავი იესო, მარტოდ დარჩენილი, მიწასა და ცას შუა ჯვარს ცმული, შესთხოვს უფალს და ზეციდან პლანეტის წონის ბრილიანტ-ცრემლი გადმოვარდა. მაცხოვრისეული ასეთი უმძიმესი გარემოების შემთხვევაში მიუწვდომელი ფსიქოლოგიურ-მართალი ფიქრ-ვედრებაა და უკიდურესობისას მაცხოვარი რეალურობით გაიხსნა და იდუმალ მკვებავმა, ღვთიურმა გონ-სულით სინათლის უშორესმა მართალმა გონიერმა ფორმამ ათქმევინა: რატომ მიმატოვე, მამა?! საუბედუროდ, უსაზღვრო სამყაროს მთავარ-უფალიც ვერ უმკლავდება თურმე ავსულსხივოსან პლანეტებს და დედამიწაზე მისი გავლენისაგან ბოროტად მცხოვრებთ, რათა უმეტესობათაგანი სიკვდილამდე გამოუსწორებელი სიავის საშოა...

წარმართობიდანაც უსაშველოდ ცოდვილიანთ, კეთილი და მოსიყვარულე, ბრძენთაბრძენი, ზეციური მოვლენა მხსნელი როგორც იქნა გვეახლა გადამრჩენად, ჩვენ კი ჯვარცმა, წამხდარი ძმარ-შხამწურწუფა შევახვედრეთ.

შხამისფერ მრავალფეხა უკიდურესად მონდომებულმა ეშმაკმა ვერაფერი ვერ დააკლო იესო ქრისტეს, ჭეშმარიტების მოძულეებმა კი დაუნდობლად აწამეს და სიკვდილით განიშორეს. სათაყვანებელი წიგნი `ახალი აღთქმა~ ჩვეულებრივი მომუშაკე პიროვნებებიდან უფალ იესოს მიერ მოციქულებად ნაკურთხებმა დაწერეს მაშინ, როდესაც მაცხოვარი დედამიწიდან ამაღლებით გასული იყო. წმინდა ოთხთავი უთუოდ, აწმყო-მომავლის წარმოუდგენელი იმედით სავსე, ბრძნული და კეთილაზროვნებითი რელიგიურ-ქრისტიანული სწავლებაა, რომელშიც შესწორებების შეტანის უფლება მხოლოდ ღმერთ იესოს ექნებოდა და აქვს, მაგრამ...

დრო უსასრულობიდან მოედინება უწყვეტად და დაუსაბამობაში გადის.

სიბრძნე-სიმართლის ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სრულ ჭეშმარიტებაზე, უფალი მხოლოდ გენიოსებს აზროვნებს. როგორც თქვენ ნებისმიერნი, მეც ხომ უფლის და სამყაროს უმცირესი ნაწილაკი ვარ და ჩემდა უნებურად ზოგჯერ ნაწილობრივ სიმართლეზე ავლაპარაკდები: რატომ?! მიუბრძანეთ ზეუზენაესძალებო, მკვლელებად შობილ უბოროტეს არსებებს, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარულისა და ზნეობრივი ბედნიერების მომტანი და სიცოცხლის უფლისეული სიმბოლო – ძე ღვთისა, მამაზეციერი იესო?!

სწავლებაში მტკიცედ ჩაკეტილნი დამაჯერებლად გვმოძღვრავენ, ამდაგვარად წერია საღვთო წერილშიო. ნებისმიერი მოძღვრებათაგანი ხომ კაცთა მიერ დაწერილია, მრავალმხრივი ზეციური შეგონება-ცნობიერებიდან გამომდინარე. უფალს და ძე ღვთისას ერთი წინადადებაც არა აქვთ ჩვენთვის შექმნილი წერილ-ნაანდერძევი. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მაცხოვრის უსაზღვროდ სპეტაკმა შეგნებამ, მიმნდობმა სულიერმა დაყოლამაც განსაზღვრა მთავარ-შემაძრწუნებელი და ქვეყნიურ უმძიმესი სისხლიანი ჯვარ-ტრაგედია.

დედამიწელების შავი ძალებისგან მხსნელი, თითქმის უმეტესობისაგან მიტოვებული, უარყოფილი, განწირული პირადი ზეციური ზნეშემართებით, ყველაფერზე და ყველაზე აღმატებული აღმოჩნდა. ეჭვს გარეშეა, კოსმოსური უარყოფითი ურთიერთში გადაბურდული სხივებიც გარემო სივრცეში ხომ უხილავ ხავსისფერ კაპილარებადაა დაქსაქსულ-ჩასახული. ჩვენი კი, მცირედ დარჩენილნი, მოულოდნელი ზეციური მრუდე მოვლენებისგანაც წინდაუხედავად და საცოდავად შემცდარნი ურთიერთგანმწირავ გადაბრალებებზეც ვართ გადართულნი. ამდაგვარი დაუსრულებელი მდგომარეობით დაღონებულნი, სამართლიანად ვკითხულობთ: – რა ხდება ჩვენს ირგვლივ და სამყაროში?! თქმაც არ უნდა, მიუწვდომელი განზომილების და უმკაცრესი უდრეკ, დაუმორჩილებელ კოსმოსურ უმძაფრეს გარდამავალ წესრიგთან გვაქვს საქმე-შეხებები, რომელიც ჯეროვნად აღაზევებს ცოდვილიანობისკენ გადახრილ კაცთ-ეშმაკეულთ.

ჩვენგან, ყველას ხომ არ ძალგვიძს თვალ-გონების დახუჭვა და გულლიად ვაღიარებთ, რომ გონ-სულიერი მოთმინებით უნდა ველოდოთ შეწუხებულ პლანეტაზე უფლისმიერ უკეთილშობილეს ზნეობრივ-განმწმენდავი ჭეშმარიტების ჰარმონიის მეორედ მოსვლას...

*დასასრული იქნება*

კულტურა

# პიანისტთა მე-2 საერთაშორისო კონკურსი ბორჯომში

საზეიმო ცერემონიაზე კონკურსის დამაარსებელმა **თამარ ლიჩელმა** 4 ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, I-II-III პრემიის გამარჯვებულები და ცნობილი მუსიკოსებისა და მუსიკალური ორგანიზაციების მიერ დაწესებული სპეციალური პრიზის მფლობელი მონაწილეები დააჯილდოვა.

დაკავებული ადგილების მიხედვით, კონკურსანტებისათვის გაიცა სოლიდური ფულადი ჯილდოები. კონკურსის საპრემიო ფონდი წელს 15 000 ლარით განისაზღვრა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესდა.



დაჯილდოების ცერემონიალი

კონკურსი საზეიმოდ 20 ივნისის გაიხსნა და 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში საქართველოს გარდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულმა 6-დან 25 წლამდე ასაკის კონკურსანტებმა მიიღეს მონაწილეობა.

საკონკურსო მოსმენებში მონაწილეები შეაფასეს ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, ბოსტონის ნიუ-ინგლანდის კონსერვატორიის პროფესორმა ალექსანდრე კორსანტიამ, ჩაიკოვსკის და კლივლენდის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, გამოჩენილმა პიანისტმა ალექსანდრე გინდინმა და კონკურსის დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, პიანისტმა თამარ ლიჩელმა.

აღსანიშნავია, რომ კონკურში წარმატებული გამოსვლა ჰქონდა ბორჯომის სამუსიკო სკოლის პედაგოგების – მარინა რატიანისა და მარინა გაბაშვილის მოსწავლეებს. პატარა პიანისტები ბარბარე გაგლოშვილი, ლიზი ხაჩიძე და საბა ლომსაძე კონკურის მე-2 და მე-3 ადგილების მფლობელები გახდნენ. დიპლომით დაჯილდოვდა ასევე ბორჯომის სამუსიკო სკოლა, – კონკურსის დაარსებიდან დღემდე აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობისათვის.

აღსანიშნავია, რომ წელს კონკურსმა ფესტივალის სტატუსიც მიიღო. კონკურსანტების მოსმენებთან ერთად 21, 24 და 25 ივნისს გაიმართა გამოჩენილი პიანისტების ალექსანდრე გინდინის, გიგი პიანომენისა და ბექა გოჩიაშვილის კონცერტები.

საკონკურსო დღეებს სასტუმრო „Crowne Plaza"-მ უმასპინძლა.

თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა ბორჯომის საერთაშორისო კონკურსი 2015 წელს ღვაწლმოსილი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, თენგიზ ამირეჯიბის საპატივსაცემოდ დაარსდა. 2017 წელს კონკურსს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა.

კონკურსის მიზანი კლასიკური მუსიკით ახალგაზრდების დაინტერესება და მათი საშემსრულებლო დონის ამაღლებაა.

კონკურსის დაარსებიდან დღემდე მისი აქტიური მხარდამჭერი ბორჯომის მუნიციპალიტეტია.

# ფილმის პრემიერა

როცა ემოციებით, ძეგრძნებეითა და განცდებით ივსები, სიტყვები აქ უკვე ზედმეტია.

ამ საღამოსაც ასე მოხდა.

ჯერ იყო წითელი ხალიჩა, შემდეგ სამახსოვრო ფოტოები ფილმის დიდ ბანერთან, შემდეგ რეჟისორის სიტყვა, სიტყვას ფილმი მოჰყვა, ფილმის სცენებს ემოცია და ემოციას ცრემლი...



იყო ამბავი ექვთიმესი, გულში ჩამწვდომი და სევდიანი, ამაღელვებელი და დარდიანი, ტკივილიანი და, ამავდროულად, იმედიანი.

ექვთიმეს ცხოვრებით იცხოვრა მაყურებელმა მის საქართველოში, მისივე გულითა და სულით, მისივე განცდებითა და მოლოდინებით.

გასაკვირი არაფერია, ერთია სამშობლო ჩვენი და ერთია გულიც ჩვენი მისთვის მფეთქავი.

დიახ, ამ დღეს ყველას უნდოდა ყოფილიყო ექვთიმე.... ექვთიმე ღვთისკაცი, კაცი მართალი, და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული.

P.S. ბორჯომის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძესა და მსახიობთა დასს ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის" გადაღებისა და ბორჯომში ჩამოტანისათვის.

საპრემიერო ჩვენებამ ბორჯომში 15 ივნისს ცენტრალური (ისტორიული) პარკის კინოთეატრში სრული ანშლაგით ჩაიარა.

ფილმის ჩვენებას სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი კახა სამხარაძე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ლიპარტია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოგიჩაიშვილი და მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირები დაესწრნენ.

სიუჟეტი 1921-1945 წლებში ექვთიმეს საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს ასახავს. ფილმის მთავარი გმირი ქართველი ერის საგანძურს იცავს მსოფლიოს ცნობილი მუზეუმებისგან, მდიდარი კოლექციონერებისგან, კრიმინალებისგან. სურათში ასევე ექვთიმე თაყაიშვილისა და ნინო პოლტორაცკაიას გამორჩეული სიყვარულის ისტორიაა აღწერილი.

ლონდა ფილიშვილი

# გილოცავთ!

*სახალხო მთქმელს გურამ ქუნცელს (ივანიძეს) 75 წელი შეუსრულდა. იგი დიდი ხანია ცხოვრობს და მუშაობს ბორჯომში. მას, როგორც პროფესიონალ ავტომძღოლს, კარგად იცნობს ბორჯომის მოსახლეობა და დიდ პატივსაც სცემენ. მიუხედავად იმისა, რომ მას აკადემიური განათლება არ აქვს მიღებული, თავისი დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით მიაღწია იმას, რომ გამხდარიყო საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი და თავისი კალამი პოეზიაშიც ეცადა. მისი, როგორც სახალხო მთქმელის, ლექსები, სისტემატურად იბეჭდება გაზეთ „ბორჯომის" ფურცლებზე და მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.*

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია ულოცავს გურამ ქუნცელს საიუბილეო თარიღს, უსურვებს წარმატებებს, დიდხანს სიცოცხლეს და იმის უნარს, კიდევ ბევრი, ლამაზი ლექსით გაეხარებინოს თავისი თაყვანისმცემლები.*

*აქვე გთავაზობთ მის ერთ ლექსს:*

## როგორ მინდოდა

როგორ მინდოდა სოფელში
მეცხოვრა, გამეხარაო,
მქონოდა ჩემი სახლ-კარი,
ბაღჩა, ბაღი და ყანაო.
მეთიბა მინდორ-ველები,
მემწყემსა ნახირ-ფარაო,
მეკოცნა, გულში ჩამეკრა,
ჩემ სოფლის დიდ-პატარაო.
დავმტკბარიყავი მე მისი
მშვენიერებით თანაო,
ჩემი ლექსებით შემემკო
ყოველი დრო და ხანაო.
მელოცა სალოცავებზე,
„ჯვარზე" და „საყდართანაო",
დამენთო წმინდა სანთლები
ვინაც ვერ გაიხარაო,
მეძმო და მესიყვარულა,
მეზობელ სოფლებთანაო,
რომ მოვკვდე, დავმარხულიყავ
საყვარელ მშობლებთანაო.
მაგრამ ჩემ საუბედუროდ
თავს მიწა დამეყარაო,
ბედ-იღბლის უკუღმართობამ
სოფელთან სულ გამყარაო.
და-ძმებმაც ზურგი მაქციეს,
ღარიბ-ღატაკი ხარაო,
ღმერთო, მიშველე, არ ვიცი,
კვლავ რა მომელის ხვალაო.

გურამ ქუნცელი (ივანიძე)

# საქართველოს სახელმწიფოს პრობლემები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა რეპატრიაციის საკითხი

**ტარიელ ფუტკარაძე**

***პროფესორი***

ქართველთა მიერ პირველი სახელმწიფო დაფუძნდა დაახლოებით 3300 წლის წინ; მის საზღვრებს წარმოაჩენს უძველესი კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი, რომელიც **მოიცავს ისტორიულ მესხეთსაც.** უძველესი დროიდან ქართველებით დასახლებული მესხეთი ბოლო საუკუნეებამდე ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი.

რუსეთის მიერ 1801-1865 წლებში ანექსირებულმა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა 1918 წელს. ისტორიული მესხეთი სრულად შედიოდა მის საზღვრებში, მაგრამ ოსმალეთისა (და მისი სამართალმემკვიდრე ქემალისტური თურქეთისა) და რუსეთის შეთანხმებით /ქართველთა სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებით/ **1919-1921 წლების შემდეგ საქართველომ დაკარგა ისტორიული მესხეთის ერთი ნაწილი** *(ხოფა-ბორჩხა-ართვინის, ოლთისის, თორთუმის, იუსუფელის მხარეები).* **ამავე გარიგებით,** მესხეთის მეორე ნაწილი, საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, დარჩა კომუნისტურ რუსეთს.

საკუთრივ, საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ არანაკლები უბედურება მოუტანა მესხეთის მოსახლეობას; კერძოდ, საარქივო მონაცემების მიხედვით, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გადაასახლეს დაახლოებით 19 ათასამდე ოჯახი *(94 000 ადამიანი)*; მათი უმრავლესობა, წარმოშობით, ეთნიკური ქართველი იყო, მაგრამ საბჭოურ საარქივო მონაცემებში ამათგან 14 ათას ოჯახს ეროვნებად „თურქი" უწერია, დანარჩენს – აზერბაიჯანელი, თარაქამა ან ქურთი; კერძოდ: სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-ის დადგენილების საფუძველზე, სულ საქართველოს სს რესპუბლიკიდან სპეცგადასახლებულ იქნა 19 818 ოჯახი. მათ შორის: თურქები — 14 493 ოჯახი; ქურთები — 1 830 ოჯახი; აზერბაიჯანლები — 3 058 ოჯახი; იეზიდები — 7 ოჯახი; თათრები — 126 ოჯახი და ხემშილები – 304 ოჯახი *(დეპორტირებული მოსახლეობის ეროვნების განსაზღვრის თვალსაზრისით, საინტერესოა ორი დიდი ბოლშევიკის: სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის დისკუსია:*

***სერგო ორჯონიკიძე:*** *"ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სცხოვრობს 55 000 თურქი..."*

***ფილიპე მახარაძე:*** *"ამ მაზრებში არავითარი თურქები არ მოიპოვება და იმ მოსახლეობას, რომელიც აღნიშნულია თურქებათ, 80 %, ან თითქმის 90 %-საც კი შეადგენს ქართველი მუსულმანები, დანარჩენი 10-20 %-ს კი შეადგენენ თურქები, თარაქამები და სხვანი (ფილიპე მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, ნაციონალური საკითხი, თფილისი, 1924, გვ. 264).*

დღეს საქართველოს მესამედი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ქართველთა სრული გენოციდია განხორციელებული აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში; **სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილზე ვერ ფუნქციონირებს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.** ასეთ უმძიმეს სიტუაციაში შეუძლებელია დემოგრაფიული ხასიათის ისეთი სერიოზული პროექტების განხორციელება, როგორიცაა **1944 წელს კომუნისტური იმპერიის ხელისუფლების მიერ გასახლებული მოსახლეობის რეპატრიაცია;** მით უმეტეს, არსებობს რისკი, მესხეთში მათი კომპაქტურად დასახლების შემთხვევაში, პროვოცირდეს მათი რეალური ეთნიკური დაპირისპირება 1829 წელს რუსი გენერლის – პასკევიჩის – მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებულ **სომხებთან** *(ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალისათვის იხ.: http://www.ahiska.moy.su/news/2008-02-24-48: "Фанатичная вражда армян к туркам шокировала представителей Федерального Союза народов Европы, которые 10 ноября 1998 г. участвовали во встрече с армянской общественностью в Армянском государственном театре в Тбилиси. Член делегации С.Червонная, побывавшая в Тбилиси с целью ознакомления с положением турок, отмечала в своем отчете, что делегация ФСНЕ на этой встрече "имела возможность воочию убедиться, с какой развязностью выдвигаются в этой среде претензии и идеи, проникнутые яростной туркофобией"...)*

1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლების აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა სახელი: "მესხი", „მუსლიმანი ქართველი", "თურქი", "თურქი-მესხი"... წინააღმდეგობრივია ევროსაბჭოს დოკუმენტების ტერმინოლოგიაც *(რომელიც შექმნილია ქართველ პოლიტიკოსებთან კოორდინაციითაც).* ზოგ დოკუმენტში გამოყენებულია "Meskhetian population", რაც ქართულად `მესხეთის მოსახლეობას~ ან "მესხ მოსახლეობას~ ნიშნავს, ზოგში კი – "Meskhetian Turks", ანუ "მესხეთის თურქები".

ეს ტერმინოლოგიური სიჭრელე მანიშნებელია, რომ არც საერთაშორისო სივრცეში და არც საქართველოს პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილში ამ საკითხთან მიმართებით სწორი ხედვა არაა ჩამოყალიბებული.

საკუთარი ისტორიული იდენტობის განსაზღვრაში სხვადასხვა მიდგომა აქვთ 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლებსაც; მსჯელობისათვის იხ. მაგ.:

"Среди турок-месхетинцев нет согласия по поводу своего собственного происхождения. Более 80% из них считают себя потомками этнических турок-«ерли» (турецкоговорящие земледельцы) и «теряклы» (пастухи-азербайджанцы), остальные возводят свою родословную к части грузин-месхов и армян-хемшилов, принявших ислам в XVII – XVIII веках и перешедших на турецкий язык. Имеется также версия о том, что турки-месхетинцы произошли от симбиоза одного из родов турок-османов, осевших здесь, все с тем же грузинским племенем месхов".



სურათებზე: მაჰმადიანი მესხები. გასული საუკუნის 20-იანი წლები

რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობრივი შინაარსის მიუხედავად, არსებული აკადემიური კვლევები ცხადყოფს (ამ წიგნში, რატომღაც, მესხური მეტყველება ჩათვლილია თურქული ენის დიალექტად; სინამდვილეში, უეჭველი ფაქტია, რომ ისტორიული მესხური მეტყველება არის ქართული ენის დიალექტი, ხოლო დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილის სალაპარაკო ენად იქცა თურქული ენის ზეპირი ნაირსახეობა), რომ დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო ეთნიკური ქართველი (ან ქართულენოვანი), ხოლო ნაწილი, მართლაც, იყო ეთნიკური თურქი თუ თარაქამა; შესაბამისად, პირადად მე, დეპორტირებულთა საერთო სახელად ვირჩევ შესიტყვებას: **"1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა".** 2004-2007 წლებში ევროპულმა ცენტრმა განახორციელა ფართომასშტაბიანი პროექტი *(მისი ბიუჯეტი შეადგენდა 318 ათას ევროს),* რომელიც მიზნად ისახავდა დეპორტირებულ მესხთა მდგომარეობის შესწავლას ამჟამინდელი განსახლების ქვეყნებში. ევროპული ცენტრის ცნობით, პროექტის ფარგლებში დეპორტირებულ მესხთა ამჟამინდელი განსახლების ცხრა ქვეყანაში პირველი რიგის კვლევები ჩატარდა. ამ მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანში 95 000 მესხი ცხოვრობს, ყირგიზეთში – 50-70 000, ყაზახეთში – 150 000, რუსეთში – 68 400, უზბეკეთში – 25 000, უკრაინაში – 9 200, თურქეთში – 35 000, საქართველოში – 700, აშშ-ში – 2 000. თუ ამ კვლევის შედეგებს დავეყრდნობით, ცხრავე ქვეყანაში ერთად დაახლოებით 455 000-მდე "მაჰმადიანი მესხი" ცხოვრობს. ბოლო წლებში რუსეთის (კრასნოდარის მხარის) ხარჯზე 12 000-მდე გაიზარდა აშშ-ში გადასულ "მუსლიმან მესხთა" რაოდენობა. ამავე კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში დაბრუნების მსურველთა რაოდენობა დაახლოებით 100 000-ს შეადგენს.

შდრ.:

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, სამხრეთ საქართველოდან (მესხეთიდან) დეპორტირებულ მოქალაქეთა 5 ათასზე მეტმა შთამომავალმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, რომ დააბრუნოს წინაპართა სამშობლოში.

## ისტორიული ასპექტი

ძველი ისტორიული წყაროებისა და ბოლო საუკუნეების ფაქტობრივი მონაცემების შეჯერება ცხადყოფს, რომ სამხრეთ საქართველოს – ისტორიული მესხეთის – მოსახლეობა ეთნიკური ქართველი იყო; ამ მხარეში ქრისტიანობა იქადაგა ქრისტეს მოწაფემ – ანდრია პირველწოდებულმა. IV საუკუნიდან კი საქართველოს ამ მხარეშიც ოფიციალური რელიგია ქრისტიანობა იყო.

ასევე, ყველასათვის ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველომ – ისტორიულმა მესხეთმა – არაერთხელ შეძლო ერთიანი ქართული (ქართულენოვანი) სახელმწიფოს აღორძინება... საქართველოს ამ მხარისთვის შეუქცევადი მძიმე პერიოდი იწყება 1555 წლიდან, როდესაც ქალაქ ამასიაში ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველო გაინაწილეს, **ოსმალთა პირველი იერიშების მსხვერპლი კი მესხეთი გახდა.**

ოსმალეთის გავლენის ველში მოქცეულ საქართველოს ამ ნაწილში საბოლოოდ დამკვიდრების მიზნით, იმპერიის ხელისუფლება დღენიადაგ ცდილობდა დემოგრაფიული ბალანსის შეცვლას; **დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის ერთ-ერთი გზაა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლა შესაბამისი რელიგიური და ენობრივი პოლიტიკის წარმოებით.**

<u>შენიშვნა:</u> ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების ეპიცენტრში მყოფ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, მოსახლეობა განიხილება უმთავრეს **გეოპოლიტიკურ სიმძლავრედ;** შესაბამისად, გარეშე ძალები დღენიადაგ ცდილობენ მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას (რელიგიისა ან დედაენის შეცვლით), ან ახორციელებენ გენოციდს.

ამ კონტექსტშია განსახილველი შემდეგი ფაქტი:

ოსმალეთის ხელისუფლება გამუსლიმანებულ ქართველს გადასახადს არ სთხოვდა, ქრისტიანებს კი დიდ გადასახადს უწესებდა; ასევე, გამუსლიმანებულ თავად-აზნაურობას პრივილიგიებსა და ძალაუფლებას უნარჩუნებდა, ქრისტიანს კი – ართმევდა. თავდაპირველად, ძალაუფლება რომ შეენარჩუნებინა, თავადაზნაურობა გამუსლიმანდა. ხალხის ნაწილი ჯერ ფორმალურად გამუსლიმანდა საგადასახადო შეღავათების გამო, მეორე ნაწილმა კი კათოლიკობა მიიღო, რადგან ოსმალეთი კათოლიკეებს ნაკლებად დევნიდა *(ისინი დღემდე "ფრანგებად" იწოდებიან).* მესხი მოსახლეობის მესამე ნაწილი მართლმადიდებლად დარჩა... პარალელურად, გამორიცხული არაა, რომ რეგიონში თურქული ტომების ჩამოსახლებაც დაიწყო.

მე-19 საუკუნეში კავკასიაში/საქართველოში გაბატონებისათვის ოსმალეთს მეტოქეობას უწევს რუსეთი. სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია უფრო დაამძიმა რუსეთის იმპერიის გენერალ პასკევიჩის მიერ 1829 წელს ერზერუმიდან დევნილი სომხების საქართველოში დასახლებამ... **რუსეთს დღესაც სურს, კავკასიაში შექმნას მისთვის სასურველი დემოგრაფიული სიტუაცია.**

სამხრეთ საქართველოს – ისტორიული მესხეთის – გამო რეგიონის ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა დაპირისპირება ახალ აქტიურ ფაზაში გადავიდა პირველი მსოფლიო ომის დროს; კავკასიაში გაბატონების მოსურნე ქვეყნების *(ინგლისი, ოსმალეთი, რუსეთი...)* წახალისებით 1918-1919 წლების დამოუკიდებელ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, პროვოცირებულ იქნა რელიგიური დაპირისპირება; დაპირისპირება სისხლიან ავანტიურად აქციეს ინგლისის გარკვეულ წრეებთან დაკავშირებულმა იმდროინდელმა ადგილობრივმა ავანტიურისტმა პოლიტიკოსებმა: **ეთნიკურმა ქურთმა იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლუმ და ქართული წარმოშობის ლიდერებმა: ომერ ფაიკ-ბეგ ყიფიანმა და ოსმან სერვერ-ბეგ ათაბეკოვ-ქვაბლიანსკიმ;** მათ სურდათ საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილზე შეექმნათ მუსლიმანური რესპუბლიკა სახელწოდებით: **"სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკა";** შესაბამისად, მათ ბრძოლა წამოიწყეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ; ბრძოლის საწყის ეტაპად კი დასახეს რეგიონში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის გენოციდი. კერძოდ, 1918-1919 წლებში მათ მიერ მოხდა ქრისტიან მესხთა დარბევა. **დარბევაში აქტიურები იყვნენ სერვერ-ბეგის "ჩათნიკები"** (*პარტიზანები*).

სწორედ ამ ავანტიურის შემდეგ შეიქმნა "მითი", რომ სამცხე-ჯავახეთში მიმდინარეობდა ხანგრძლივი რელიგიური ომი; სინამდვილეში კი, მანამდე და მის მერეც, **სხვადასხვა აღმსარებლობის ძმებს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ.** ამ კონტექსტში, 1919 წელს მომხდარ ერთ მძიმე ამბავს დავიმოწმებ: ახალციხის რაიონის სოფელ ჭვინთის მცხოვრები, მუსლიმანი ქართველი, ვინმე **შავქათ შაქრიძე სერვერ-ბეგის `ჩეთნიკებმა~ აწამეს – ძელზე გასვეს – იმის გამო, რომ იგი საკუთარ ოჯახში ქრისტიან მეზობლებს** ***იფარავდა*** *(მასალა ჩაწერილია სოფელ ჭვინთაში 2005 წლის ივნისში; რესპონდენტი – ჭვინთის მცხოვრები ნაილა ბერიძე; მასალის ჩამწერი – დოქტორანტი მიხეილ ლაბაძე).*

1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ მოიგერია "ჩეთნიკების" ავანტიურა. ცოტა ხნის შემდეგ ამ ავანტიურის ხელმძღვანელი – სერვერ-ბეგ ქვაბლიანსკი – ქემალისტი გახდა; 1923 წელს იგი თურქეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს არტაანის მხრიდან.

## ვინ არის პასუხისმგებელი 1944 წელს მესხეთიდან მოსახლეობის დეპორტაციის გამო?

საარქივო მონაცემების მიხედვით, 1944 წელს საბჭოთა მუშაკებმა მესხეთის მუსლიმანური სოფლები ჩამოიარეს და ხალხს ეროვნებას ეკითხებოდნენ: უმრავლესობა პასუხობდა, რომ "ქართველი" არ იყო *(ყოფილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საარქივო მასალები შეისწავლა და დოკუმენტური მასალის საფუძველზე დაფუძნებული ეს ინფორმაცია მოგვაწოდა* ***პროფესორმა ვახტანგ გურულმა)...***

ადამიანების ეროვნული თუ ეთნიკური იდენტობა განათლების დონეზეა დამოკიდებული; არაიშვიათად, გაუნათლებელი ინდივიდები რელიგიასა და ეთნიკურობას ერთმანეთთან ათანაბრებდნენ. **აკადემიური სამეცნიერო ინფორმაციის უქონლობის გამო არაიშვიათია შემთხვევები, როცა პიროვნებას დაკარგული აქვს იდენტობა ან, ამ თვალსაზრისით, დეზორიენტირებულია;** ჩვენს შემთხვევაშიც, დეპორტირებულთაგან უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია საკუთარი ეთნიკური ისტორიის შესახებ ***(დღესაც, ასევე, ცალმხრივი ინფორმაცია აქვს მათ შთამომავალთა უმრავლესობას).*** მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სიტუაცია დაამძიმა იმანაც, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კათოლიკე ქართველებს ქართული სკოლები გაუხსნეს, მუსლიმან ქართველებს კი – აზერბაიჯანული (სხვათა შორის, ამავე პერიოდში აჭარაში მხოლოდ ქართულენოვანი სკოლები გაიხსნა; აქ, ილია ჭავჭავაძის დროიდან მოყოლებული, ქართულ სკოლებზე იყო ორიენტირება; ბუნებრივია, ამას ადგილობრივმა მოღვაწეებმაც შეუწყვეს ხელი, მაგ., ჰაიდარ, ზია და მემედ აბაშიძეებმა, ხასან თხილაიშვილმა, ბეჟანიძეებმა, ხიმშიაშვილებმა.. პირადად, ჩემთვის საამაყოა, რომ ზემო აჭარაში ერთ-ერთი პირველი ქართული სკოლა გაიხსნა ბაბუაჩემის მამის ოჯახში). **სწორედ სკოლები აღმოჩნდა საბოლოო გზაგამყარი,** კერძოდ: საბჭოთა პროპაგანდის მიუხედავად, ქართულენოვანმა სკოლებმა ქართული ეროვნული მეობა გააძლიერა, ხოლო აზერბაიჯანულენოვანმა სკოლებმა უფრო დათრგუნა მუსლიმანი ქართველების ეთნიკური არსი.

საქართველოს მოქალაქე მუსლიმანი მესხებისათვის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების გახსნაში "ჩადებული" პოლიტიკა, რა თქმა უნდა, იყო საბჭოთა იმპერიის შორს მიმავალი დივერსია ქართველი ერისა და საქართველოს წინააღმდეგ.

## თანამედროვე კონტექსტში არსებითია სხვა გარემოება:

1944 წელს მესხეთიდან გასახლებული ეთნიკური ქართველების ცნობიერებისა და კულტურისგან მკვეთრად განსხვავდება მათი მემკვიდრეების ცნობიერება და კულტურა, რამდენადაც ისინი დაიბადნენ და აღიზარდნენ სხვაენოვან და სხვა ეთნოსების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოებში: რუსეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში... კერძოდ, სამი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. გადასახლებულთა შთამომავლობის ძალიან მცირე ნაწილს ახსოვს ქართველობა; მათმა ერთმა ჯგუფმა დაიბრუნა ქართული გვარებიც და დედაენაც ისწავლა; ამ თვალსაზრისით, საინტერესოა

სამტრედიის რაიონში ჩასახლებულ მესხთა უახლესი ისტორია, რომელიც გამოწვლილვით შევისწავლეთ; კერძოდ, 2002-2003 წლებში ჩემ და ჩემი კოლეგების *(ფილოლოგი ხ. ჯავახაძე, თურქოლოგი გ. ქამუშაძე, ეთნოგრაფი დ. შავიანიძე, ენათმეცნიერი ე. დადიანი...)* მიერ დაარსებულმა ორგანიზაციამ: "ქართველური ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე", ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით, განახორციელა **პირველი პროექტი** სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის მეცხრე უბანში მცხოვრები მესხი რეპატრიანტებისთვის; პროექტი მიზნად ისახავდა რეპატრირებული მესხების ისტორიის შესწავლას, მათთვის ბიბლიოთეკის შექმნასა და ქართული ენის სწავლებას. მეორე პროექტი განვახორციელეთ 2004 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციის" გეგმის შესაბამისად *(პროექტის ხელმძღვანელი ხ. ჯავახაძე, კონსულტანტი მერი ელენ ჩათვინი, სამეცნიერო კონსულტანტი ტ. ფუტკარაძე)*, რომელიც დაარსდა "დასავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივის" პროგრამის დასრულების შემდეგ. პროექტის მიზანი იყო იანეთის სკოლის დახმარება. იანეთში მომდევნო პროექტები გახორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია "ტოლერანტთან" ერთად *(ხელმძღვანელი ც. მესხიშვილი)*. განხორციელებული პროექტების ფარგლებში მომზადდა რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა. ისტორიულ, ლინგვისტურ, ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ მასალაზე დაფუძნებული კვლევა ცხადყოფს, რომ სამტრედიაში დასახლებული მესხების უმრავლესობის ისტორიული თუ ამჟამინდელი ეთნიკური თვითაღქმა (იდენტობა) ქართულია.

2. სამტრედიაში (იანეთში) დაბრუნებული მესხებისგან განსხვავებით, **დეპორტირებულთა შთამომავლების უდიდესი ნაწილი თავს ქართველად არ მიიჩნევს, არ იცის არც ქართული ენა და არ სურს საქართველოს მოსახლეობაში ინტეგრაცია** *(მაგ., ისინი უკვე ინტეგრირდნენ შეერთებული შტატებისა თუ თურქეთის მოქალაქეებში)*.

3. გადასახლებულთა შთამომავლების არც თუ მცირე ნაწილი თვლის, რომ თურქია და სურს დაბრუნდეს მესხეთში, რომელიც, მათივე აზრით, არ უნდა დარჩეს საქართველოს ორგანულ ნაწილად...

**საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით,** საქართველოში დაბრუნების უფლება მხოლოდ იმ პირთ შეიძლება მიეცეთ, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეუფლებიან საქართველოს სახელმწიფო ენას. შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს მათთვის სახელმწიფო ენის სწავლება; ასევე, აუცილებელია, პირველ წლებში მაინც, რეპატრირებულთა ყოფითი ცხოვრების უზრუნველყოფა.

## ვინ უნდა გაიღოს საამისო სახსრები?

1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა მიერ შექმნილი თანამედროვე ვებგვერდები თუ დეპორტირებულთა გამოკითხვების მიხედვით მომზადებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დეპორტირებულთა შთამომავლებს არასწორი წარმოდგენა აქვთ დეპორტაციის პროცესზე; კერძოდ, მათი დასკვნით დეპორტაცია განახორციელეს ქართველებმა, რამდენადაც სტალინი და ბერია ქართველები იყვნენ...

**1944 წელს განხორციელებული მასობრივი ძალადობის – დეპორტაციის – დაბრალება ქართველი ერისადმი უსაფუძვლოა;** ამ პერიოდში ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსები არ იყვნენ ხელისუფლებაში, რამდენადაც საქართველო დაპყრობილი იყო საბჭოთა იმპერიის მიერ; კერძოდ, ფაქტია, რომ **1944 წელს თურქეთის საზღვრიდან მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაცია განახორციელა გერმანია-თურქეთის ალიანსთან დაპირისპირებულმა რუსეთის იმპერიამ;** შესაბამისად, საქართველოდან მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაციაზე მთავარი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კომუნისტური რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ – რუსეთის ფედერაციამ.

## საერთაშორისო სამართალი და ვალდებულება მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციისა თუ კომპენსაციის შესახებ

სხვადასხვა ცნობით, დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლები დღეს ნახევარ მილიონს შეადგენენ. მათგან, ძალიან ბევრი რუსეთსა და აშშ-ში ცხოვრობს, ასევე, – თურქეთსა და აზერბაიჯანშიც, საქართველოში დაბრუნების სურვილი კი, როგორც ვიცით, 5 800 ოჯახმა, ანუ, მაქსიმუმ, ათი ათასმა ადამიანმა გამოთქვა. მოკლედ, ნახევარმილიონიანი მასის შემოდინების საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ვიდრე თუნდაც ათი ათასი ადამიანი დაბრუნდება, ბევრი რამ უნდა დაზუსტდეს; კერძოდ, ის, რომ ადამიანმა, რომელიც საქართველოში დაბრუნდება, სულ ცოტა, საქართველოს სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს, ანუ მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ენის ცოდნასა და კიდევ სხვა კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს. საგულისხმოა, რომ მსოფლიოში არავის აქვს აღებული ვალდებულება, რომ ნახევარ მილიონ დევნილს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დააბრუნებს და, საერთოდ, თუ დაბრუნებაზეა ლაპარაკი, რომელ დეპორტირებულთა დაბრუნებით უნდა დავიწყოთ? პირველ რიგში, შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა შთამომავლების დაბრუნების დაფინანსებით ხომ არა?

პირადად, მე მიმაჩნია, რომ როგორც საქართველოსთვის, ასევე, სახელმწიფოთა ევროპული ოჯახისთვის პირველი რიგის ამოცანაა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსეთის იმპერიის მიერ გამოდევნილი ქართველებისა და საქართველოს ერთიანობის მომხრე აფხაზთა და ოსთა დაბრუნება. ევროსაბჭო და, საერთოდ, მსოფლიო საქართველოს უნდა დაეხმაროს, რომ ჯერ ეს უსახლკაროდ დარჩენილი, შიმშილით სიკვდილის საფრთხის ქვეშ მყოფი ახალდეპორტირებული მოსახლეობა დაბრუნდეს საქართველოს ამ კუთხეებში.

**სამწუხაროა, რომ 1944 წელს დეპორტირებულთა პრობლემაც მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების დაპირისპირების კონტექსტის ნაწილად იქცა;** კერძოდ, კავკასიაში გასაბატონებლად ამ თემით სპეკულირებენ როგორც რუსეთის, ასევე, თურქეთის პოლიტიკური სპექტრის სერიოზული სეგმენტები. შედეგად, **იზრდება საქართველოს სახელმწიფოს შემდგომი დეზინტეგრაციის საფრთხე.**

გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ზემოთ წარმოდგენილი ყველა რისკ-ფაქტორი თუ პრობლემა. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღარ უნდა განმეორდეს წინამორბედთა უმძიმესი შეცდომები *(მაგ., საქართველოს ხელისუფლების მიერ 1999 წელს აღებული ვალდებულება იყო ნაჩქარევი და, განხორციელების თვალსაზრისით,* ***სრულიად არარეალური.*** *იხ.: საქართველოს განაცხადი ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ; / დასკვნა 209 (1999)/: "გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში მიღებულ იქნას სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციას და ინტეგრაციას ქართველ ეროვნებაზე უფლების ჩათვლით; ამ სამართლებრივი საფუძვლის მიღებამდე, მის შესახებ გაწეულ იქნას კონსულტაციები ევროპის საბჭოსთან; გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში დაწყებულ იქნას რეპატრიაციის და ინტეგრაციის პროცესი, ხოლო გაწევრიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში დასრულდეს მესხი მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესი)* და არსებული სერიოზული პრობლემა ისე უნდა მოგვარდეს, რომ დაცულ იქნეს დეპორტირებულთა უფლებებიც და საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიც /არ უნდა მიეცეთ თავისუფალი ქმედების საშუალება იმ ჯგუფებს, რომლებსაც სურთ, სამხრეთ საქართველო ახალ "ცხელ კერად" აქციონ/.

რეპატრიაციის ფართომასშტაბიანი **ახალი გეგმა** უნდა შეიქმნას საერთაშორისო სამართლის ბაზაზე და, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ წახნაგებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნას "საინფორმაციო ომის" პროცესში დეზორიენტირებული საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა; კერძოდ, ამ კუთხით არსებითია:

1. რეპატრიაციის მსურველთა ინფორმირება **წინაპრების ისტორიის შესახებ:**

თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებები ყალიბდება ბოლო ორ საუკუნეში; ამ პერიოდში საქართველო ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ; შესაბამისად, მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებას დიდი დაღი დაასვა რუსეთის იმპერიის ინტერესებმა. ამის გამოა, რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მფლობელობის კონტექსტში საქართველო აგებს საინფორმაციო ომს; კერძოდ, **თანამედროვე ცნობილ ენციკლოპედიებსა თუ საინფორმაციო პორტალებში ქართველად არ მიიჩნევა ქართველთა ნახევარზე მეტი და საქართველოს ისტორიულ მოსახლეობად მიიჩნევიან სხვები...** შესაბამისია *(ნაკლებადეკვატურია)* საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებიც; **ამ ყოველივეს ერთ-ერთი წახნაგია საქართველოში თურქების ავტოქთონობის თემა;** კერძოდ, ე.წ. თურქი მესხების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ საქართველოს ავტოქთონი, ანუ ძირძველი მოსახლეობაა თურქები და ამის დასამტკიცებლად ტერმინ `ბუნ-თურქს~ იშველიებს, რომელიც `ქართლის ცხოვრებაშია~ ნახსენები. სინამდვილეში, `ქართლის ცხოვრებაში~ შესიტყვება: "ბუნ-თურქი" არაქრისტიანი მოსახლეობის ეპითეტადაა გამოყენებული და არა ავტოქთონი თურქების აღსანიშნავად; ეს ვრცელი თემაა; ამაზე სხვაგან გვაქვს მსჯელობა; აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ტომების შემოსვლა იწყება ბოლო საუკუნეებში, კერძოდ, 1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ; საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობა მხოლოდ ქართველები არიან. **შესაბამისად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოში მცხოვრები თუ დეპორტირებული მოსახლეობის სწორი ინფორმირებისათვის,** რამდენადაც, დეპორტირებულთა შთამომავლობის უმრავლესობაში ქართული ცნობიერება, ენა, ეროვნული მეხსიერება სრულიად წაშლილია... არადა, ფაქტია, რომ 1944 წელს, გადასახლების მომენტში, ქართული ენა ყველა გადასახლებულმა ოჯახმა იცოდა; განათლების დეფიციტის გამო მათი დიდი ნაწილი **რელიგიას აიგივებდა ეროვნებასთან და თავს ქართველად** (მართლმადიდებლად) **არ თვლიდა,** რამდენადაც ამ რეგიონის მოსახლეობისთვის მართლმადიდებელი ასოცირდებოდა ქართველთან, კათოლიკე – ფრანგთან, მუსლიმანი – თურქთან. შესაბამისად, დეპორტირებულთა შთამომავლების დაბრუნებამდე აუცილებელია მათი **სწორი ინფორმირება თავიანთი წინაპრების ისტორიის შესახებ**, რომ მათ გაუჩნდეთ ინტერესი, დაიბრუნონ წინაპრების დედაენა; ეს კი ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოში.

2. რეპატრიაციის მსურველთა ინფორმირება **დეპორტაციის პროცესის შესახებ:**

დეპორტაცია დაგეგმა და განახორციელა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ; ამ დანაშაულში არავითარი წილი არ უდევს ქართველ ერს, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს. შესაბამისად, რეპატრიაციის პროცესის მატერიალური უზრუნველყოფა და საქართველოში დაბრუნების მსურველთათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების დაფინანსება უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვდრე ქვეყნის (ქვეყნების) მიერ.

<u>შენიშვნა:</u> 1999 წელს, საქართველოს არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ – რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილმა შევარდნაძის რეჟიმმა - ნაჩქარევად აიღო პასუხისმგებლობა "Meskhetian population"-ის დაბრუნების შესახებ *(და არა – თურქი მესხების დაბრუნების შესახებ)*. ევროსაბჭოს ექსპერტებს "გამორჩათ" ის ფაქტიც, რომ საქართველოს არ გაუსახლებია ეს მოსახლეობა. წესით, **ევროსაბჭოს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთისთვის უნდა მოეთხოვა გადასახლებულთა შთამომავლებისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემა** და ამ ტანჯული მოსახლეობის უზრუნველყოფა სათანადო საარსებო პირობებით.

დღეს, როდესაც 1944 წელს გასახლებულთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხი დგას, ყველასთვის გასაგებია, რომ მათი დიდი ნაწილი უკვე ცოცხალი აღარ არის და საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ განწირულთ უკან ვეღარ დავაბრუნებთ; შესაბამისად, ცოცხლად დარჩენილთა თუ გარდაცვლილთა **პირდაპირი მემკვიდრეების** ნების გათვალისწინებით, საქართველოში დაბრუნების მოსურნეთათვის უნდა შემუშავდეს მრავალწახნაგოვანი და ნაკლები რისკების შემცველი პოლიტიკა საქართველოს საზოგადოებაში მათი უმტკივნეულო ინტეგრაციისათვის, მაგრამ **1944 წელს დეპორტირებულთა რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტამდე მოსაგვარებელია საქართველოსთვის არსებითი სამი უმთავრესი საკითხი:**

I. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

II. პოსტსაბჭოთა რუსეთის მიერ აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან ბოლო წლებში გამოდევნილი 500 000 ქართველის *(თუ საქართველოს ერთიანობის მომხრე აფხაზის, ოსის, რუსის, ბერძენის...)* დაბრუნება თავიანთ სახლებში;

III. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ ტერიტორიაზე – აფხაზეთში, ცხინვალის მხარესა და სამხრეთ საქართველოში /სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ბოლო საუკუნეებში ჩამოსახლებული სომხები და აზერბაიჯანლები) – სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენა.

**აქვე აღვნიშნავ: თავიანთი გადაუდებელი პრობლემები აქვთ 1944 წელს დეპორტირებულთა შთამომავლებსაც; კერძოდ, ყველა ადამიანის უპირველესი ინტერესია სასიცოცხლო პირობების შექმნა;** შესაბამისად, აუცილებელია, მესხეთიდან დეპორტირებულ პირთა მემკვიდრეებისთვის შეიქმნას ნორმალური **ყოფითი ცხოვრების პირობები.** დეპორტირებულთა 100 000 მემკვიდრე საქართველოში რომ ჩამოსახლდეს, ბევრი სხვა გადაუჭრელი პრობლემის გარდა, შეუძლებელი იქნება მათი დასაქმება, შესაბამისად, ფიზიკური არსებობა. არსებითია ისიც, რომ მათი წინაპრების სოფლების დიდ ნაწილში ათეულობით წლებია სხვები ცხოვრობენ, რომელთაც წასასვლელი არსად აქვთ.

რეპატრიაციის მსურველთა დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმის ზღვარზე ცხოვრობს; შესაბამისად, პირველ რიგში, აუცილებელია, **დეპორტაციის პროცესზე პასუხისმგებელმა ქვეყანამ მათ მისცეს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია,** რის შემდეგაც დეპორტირებულთა შთამომავლები თავად აირჩევენ საცხოვრებელ ადგილსა თუ საქმიანობის სფეროს. კერძოდ, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, **უმეტესობას არ სურს ეკონომიკურად მძიმე დღეში მყოფ საქართველოში დაბრუნება,** ვინაიდან მათ არ იციან საქართველოს სახელმწიფო ენა და გაუჭირდებათ აქ ადაპტაცია. ვისაც სურს საქართველოში დაბრუნება და საქართველოს სახელმწიფოში ინტეგრირება, მას ხელი უნდა შევუწყოთ, ოღონდ საქართველოს პირველი რიგის ამოცანების მოგვარების შემდეგ *(საქართველოს დეოკუპაცია; აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დევნილთა დაბრუნება; საქართველოში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სრულად აღდგენა)*.

## დასკვნის ნაცვლად:

1. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმანი მოსახლეობა გაასახლა საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ. ვფიქრობ, ლოგიკურია, საბჭოთა კავშირის ატომური ენერგიის, ინფრასტრუქტურისა და რესურსების სამართალმემკვიდრე ქვეყანამ (ქვეყნებმა) იზრუნოს (იზრუნონ) დეპორტირებული მოსახლეობის ბედზე და გამოყოს (გამოყონ) შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, რომელსაც მიიღებენ დეპორტირებულთა შთამომავლები.

2. საქართველო მუდამ იყო ორიენტირებული კავკასიაში მშვიდობიან თანაცხოვრებასა და აქ დასახლებული თავისი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე; ასეა დღესაც, თუმცა, საქართველოში დაბრუნების მსურველ დეპორტირებულ პირთათვის (თუ მათ მემკვიდრეთათვის) ყველა შესაბამისი პირობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

3. რეპატრიაციის პრობლემა მეტად რთულია და მრავალწახნაგოვან რისკებს შეიცავს. ცივილიზებული მსოფლიოსათვის ნათელია, რომ დეპორტირებულთა შთამომავლების დაბრუნების საკითხი განხილულ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონტექსტში; საქართველოს მხრიდანაც არის მცდელობა, საერთაშორისო სტრუქტურებთან სრული კოორდინაციით შემუშავდეს **რეალური გეგმა** 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა განსახლებისა თუ მათი ნაწილის საქართველოს სახელმწიფოში უმტკივნეულო ინტეგრაციისათვის.

მიმდინარე ეტაპზე ევროსაბჭოს ექსპერტებმა, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებამ, მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციის პროცესში სრულად და ადეკვატურად უნდა გაითვალისწინოს, **ერთი მხრივ,** საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელი მძიმე ვითარება (*1992-2008 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის მხარიდან გამოდევნილი მოსახლეობის დროულად დაბრუნების აუცილებლობა, საქართველოს ნახევარ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენის რთული პერსპექტივა; მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის განწყობა და რისკ-ფაქტორები რეპატრიაციის პროცესში...*), **მეორე მხრივ** კი, რეპატრიაციის მსურველთა ყოფასა თუ იდენტობასთან დაკავშირებული მრავალწახნაგოვანი პრობლემები... ამ თვალსაზრისით, კიდევ ბევრი რამეა შესასწავლი და გასაანალიზებელი.





# ახალციხის გათავისუფლების 190 წლისთავისათვის



1770 წლის გაზაფხულზე რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი, ერეკლე მეორისა და გენერალ ტოტლებენის სარდლობით, ბორჯომის ხეობიდან სამცხეში შემოვიდა. ლაშქრობის მიზანი ახალციხის სამგალავნიანი ციხის აღება იყო, რომელსაც 10 ათასკაციანი თურქული გარნიზონი იცავდა.

17 აპრილს, როდესაც მოკავშირეები აწყურის ციხეს შემოადგნენ, თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ: ერეკლეს სურდა გვერდი აევლო აწყურის ციხისთვის და იერიში მიეტანათ ახალციხის ციხეზე, რადგან ახალციხის აღების შემთხვევაში, აწყურის ციხე ველარ გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, ტოტლებენი კი მოითხოვდა აწყურის ციხეზე შეტევის დაწყებას. დაჰყვა ქართველი მეფე ჭირვეული გენერლის ნებას. ის იყო ცხარე ბრძოლები გაჩაღდა, რომ უცებ ტოტლებენმა ვერაგულად უღალატა მოკავშირეს, მოხსნა თავისი ჯარი და, ერეკლეს ბევრი ხვეწნა-მუდარისა და, ბოლოს, დამუქრების მიუხედავად, უკან დაბრუნდა ბორჯომის მიმართულებით. ერეკლე არ დაიბნა, გათამამებული მტერი უკუაქცია ციხეშივე და, რადგანაც მცირერიცხოვანი ჯარით აღარ შეიძლებოდა ლაშქრობის გაგრძელება, გადაწყვიტა, ასპინძა-წალკის უმოკლესი გზით, თბილისში დაბრუნება. მან აწყურიდან გადალახა ელიზის გადასასვლელი, გადავიდა ასპინძაში, დაამარცხა ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეებიდან წამოსული მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რასაც მოჰყვა ლეკ-ოსმალთა მთავარი ძალების განადგურება. ეს მოხდა შემდეგნაირად: მტერმა, რომელიც მიუხვდა ერეკლეს განზრახვას, თბილისში, მოკლე გზით დაბრუნების შესახებ, გადაწყვიტა ასპინძასთან დახვედროდა და დაემარცხებინა იგი. ამ მიზნით მან თავი მოუყარა დიდ ჯარს, მათ შორის 4000 რჩეულ ცხენოსანს და ასპინძის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დააბანაკა. ერეკლემ ასპინძის მაღლობებთან ჩაასაფრა თავისი ჯარი, ხოლო მტკვარზე გადებული ხიდი ღამით ააყრევინა აღაბაბ ერისთავს, ხუდია ბორჩალოელსა და სვიმონ მუხრან-ბატონს. მეორე დღეს ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. მაღლობებთან ჩასაფრებულმა ქართველებმა ჯერ თოფებით ჩაცხლეს მტრის მეწინავე რაზმები და, შემდეგ, სამი მხრიდან ეკვეთნენ ელვისებური სისწრაფით. ლეკ-ოსმალთა ჯარი შედრკა, აირია, თავზარდაცემულებმა ხიდს მიაშურეს, მაგრამ ხიდი ჩაიქცა. ქართულმა ხმალმა და ადიდებულმა მდინარემ შთანთქა ლეკ-ოსმალნი, გადარჩა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ფეხმარდი ცხენების წყალობით. ერეკლემ საკუთარი ხელით განგმირა ლეკების კოხტა ბელადი მალაჩინი. ეს მოხდა 1770 წლის 20 აპრილს, რომელსაც ასპინძელები „ერეკლეს ნახიდარს“ უწოდებენ.

ასპინძის ომში ერეკლე მეორის ბრწყინვალე გამარჯვებამ ისე დააფრთხო ნიალის თურქები, რომ, თურმე, ცხენებს უკუღმა ადგამდნენ უნაგირებს და თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ.

ასეთი იყო ხმალჩაუგებელი პატარა კახი — ის ყველგან საკადრის პასუხს სცემდა მტერს — ქართლშიც, კახეთშიც, სამცხეშიც... მადლიერი მესხები და ჯავახები ქების სიტყვებს არ იშურებდნენ ასპინძის გმირის მიმართ. დღემდე შემონახულია მრავალი ხალხური ლექსი რომლის პირველშემკრები მე-19 საუკუნის ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი და მკვლევარი „ვინმე მესხი“ — **ივანე გვარამაძე** იყო. ეს ლექსები დაუნჯებულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმისა და თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში. ამ ხალხური ლექსების ნაწილი შეტანილია ექვთიმე თაყაიშვილის „ძველი საქართველოს“ მესამე ტომში (1913-1914 წ.წ.), სერგი მაკალათიას — „მესხეთ-ჯავახეთში“ (1ზ938), სერგო ხოსიტაშვილის — „ასპინძის ომში“ (1972 წ.). ერთ-ერთ ლექსში მთქმელს ასე აქვს გადმოცემული ერეკლე მეორის გალაშქრება სამცხე-საათაბაგოზე:

*„დიდება და მადლი ღმერთსა, რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი,*
*ოთხი კუთხე სულ შეიძრა, თავი რუსთ ხელმწიფე არი,*
*ერეკლეს შემოუთვალა სალამი და საჩუქარი,*
*ასრე მიყვარხარ, ერეკლე, როგორც ჩემი და და ძმანი,*
*მანც მადლობა მოახსენა, მეგობრობა შენი ვცანი,*
*ეს ფაშები მაწუხებენ, ლეკია თუ ენგიჩარი,*
*ცოტა რამ ხანს მოიცადა, შეიყარა გურჯის ჯარი,*
*ადგა და ქართლი შემოვლო, გაამაგრა ტაშისკარი,*
*ხეობაზედ შემოწკიპა, აწყვერს მოვა წინა ჯარი,*
*აწყვრის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი,*
*ესროლა და ჩამოყარა ბედნებიდგან ბაირახტარი,*
*ზეითგან ტყვია ზუზუნობს, ოხერში წყალი არ არის.*
*ბაგალოი გამოვარდა, ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი,*
*სულ გაგვიწყვიტა ლაშკარი, ეს რაღა ღვთის რისხვა არი!*
*რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა, სულ არ დაუჭირეს მხარი,*
*ისევ უკან მიდიოდნენ, რაღაზედაც განაცხარი,*
*შუამავალთ ვერა ქნეს რა, სულ ვერ გარდიხადეს ვალი,*
*ტოტლებენმა უღალატა, სხვას დაადვა თავის ბრალი,*
*ზარბაზნები არ ახმარა, გაბრუნდა შურისგან მთვრალი,*
*მეფემ არაფრად ჩააგდო იმისთანა წუწკი, მყრალი,*
*აწყურითგან გარდავიდა, ასპინძას მიადგა მწყრალი,*
*რაც იქ დაუკლო ლეკ-ოსმალთ, აქ შეუთავა ზარალი,*
*ბევრი მოწიფული ჰყავდა, ხელ-ფეხით ყაფლა-თარალი,*
*თათრებმან შემოუტიეს, სულ არ იცოდნენ ყარალი,*
*ვერც წინ დაუდგნენ, ვერც უკან, გაუცუდდათ ჰალლა ჰალი,*
*იშვირეს პირი, ხიდს ეცნენ, აყრილ იყო გასავალი,*
*პანტ-პუნტით წყალში სცვიოდნენ ქალ, მაჰმადა და სარალი,*
*სალავათიც ვერ მოჰქონდათ, ისრე გასტეხოდათ თვალი,*
*ხრამი შეეკრათ თვითანვე, ვერა ჰქნეს რა, იყვნენ მხდალი,*
*იქ დახვდა კოხტა ბელადი, მას გავარდა ორივ თვალი,*
*ეს ერეკლე გაითხოვა: „აგერ არის საბურთალი“!*
*ნეტავი როგორ შებედა, როგორ გაუმართა თვალი?*
*ორნივ ხმალდახმალ შეიბნენ, მწვე გათამამდა მურტალი,*
*ზედ შევარდა მოურიდლად, ვაი მისი ბედის ბრალი,*
*ისრე გადასჭრა ცხენზედა, წყალივით გაავლო ხმალი,*
*რომ თვითონაც ვერ შეიტყო, გადავარდა ლეკი მყრალი...*
*შენ ერეკლე ჰოქმიანო, ცხენ მაღალ უნაგრიანო,*
*შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,*
*ყვავი, ყორანი ლეშსა სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო,*
*ვაი იმათ გაჩენასა, რა გონჯ ალაგას ჰყრიანო.“*

ამ ლექსში, რომ იტყვიან, ყველაფერი ადგილზეა, — რითმა, რიტმი, შინაარსი. მისი ღირსება კიდევ იმაშია, რომ არ ღალატობს ისტორიულ სინამდვილეს და სწორად, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოგვცემს ფაქტებსა და მოვლენებს.

საინტერესოა მეორე ლექსიც, რომელსაც იმ დროს, იმ ბრძოლების სუნი ასდის. ლექსი ჩაწერილია **ილია მაისურაძის** მიერ 79 წელს მუსხელი ისაკ მაისურაძისაგან 1937 წელს:

*„დაღრუბლა ცა და ქვეყანა, სულ დედამიწა ღვარაო,*
*ერეკლე აწყვერს მოსულა, შვიდი დღე-ღამე მდგარაო,*
*რუსმა აართვა ღალატი, ქურდულებ გაიპარაო,*
*ერეკლემ გადმოიხედა, ცრემლები გადმოყარაო,*
*ერეკლე აწყვერს ვერ დადგა, ჯავახეთ გაეჩქარაო,*
*ასპინძის ბოლოს ავიდა, იქ ლეკი დაეხალაო.*
*ლეკი ჩასხდა მათარისში, თოფს დაატანა ძალაო,*
*მაცადე ჩემო ბერქეზო, მაცადე ჩემო ლალაო,*
*ერეკლემ შემოუქნია, მხრიები დაათალაო,.*
*ხმალდახმალ შევა ქართველი, ცხვარივით წამოშალაო,*
*აშურმიანი ლეკები წყალში უკუღმა ყარაო,*
*არტანულაში შექეცა, ავლაბარ გამოყარაო,*
*შარშან შემძვრალი ჩირგვებში დღესაც ვერ გამომძვრალაო“?*

ქობარელ სახალხო მთქმელ შაო (ალექსი) ჯვარიძეს ასპინძის ომი ასე წარმოუდგენია:

## ასპინძისა და ახალციხის ბრძოლები მესხურ ზეპირსიტყვიერებაში



*„ომისთვის დაჰკრეს ბუკები, ხმალმა დაიწყო პრიალი,*
*დაჭრილთა ოხვრის ხმა მოდის, ისმოდა ისართ ცრიალი,*
*დამარცხებულსა მტრის ჯარებს საქმე ძალიან წაუხდათ,*
*სანამ ხიდამდის მივიდნენ, ხიდი აყრილი დაუხვდათ.*
*უკან მოსდევდა ერეკლე — „დაჰკარით“! მტერს მიჰკიოდა,*
*დამფრთხალი ოსმალოს ჯარი შიშით მტკვარაში ცვიოდა“.*

ლექსი „ასპინძას ერეკლე ვნახე“ ჩაწერილია 1936 წელს, 82 წლის **როსტომ წიწკალაძისაგან** (სოფ. მურჯახეთი, ახალქალაქის რაიონი):

*ასპინძას ერეკლე ვნახე, ხელში ეჭირა ხმალია,*
*ლეკებს თავებს აწყვიტავდა ის ტყვიასავით მალია,*
*ისე მოყარა ლეკები, სულ აღარ სჩანდა კვალია,*
*ლეკების კოხტაც იქ მოჰკლა, მასაც გაუპო თავია,*
*როსტომივით დატრიალდა, ყველას აძახა „ვაია“,*
*სად ეომებით ერეკლეს, ხომ არ გგონიათ ქალია?“*

ასპინძაში გამარჯვებულ ერეკლეს ვერც ხერთვისის მეციხოვნეებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, პირიქით, დიდი პატივისცემით მიიღეს:

*„ხერთვისის ხიდსა შემოდგა, თოფებს არ გააქვთ ძგერაო,*
*თათრებმა თავი დაუკრეს, წინ ვერ დაუდგნენ, ვერაო,*
*მიიღეს პატივისცემით, დალაგდნენ იმ დღეს ჯერაო,*
*ხანუმებმა გადმოხედეს, პირზე გადაჰკრათ ფერმაო,*
*თქვეს: „ვაითუ ძვირად დაგვიჯდეს ამ სარაიათგან ცქერაო.“*
*მერმე რომ უკან წავიდნენ, უწყეს შორიდან მზერაო“.*

ერთ ხალხურ ლექსში ავლანელთა გაკადნიერებული ბელადის აზატ-ხანისა და ერეკლე მეფის შებრძოლებაა გადმოცემული. „ერეკლე რა კაციაო?“ — უკითხავს აზატ-ხანს:

*— „რა მოგახსენოთ, ბატონო, ყმაწვილია პაწიაო,*
*გული უდგია ალმასის, გარედან სალი კლდეაო,*
*ასრე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტურო ხეაო“.*

აზატ-ხანმა გადმოლახა მდინარე არეზის (არაქსის) ხეობა და იწყო ერეკლე მეორის ყმადნაფიცი ნახიჭევანისა და ერევნის სახანოების აოხრება და ბოლოს ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. ერეკლეს საპასუხო მოქმედება ასე აქვს გადმოცემული სახალხო მთქმელს:

*„ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევს გაადინა ჩქაფანი,*
*სისხლისა დადგა მორევი, ცხენს შეეღება ფაფარი,*
*წინ ვერავინ ვერ დაუდგა, მტერს სრესდა მისი ნაფარი.*
*უკრავდა კაცსა მოჰკლამდა იმისი ცხენის ქაქანი,*
*ისრე გარბოდა აზატ-ხან, როგორც ხორასნის ჩაფარი“.*

დიდი ხნის ნაბრძოლ-ნაჯაფარი ქართველი მეფე-სარდალი 1798 წელს გარდაიცვალა. შეეხსნათ ქართველებს „რკინის კარი“, მაგრამ არ უნდათ დაიჯერონ მწარე სინამდვილე. მათ ცოცხლად წარმოუდგენიათ ერეკლე და მისი საქმეებიც. სწორედ ეს აზრია გატარებული ერთ ხალხურ ლექსში, რომელიც 1973 წელს ჩავიწერე „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე **არჩილ ჯვარიძისაგან** (დაბ. 1901 წელს სოფ. ქობარეთში).

*„ცხეთას დგას ოქროსა კუბო, შიგ ნათობს კელაპტარია,*
*შიგა წევს ნეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია,*
*მას დაუხუჭამს თვალები, კი არ გეგონოთ მკვდარია,*
*მაგის გამჩენის ჭირიმე, ჩვენ გულში ცოცხლად არია,*
*შვილებს გადუგდო ბეგთარი და სისხლიანი ხმალია:*
*სანამდის ვიყავ, კარგ ვიყავ, მივძარ-მოვძარი მთანია,*
*ახლა თქვენ შეინახევით ქალაქის მეიდანია.“*

ქალაქისა და მისი „მეიდნის შენახვაში“, ცხადია, სამშობლოს დაცვა-შენახვა და მოვლა-პატრონობა იგულისხმება.

დავამთავროთ საუბარი ასპინძის გმირის შესახებ ხალხური ლექსით, რომელიც ასევე გაგონილი მაქვს არჩილ ჯვარიძისაგან გასული საუკუნის 70-იან წლებში:

*„ერეკლე ბატონისთანას დედა ვერ გაზრდის შვილსა,*
*სტამბოლამდის ხელთ ეჭირა, მოსაზღვრეა დაღესტნისა,*
*ჯერ მლოცველი მაღლა ღვთისა, დამხსნელია წარე ტყვისა,*
*გიორგის მეფობა მისცა, შენი ხმალი კარგად სჭრისა,*
*ვერ გაუძლვა საქართველოს, აიღო და რუსეთს მისცა“.*

*

რა შეიძლება ითქვას ახალციხის ბრძოლებზე. 1828 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარმა პასკევიჩის ხელმძღვანელობით და ქართველების აქტიური მონაწილეობით გაათავისუფლეს ახალციხე თურქთა 250-წლიანი ბატონობისაგან. აღსრულდა ერეკლე მეფის ოცნება — მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ — „ქვეყანა ახალციხისა“ — დედასამშობლოს დაუბრუნდა.

საინტერესო ხალხური ლექსებია შემონახული ახალციხის აღებასთან დაკავშირებით. ასპინძის ომისადმი მიძღვნილ ლექსებში ერეკლე მეორეა ხოტბაშესხმულ-განდიდებული, ახალციხის ბრძოლების ამსახველი ლექსების ქების საგანს პასკევიჩი და მისი მხედრობა წარმოადგენს. „ახალციხის აღება მასკევიჩისაგან“ — ასეა დასათაურებული ერთი ვრცელი ლექსი, რომელიც ოსმალთა ბატონობისდროინდელ ხიზაბავრელ „კარგ შაირის მთქმელ“ მამულას შეუთხზავს:

*„მამულა მოჰყვა ლექსებსა, კარგ შაირების მთქმელია,*
*ღმერთო, უშველე ხელმწიფეს, შენ მოუმართე ხელია,*
*ყიზილბაში გააფუჭა, ის თეირანი მთელია,*
*ახლა აზრუმისკენ მიდის, იქით უჩვენა წვერია,*
*არ ვარგა ყარსისა ციხე, არტანის არაფერია,*
*აქებენ ახალციხისას, იმის აღება ძნელია,*
*იმდენი ჯარი მიუდის, ვარსკვლავივითა ბევრია,*
*ახალქალაქი აიღო, ხერთვისს სწვდა ჯარის წვერია.*
*ყოვლად წმინდა მოეხმაროს და ის იყოს წინამძღვარი,*
*პასკევიჩს წელზე აკრია ღვთისგან დალოცვილი ხმალი,*
*ახალციხეს შემოერტყა, გაადევნა ციხეს თვალი,*
*შემოუწყო ზარბაზნები, დააყარა ცეცხლის ალი,*
*თორმეტი დღე გაუმაგრდა, მეცამეტეს უყო ძალი,*
*შეანგრია და შელეწა სანგრები თუ მიწის ზღვარი,*
*შიდ დაერია სალდათი, სუნგებს[1] გააქვთ ჩხური-ჩხარი,*
*ხოცეს და ჟლიტეს თათრები, აადინეს სისხლის ღვარი,*
*იენიჩარი სულ გაწყვიტეს, ამოიყარეს მით ჯავრი.*
*მეჩითები სულ წაართვეს, შიგან ჩამოჰკიდეს ზარი,*
*ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს, ცაში ადიოდა ალი,*
*ხანდრის წვერზე აიყვანეს ქრისტიანნი, კაცი, ქალი.*
*აქებენ ქოსა ფაშასა, მას დაუბრმეს ორივ თვალი,*
*ვალის ჭალაში დაყარა იმოდება დუნგო[2] ჯარი,*
*სულ არ უშველა ქალაქსა, არ ეომა რუსს დამფრთხალი,*
*პასკევიჩმა გაისტუმრა, ვით გასათხოვარი ქალი,*
*თავზედ ჩიქილა დახურა და ზედ წამოასხა ჩარი,*
*უთხრა, წადი, გამეცალე, გინდ მადრიელი, გინდ მწყრალი,*
*რაც გეწადოს, ისა ჰქენი, შეიყარე დიდი ჯარი,*
*ამ საქმეზედა გაგზავნე სტამბოლს ხვანთქართან ჩაფარი,*
*მე ბევრს არ დავიგვიანებ, არ მჭირია ფარი, ხმალი,*
*ხევ-ღელებს, მთებს გადმოვლახამ, წინ მიძღვის ჩემი ნაფარი,*
*სულ თამაშობით წამოვალ, მოგივათ თქვენც ა ხაბარი,*
*აზრუმს მოვალ, იქა ვნახამ, თქვენ სარასკირს, რაღაც არი“.*

ახალციხის აღებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ხალხურ ლექსს წარვუდგენთ მკითხველს. ეს ლექსი, მართლია ვერ შეედრება მამულას ლექსს მხატვრულობის თვალსაზრისით, მასში აქა-იქ დარღვეულია მარცვალთა რაოდენობა, რითმა. რიტმი, მუსიკალობა, მაგრამ აშკარაა ის სულისკვეთება, რაც დაუფლებოდა მაშინდელ მტერ-მოყვარეს. ლექსი ჩაწერილია 1937 წელს **ილია მაისურაძის** მიერ ზემოხსენებული ისაკ მაისურაძისაგან:



პასკევიჩი

*„გამთელდა ცა და ქვეყანა, ჩვენთვის ამოქროლდა ქარი,*
*პასკევიჩი ცხენზე შეჯდა, შეიქმნება ნიავ-ქარი,*
*ყარსის ფაშას შეუთვალა, კარგად გაახილე თვალი,*
*ასი ათასი სალდათი, სულ შელესილი ხმალითა,*
*შიესივნენ ყარსის ციხეს, შეუშალეს დავთარია,*
*გამოიყვანეს ყარსის ფაშა, უკან გაუკრეს ხელია:*
*— შენ თბილ ქალაქსა წადი, იქ არი წყალი თბილია.*
*გაგზავნეს თბილის ქალაქსა, გაათია ზამთარია.*
*მაშინ ბრძანა პასკევიჩმა, ახლა წავალ ახალციხეს,*
*მაინც მაქ მისი ჯავრია,*
*ამობრძანდა ახალციხეს, მთლად მოაქ მთა და ბარია.*
*ტავშან-თაფაზე[3] მოვიდა, იქ დაასვენა ჯარია,*
*თათრები მაგრა დაუხვდნენ, ტყვია ესროლეს წარია,*
*სალდათებმა დაიძახეს, — ვაი, რა ჩვენი ბრალია,*
*შეეხვეწნენ ყოვლა წმინდას, ავიღოთ წმინდა ჯვარია.*
*მეზარბაზნემ დაიძახა: — ვაი, რა ჩვენი ბრალია,*
*მიდღემჩი არ შერცხვენილა ამ ჩვენი რუსის გვარია,*
*მოუხშირა დარბაზარი, მოუდვა ცეცლის ალია.*
*ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს, ცაში ავიდა ალია,*
*თათრებ შეურცხვათ ნამუსი, გაუღეს ციხის კარია,*
*ნავანების გვერდში გარბის თათრის ქალი თუ რძალია,*
*ზოგი უკაბოდ გარბოდა, ზოგს თავს არ ესხა ჩარია,*
*არსიანიც გადირბინეს, ძლივს მოირჩინეს თავია.*

ასეთი გულმხურვალე ლექსებით ეხმიანებოდნენ ჩვენი წინაპრები თავიანთ განმათავისუფლებლებს.

ვაჟა სამსონიძე

1 სუნგი — ხიშტი;
2 დუნგო — ზანტი, მოუქნელი
3 ტავშან-თაფა — კურდღლის გორა, ე.წ. „ამირანის გორა: ახალციხის საბარგო დასახლების ტერიტორიაზე

# ლეგენდის ჩრდილი

## (ცოტა რამ გელათის მონასტრის სახელწოდების წარმოქმნისა და ცვლილების შესახებ)

◀ დასაწყისი გვ.1

ლიზი გვიჩვენებს, თავდაპირველად, გელათში მთავარი მაინც ე.წ. აკადემიაა. მისი შენობაც გიგანტური ყოფილა: კედლების სიმაღლე 10 მეტრს უდრიდა, სიგრძე – 25,3-ს. ხოლო სიგანე – 10, 3 მეტრს.

გელათის აკადემიაში ასწავლიდნენ არითმეტიკას, მუსიკას, გეომეტრიას, რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ასტრონომიას.

ქართველი ინტელიგენციის აზრით, გელათის მონასტერს უნდა „გაენათლებინა" ქართველები და მათში ცოდნა შეეტანა, რომელიც თურქ-სელჯუკთა შემოსევების შედეგად დაიმცრო, ხოლო 1080 წლიდან, ე.წ., „დიდი თურქობის გამო, უფრო გაქუფრდა.

ცნობილია, რომ იმპერია, იმპერატორი, როგორც ტერმინი, გრამატიკული ტერმინოლოგიისაგანაა წარმოშობილი. გრამატიკულად, ულლებაში, ბრძანებით მიმართვას, ლათინურად „იმპერატივი" ეწოდება და აი ამ გრამატიკული ტერმინის შესაბამისად, თუ მეორე პირს ებრძანება საჭირო ოპერაციის შესრულება, ეს მეორე პირი თვითონ უნდა მოემსახუროს დასახულ მიზანს *(დავით ღამბაშიძე – „გაენათის მონასტერი", ქ.ქუთაისი, 1888 წ. გვ.1).*

დავითის დროინდელ საქართველოს, უპირველესად, ესაჭიროებოდა სწავლა-განათლება. ვიღაცას თავს უნდა ედვა, ვიღაცას უნდა განეფანტა ბურუსი, ვიღაცას უნდა გაენათლებინა უსწავლელობის წყვდიადი. მართალია შუა საუკუნეებში იმდროინდელ ბევრ ქვეყანაში იყო ქართული მწიგნობრული კერები, ზოგი მათგანი წინ უსწრებდა გელათის კვლავ აღდგენას, როგორიცაა **გრიგოლ მაკურიანის** მიერ 1083 წელს ბულგარეთში აგებული, შემდეგში პეტრიწონის სახელით ცნობილი სემინარია-მონასტერი და სხვ., მაგრამ ყველა ისინი საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო, საქართველოში კი ისეთი მონასტრები, რომელნიც კულტურის კერად ითვლებოდნენ (როგორიც იყო ბანა, ოშკი, ხახული, ზარზმა, ხანძთა, ტბეთი, ბოლნისი, იშხანი და სხვანი), ან ქართულ იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდნენ, ანდა, ჟამთა სიავის გამო, ველარ ბრწყინავდნენ.

კულტურის ისეთი კერები, როგორიც გელათისა და იყალთოს აკადემიები იყვნენ, ალბათ, წინათაც არსებობდნენ, მაგრამ მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში იქნენ აღდგენილნი, მათ შორის პირველი გელათი იყო. ასე, რომ, საერთო განათლების მძლავრი ნაკადი გელათიდან უნდა წამოსულიყო, პირველად მას უნდა გაენათებინა წყვდიადი, იგი უნდა „გამხდარიყო ქართველთა შორის ცოდნის გამავრცელებული, განათლების საქმის მესაჭე, გაენათებია ცოდნის საგანძური და სახელად **„გაენათე"** ეწოდა.

თუ ამ სახელწოდებას გრამატიკულად გავშიფრავთ, შემდეგს მივიღებთ: „საქართველოს მაშინდელი საჭეთმპყრობელთაგან ახლად დაარსებულ აკადემიას ებრძანა: „გაენათე"! ე.ი. ლამპრად აენთე და



დავით აღმაშენებლის საფლავი

ქართველებს სწავლა-განათლებისაკენ გზა გაუნათეო". ამიტომაც იყო, რომ მას სახელი „გაენათე" მანამდე შერჩა, ვიდრე აკადემია აქტიურად მოქმედებდა და სწავლა-განათლების საქმე წინა პლანზე იყო წამოწეული.

დღევანდელ გელათს რომ თავდაპირველად „გაენათე" ერქვა, მრავალრიცხოვანი ფაქტებით მტკიცდება. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. ასე მაგალითად:

დავით აღმაშენებლის მოწვევით, საქართველოში ჩამოდის **იოანე პეტრიწი.** ეს ის იოანეა, რომელიც თვით პეტრიწონის სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში და იმდენი ღვაწლი დასდო, რომ სახელიც კი იქაურობის გამო შეერქვა და ბევრი წიგნიც თარგმნა.

ამ მეტად დიდ საქმეში გათვითცნობიერებულ პიროვნებას – იოანე პეტრიწს საუკეთესოდ ეცოდინებოდა, სად იმყოფებოდა და რა ერქვა იმ დაწესებულებას, სადაც ასე ენერგიულად მოღვაწეობდა იგი.

თავის ავტოგრაფში გარკვევით წერს, რომ დავით მერვის მიერ მოალერსებული და მისივე ყურადღებით ყოველმხრივ უზრუნველყოფილი მუშაობს „კელნსა" (ე.ი. ოთახსა) შინა გაენათისასაო.

**ვ.ჩანკვეტაძე** თავის ნაშრომში – „გელათის აკადემიის" მეათე გვერდზე აღნიშნავს: დავით აღმაშენებლის მიერ გელათს ***„ადგილსა ყოვლად მშვენიერსა და უვნებელსა, დაარსებულ იქნა*** მონასტერი, რომელიც შემდეგი სხვადასხვა წყაროებში „ახალი მონასტრის", აგრეთვე „გაენათის მონასტრის" სახელითაცაა ცნობილიო.

მაშასადამე, იქაც ნახმარია სიტყვა „გაენათი".

ამგვარ საკითხებში ღრმად გათვითცნობიერებული **კორნელი კეკელიძე** თავისი ნაშრომის – „ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველი ტომის გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, იქ, სადაც „გაენათე" უწერია, მიუთითებს, – ვნახე გელათიო. ამით იგი „გაენათესა" და „გელათს" შორის სრულ იგივობას უსვამს ხაზს.

კ.კეკელიძე, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი, მოგვიანებით, აკადემიკოსი გახდა და, ცხადია, ამ საკითხში არ შეცდებოდა.

ვისაც გელათის შესახებ ნაშრომი გაუკეთებია, მას ტაძარი თვალითაც არ უნახავს, მონასტრის სახელად „გელათს" ხშირად ხმარობს, ხოლო ვინც გელათის შესახებ ისტორიულ წყაროს შიგ გელათში ქმნიდა, ისინი მონასტრის სახელად ხმარობენ „გაენათს" . ასე უფრო ოფიციალური იყო. მაგალითად: 1894 წელს ჟურნალი „კვალი" მეცამეტე ნომრის მე-15 გვერდზე გელათის შესახებ გამოქვეყნებულ ნარკვევში გვაწვდის (გ.წერეთლის) ცნობას, რომ **იოანე ოქროპირის** სახარების ეტრატზე დაწერილ ქართულ თარგმანზე ყოფილა მისი რედაქტორის მინაწერი. მკითხველს ვთავაზობთ ერთ ამონარიდს:

*„ჩუმგ წელსა ოქტომბრის კგ დღესა მივედი გაენათის მონასტერსა შინა ბრძანებითა ნიკიფორე ეპისკოპოსის, წავიკითხე სახარების თარგმანი.... ნეტარი მას, ვინცა მეთოთხმეტე საუკუნეში უხილავს დიდი საწიგნე გაენათისა ახლა წიგნთა საგანძური გაძარცულიაო".* გელათის სამონასტრო წიგნში, საცავის მარაგიდან, სხვა ადგილებში წიგნების გადატანის შესახებ, აკადემიკოსი მარი ბროსესადმი მიწერილ წერილში, ქუთაისელი დეკანოზი **ნიკოლოზ ქუთათელაძე** აღნიშნავს: *„გაენათის არქივში გუჯრები იყვნენ ჩყკს წლიდან (ე.ი. 1820 წლიდან) აქ ქუთაისის სობორში არიან შემოკრებილ და იმათთან სხვანიცაო" (იხ. „ინსტიტუტ ვოსტოკოვედენია აკადემია ნაუკ სსსრ რუკოპის", შეკვ.N40).*

1904 წლის „ივერია" (N174), აქვეყნებს ცნობას, რომელიც 1895 წელს გელათის მონასტრის გაქურდვას შეეხება. ავტორს, რომელიც გელათში საგანგებოდ ჩავიდა, მოყავს მონასტრის მსახურთა განცხადება, რომ ***„მძარცველის მურდალ ხელს გადაურჩა ისეთი ნივთები, როგორიცაა: იმერეთის მეფეთა დიად ძვირფასი სამეფო გვირგვინი, იმერთა კათალიკოზთა და გაენათელ მიტროპოლიტთა მიტრები (ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს თავსახური) კათალიკოზის მიერ წირვის დროს სახმარი ქოშები, რომელიც ხალხში თამარმეფისეულად არიან ცნობილი".***



გელათის მონასტრის აზრობრივი შედგენილობიდან გამომდინარე, ვგებულობთ, რომ მას უნდა გაენათებინა სწავლისაკენ მიმავალი ბილიკი. სამშობლომ მას უბრძანა, – ხელი შეუწყე, ხალხმა ბნელს თავი დააღწიოსო.

დავით აღმაშენებლის მიერ ქუთაისიდან ანაგებ მონასტერს რომ **„გაენათე"** ერქვა, მტკიცდება კიდევ ერთი საბუთით. ეს არის 1888 წელს ქალაქ ქუთაისში, გამომცემლობა „მწყემსის" სტამბაში დაბეჭდილი წიგნი – *„გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით მეოთხის აღმაშენებლისა".*

დასახელებული წიგნი შეუდგენიათ დეკანოზ დავით ღამბაშიძეს. წიგნის ავტორს მრავალჯერ აქვს დასახელებული გელათის მონასტერი, მათ შორის სახელწოდებად ხან გელათია ნახმარი, ხან გაენათი. ასე განსაჯეთ, წიგნის სატიტულო ფურცელზე წერია **„გაენათის მონასტერი"**, ხოლო წიგნის ტექსტის დაწყების პირველსავე გვერდს სათაურად წამძღვარებული აქვს **„გელათის მონასტერი".**

ამასთანავე, მონასტრის ხსენებისას, ყოველთვის ნახმარია „გაენათი", ხოლო მონასტრის ხსენების სხვა დანარჩენ შემთხვევაში, რომელიც თხრობითი ხასიათისაა, იქ ნახმარია სიტყვა „გელათი".

მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს, სადაც ძირითადად გამოყენებულია სიტყვა „გაენათი", ფრჩხილებში ნაჩვენები ციფრები კი აღნიშნავენ ზემოთ დასახელებული წიგნის გვერდებს.

ავტორი ***„ქ.ქუთაისიდან 8 ვერსის მანძილზე"*** მყოფ მონასტრის შესახებ წერს: ***„სიტყვა გელათი, რომელსაც უწოდებენ ამ მონასტერს, არაფერს ნიშნავს. მონასტრის ნამდვილი სახელი არის „გაენათე" (1).***

დ.ღამბაშიძე გაენათეს ხმარობს იქ, სადაც ავტორი აყენებს კითხვას, როდის და ვისგან არის აღშენებული გაენათეს მონასტერიო. იგი იქვე პასუხობს – ***„გაენათის მონასტერი აღუშენებია მეფე დავით აღმაშენებელსო" (1).***

იგი აქვე აღნიშნავს, რომ ***„ხრამისა და ალგეთის მინდვრებში ძლევამოსილებისა და კახეთის შემოერთების სახსოვრად დავით აღმაშენებელმა აღაშენა გაენათეს მონასტერი" (5).***

ეხება რა მონასტრის მატერიალურ მხარეს, ღამბაშიძე აღნიშნავს: – ***„გაენათის" მონასტერზე მეფენი დიდ მზრუნველობას იჩენენო"*** (5). ***„მათ მომდევნო მეფე-მთავრებმა გაენათის მონასტერი უხვი შეწირულებით გაამდიდრესო"*** (5). იქვე აღნიშნულია, რომ ***„დავითმა შეკრიბა გაენათში ღვთის მოსავნი კაცნი".*** უფრო ქვემოთ კი ნათქვამია, – ***„1109 – 1212 წლებში გაენათის მონასტერი ყვაოდა. მის საერთო სუფრაზე იკრიბებოდა სამასამდე ბერ-მონაზონი"*** (5).

ეხება რა საალმშენებლო მასალას, ავტორი აღნიშნავს: ***„გაენათეს უმთავრესი ტამარის კანკელი ორ-ეტეჟიანია თეთრი თლილი ქვებისაგან"*** (7).

დ. ღამბაშიძე ჩამოთვლის რა მონასტრის ძვირფასეულობას, მეოთხე ნომრით აჩვენებს, რომ ***„გაენათის ღვთისმშობლის ხატი გაკეთებულია მოოქროვილი ვერცხლისაგან. ხატი ძველი დროისაა, მის მორთვაზე უშრომიათ იმერეთის ბევრ მეფეებს"*** (8). იმავე გვერდზე ვკითხულობთ, – ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის ძმებს, სათათრეთთან ომის დროს, გაენათის მონასტრისთვის შეუფარებიათ თავი. აქ მათ მოურთავთ ის კიდობანი, რომელშიც წმინდანთა ნაწილები ყოფილა შენახული.

ამავე ნაშრომის მე-9 გვერდზე 3-ჯერ აქვს ნახსენები „გაენათე", სახელდობრ, ***„აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი დავითს შველოდა, რათა გაენათის ტაძარი აეგოთ ბიჭვინთის მსგავსად. იქ დახატულია დავით, რომელსაც „ხელთ უპყრია გაენათის ეკლესია". დავითის გვერდით დახატულნი არ არიან მისი დიდებულნი წინაპარნი, რადგან მათ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღშენებული გაენათეს ტაძარი".***

1881 წელს არქეოლოგებმა ინახულეს გაენათის მონასტერი. **მურავლიოვის** თქმით, „გაენათში ნახული მთაწმინდელის სახარება არაფრით არ ჩამოუვარდება ბერძნულ წიგნებს, რომელიც მას უნახავს პაპის სასახლის წიგნთსაცავში.

ცალკე განყოფილებაშია ჩამოთვლილი მონასტრის ქონება. აქ გაენათი წერია ოთხჯერ, რომელსაც აქვე წარმოვადგენთ: ***„გაენათის მონასტრის უძრავი ქონება"... „უწმინდელს დროში გაენათის მონასტერს ჰქონდა ბევრი ტყე"***, ***„მათ რიცხვს არ ემატება... ეს გარდა გაენათის მონასტრისა, სხვაგანაც ასევეაო", „გაენათის მონასტერში ამ უკანასკნელ ხანამდე ინახებოდა დავით აღმაშენებლის ცხოვრებისად აღწერა. იგი გაენათის მონასტრიდან მიტროპოლიტ დავითს თავის ძმა გიორგისათვის მიუცია, რომლის შემდეგ იგი აღარა სჩანს. ავტორი ამბობს, რომ ამით ვამთავრებ გაენათის შესანიშნავი მონასტრის აღწერასო"*** (11).

აზუსტებდა რა ადგილმდებარეობას, ღამბაშიძე აღნიშნავს – ***„დავითმა აღაშენა წმინდა გიორგის ეკლესია იმ ადგილას, სადაც დღეს გაენათის სობორიაო".*** გარდა ამისა, ***დავითმა გაენათეს მონასტერთან საავადმყოფო დააარსაო*** (15).

აქვე იგი აღნიშნავს, რომ ***„ანდერძის დაწერის შემდეგ დავითი გარდაიცვალა. მისი გვამი მისმა მოძღვარმა არსენმა მთელი საზოგადოების თანდასწრებით დიდის პატივით მოასვენეს გაენათის მონასტერში და დაასაფლავეს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკლესიაში*** (18).

ავტორი ეხება რა დავითის სხეულებრივ ზვიადობას, აღნიშნავს, რომ ***„გაენათის ტაძრის სალაროში შენახულ ძვირფას ნივთებში არის დავითის ბეჭედიც, რომელშიაც თავისუფლად შედის კაცის ხელის სამი თითი"*** (19).

აღწერს რა დავითის სურათს, ღამბაშიძე, სხვათა შორის, უჩვენებს, რომ მას „მარჯვენა ხელში უკავია გაენათეს ტაძარი... ამ სახით დავითი იხატებოდა იმ ეკლესიების კედლებზე, რომელნიც აშენებულან დავითის დროს, ასევეა გაენათის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეც.

ისტორიის ჩარხი ბრუნვას განაგრძობდა... დადგა დრო, როდესაც გელათი აღარ იყო მანათობელი. ამის შემდეგ მის სახელწოდებაშიც ჯერ ასო **„ა"** გაქრა, იმ დროინდელი ცნობილი პირები ნაცვლად **„გაენათელისა"** უკვე **„გენათელად"** იხსენიებიან:

ასე მაგალითად:

1). გელათის მონასტრის მთლიან ანსამბლში რამდენიმე ნაგებობაა. აქედან ზოგს მინაშენებს ეძახიან. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს „მინაშენი", იგი ოთხ განყოფილებიანია. კარიბჭეში, ჩრდილოეთის კარების თაღზე, ახლაც შემონახულია წარწერა: ***„ჰოი, ასულო სიონისაო, ნაყოფო იოვაკიმესიო, სურნელებავ სამოთხისაო, წმინდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე სული ანტონ გენათელის მღვდელთ მთავარ ეპიზკოპოზისა".***

2). იმავე მინაშენის კარიბჭეს სამხრეთის მხარესაც გაირჩევა წარწერა ***„მაწყვერელმან და აწ გენათელ მთავარ ეპიზკოპოსმან ანტონი დავხატე კარიბჭეს ესე ჩემთა სულის საუხად".*** ეს ის ანტონია, რომელიც ჯერ მესხეთში, ახლანდელი სოფელ აწყურის საეპისკოპოსოში განთქმული იყო, მაგრამ, ჟამთა სიავემ. ისიც დააკნინა და მისი ეპისკოპოსიც, რომელიც, თავის წინაპართა მსგავსად, „მაწყვერლის" ტიტულს ატარებდა, დასავლეთ საქართველოში გადადის და 1565 წლიდან კათედრას იკავებს.

3). მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში, რომელიც ჩრდილოეთ მინაშენის პირველ განყოფილებას წარმოადგენს, ჩრდილოეთისავე კედელზე არის ფრესკა წარწერით: „ბატონიშვილი გენათელი სვიმონი"! იქვე მის წინ არის მისი საფლავიც. ეს ის სვიმონ გენათელია, რომელიც ისტორიოგრაფიაში „სვიმონ გენათელ ეპისკოპოსად არის ცნობილი. მინაშენის მესამე განყოფილებაში, რომლის კედლები მე-17 საუკუნეში მოუხატინებიათ, მის ჩრდილოეთ კედელზე იკითხება: **„გენათელი ზაქარია ქვარიანი".**

4).მე-17 საუკუნის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის **გედეონ ლორთქიფანიძე** იხსენიება. 1669 წელს მეფემ იგი ელჩად გაგზავნა რუსეთში. იქ მან შვიდი წელი დაჰყო. გედენს გაენათის მონასტერში ხანგრძლივად ეკავა ეპისკოპოსის თანამდებობა და აქვე მიიცვალა 1682 წელს.

5). ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადი წყარო „ქართლის ცხოვრებაა". სხვა ავტორთან ან გადამწერთან იგი განსხვავებული სახელწოდებითაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ისინი ხან ურთიერთ შევსებას წარმოადგენენ, ხან გაგრძელებას, ზოგჯერ კი განმეორებასაც.

რიგი საკითხების გადმოცემისას, „ქართლის ცხოვრება" მეტად უტყუარი და სანდო წყაროა. აქ საინტერესოდაა წარმოდგენილი ეკლესია-მონასტრების თაობაზეც. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ისეთი მაგალითის მოყვანით შემოვიფარგებით, სადაც უშუალოდ „გენათე" არის დასახელებული. ასე მაგალითად: – **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით – „ქართლის ცხოვრების" მე-2 ტომში, 643-ე გვერდის მეორე სვეტში დასახელებულია გენათეს მოძღვარი **ილარიონი** და ამავე ტაძრის ეპისკოპოსი **მელიქსედეკ საყვარელიძე.**

უფრო ვრცლადაა ნათქვამი 487-ე გვერდზე: ***„ქორონიკონსა რჟგ: დიდისა მონასტრისა გენათისა წინამძღვარი მანასე მიიცვალა"***, ანდა კიდევ, იმავე გვერდზე ***„ქორონიკონსა რჟზ: აიღო გორი ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისამან, თვესა აგვისტოს 6 ამავე წელსა ქუთაისს. თათარნი მოვიდნენ და დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ".***

„ქართლის ცხოვრებისავე" 493-ე გვერდზე – ***„რომ ქორონიკონსა ს8 მიიცვალა ილარიონ პატრონი, თვესა მაისსა 6"...*** უფრო ქვევით კი წერია: ***„ქორონიკონსა სიზ მეფემან ბაგრატ გაჰყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ დიდისა ცათა მიბაძვისა საყდრისა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოსად დააყანე მელიქსედეკ საყვარელიძე";***

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ მგონი ესეც საკმარისია. ერთს კი ვიტყვით, სახელწოდებაში ერთი ასოს, სახელდობრ **„ა"**-ს ამოვარდნა არ არღვევს მისი სახელის პირველ სიმბოლიკას, ცვლის მხოლოდ დროის ფაქტორს და წარმოადგენს მომხდარ ამბებთან დაკავშირებულ თავისებურ რელიაციას. სიტყვა „გაენათე" თითქოს უბრძანებს **მომავალში გაენათეო**, ხოლო სიტყვა „გენათე", თითქოს ანგარიშის ჩაბარებაა – **დავალება შევასრულე უკვე გენათეო.** აქ ორივე სიტყვა ***სამშობლოსათვის გზის მანათობლად ყოფნას გულისხმობს,*** ხოლო დროთა ცვლას მოყოლილმა ჟამთა სიავემ გაენათში სწავლა-განათლების საქმე – სწავლა შეასუსტა, დააჩანაკა, უკანა პლანზე გადასწია. ამასობაში გელათში მონასტრულმა ყოფამ პრივილიგებული როლი მიისაკუთრა. აკადემიაში სწავლა შეწყდა, ხოლო თვით სასწავლო დარბაზი ჯერ ბერების სასადილო ოთახად გადაიქცა, მერე კი დაინგრა კიდეც.

სახელწოდება „გაენათესაც" აზრობრივი შინაარსი თანდათანობით გამოეცვალა.

ეს ცვლილება მას ფონეტიკურად ასე შეეცვალა: სიტყვა „გაენათეში" ასო **„ნ"**-ს ადგილი ასო **„ლ"**-მ დაიკავა, ხოლო ბოლო ასო **„ე"** ასო **„ი"**-თი შიცვალა და **ნაცვლად „გენათესი" მივიღეთ გელათი.**

*1963 წელი*



*ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯავახეთში მოღვაწე ახალგაზრდა ფოლკლორისტის **გიორგი გოგოლაძის** სახელი, რომლის მიერ ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტები არაერთხელ შევთავაზეთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს, რომელიც მოვიძიეთ სხვადასხვა მუზეუმებსა და ფოლკლორულ ცენტრებში.*

*ვაგრძელებთ მის მიერ 1937 წელს ჯავახეთში ჩაწერილ სხვა მასალების ბეჭდვას, რომელიც დავანებულია ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში და მოგვაწოდა ამავე მუზეუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა **გრიგოლ (გრიშა) ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩმა**, რაზედაც დიდ მადლობას ვუხდით.*

## ცოდვა და მადლი

ვიტყვი და ვიტყვი, შეიძლება,
თუ არ ვიტყვი არ იქნება
დედის ავად მოკიდება
შვილისაგან არ იქნება!
ვიცი, ზოგიერთი შვილი
დედას წიხლით ზედ შედგება,
მამას გარეთ გამოაგდებს:
„წადი, თვალიმც დაგიდგება“!
სადაც წავა ანუგეშებს,
ბედის წერა წინ დახვდება,
ბეწვის ხიდი ვიწრო არის,
ცოდვიანს არ გაესვლება.
მადლიანი რომ შედგება
ბოგირ-ხიდად ეჩვენება,
ცოდვიანი რო შედგება
მოწყდება და ჩავარდება.
ცოდვა-მადლი წიგნს ასწონის,
საით უფრო დამძიმდება,
ერთი წლის სავალ გზაზედა
ეკალ-უკალი ჰფენია,
დგას კუპრიელის ქვევრია
გარს უკიდია გენია,
ამხანაგის მოღალატეს
შიგ უდევს ენის წვერია
ნათლიისა შემცოდესა
გამოსჭრიან სამწვადესა,
გაუხვრეტენ ენის წვერსა,
შიგ უყრიან წითელ გველსა,
დედა ობლების გამშვები
ეფარება კაცის მკვლელსა,
უბეში უსხედს გველები:
ეხვევიან ძუძუებსა.

***

სიმხიარულე გიხდება
სიცილი ლაზათიანი,
მინახამს შენი გვირგვინი:
წითელი ლალის ფრთიანი,
უკან მაყრები მოგდევდნენ
თოფიანი და ხმლიანი.
მე უკან მივჩანჩალებდე
ჩემი სტვირ ქამანჩიანი,
ფულები ბევრი ამეღოს:
ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი.

***

მეგრელის ქალსა შევყვარდი,
არაყს მასმევდა დილითა,
ახლა მეც ხელი შეუწყე:
ყველს უზიდამდი პინითა.
ურიას ქალმა დამწყევლა:
სულ ამოიღო ძირითა,
მერე მეცხვერემ დასწყევლა
თავის ცოდვილის პირითა:
ლამაზო, ქმარი მოგიკვდეს,
თავს დასტიროდე დილითა,
მეც ასე ჩამოვიარო
ამ ჩემი ჭრელი სტვირითა.
დავკაზმო ბედაურები,
სულ ოქროს უნაგირითა,
მე კიდევ ხელი ჩაგავლო,
წამოგიყვანო ლხინითა.
ღმერთმა ისე გადღეგრძელოს:
როგორც აბრამი და სარა,
დილომი სახნავად მოგცეს,
წილკანში აგელოს ღალა.
შვიდი ფარა ცხვარი მოგცეს,
დასათვლელად ისიც კმარა.

***

სადილობამდი, სამხრამდი
დავით აიღო ქალაქი,
თუ ძროხა არ მოიწველოს,
სიდან იქნება კარაქი?

***

ოქრო, ოქროს აუწონე,
მარგალიტი მინასაო,
ჩემი თავი ენაცვალოს
ჩემს პატარა სვინასაო.

***

ამ ბაღჩას წყალი დაუგდე,
დეესხენ, დე იდინოსა,
ახალსა შეყრილ მიჯნურსა,
დეესხენ დაეძინოსა.[1]

***

ბაღჩაშია გადვიხედე,
გატეხილი ცულისთვინა,
გოგოვ, ერთი მაკოცნინე
მამაშენის სულისთვინა.

***

სიკვდილმა უთხრა ჭაბუკსა:
„რა ხელს მოგცემს ჩემი ბრძოლა?!
იმისთანა ქამანდს გესვრი,
შიშით გახდე მუშტის ტოლა,
ისეთ მიჯნურს მოგაშორამ,
ვით შეკრული ვარდის კონა“.

## პატარძალი

იველაანთ ქალი ვიყავ,
გორანაანთ პატარძალი,
საკიდები დავკარგევით
საძებნელად წასვლა არი,
ნიჯგორშია რომ ჩაველი,
შემხვდა კაცი უცხო გვარი,
მე ჩვენებური მეგონა
თურმე იყო აფიცერი,
ცხენით ახლო გამიარა,
გამიცინა, მიყო თვალი,
იმას იქვე გაჰბარცამდა[2]
ყოფილიყო ჩემი ქმარი,
დედამთილი მამეშველა,
მაშინ დამანება თავი.

## შაქშეთი რომ აიღეს

შაქშეთი რომ აიღეს
იყო ორშაფათ დილაო,
ქალები ბევრი წაასხეს,
მარიამი და თინაო,
ახალციხეს გადიყვანეს,
მტრის სარდლებს ჩაეძინაო,
ერთ ტყვეს ვაჟკაცსა გმირიძეს
ულვაშებში ჩაეცინაო,
მიწყვიტ-მოწყვიტეს ჯაჭვები,
ყველა ტყვეს მოელხინაო,
მტრების იარაღს აიღებს
იერიში მიიტანაო.
თითო მოქნევით სამ-სამსა
კუწავდა როგორც ჩალაო,
რაც იმათ დღე დააყენა
ის სხვებისთვისაც კმარაო.

***

ჰოი, შენ კი გენაცვალე,
შენ ბასრი ხანჯალ-ხმალისა,
წვერ-ულვაშით შემკობილხარ
ჯერ არა ხარ ოცი წლისა,
გიყვარს შენი ქვეყანა,
გამწყვეტი ხარ მისი მტრისა.

## ზოგიერთი ბრიყვი კაცი

ზოგიერთი ბრიყვი კაცი,
ცოლის სიტყვით ძმას ეყრება,
ამის შემდეგ იმ საცოლეს
რა კეთილი დაეყრება?
ძმა მაშინ მოაგონდება
როცა ყანას უწყებს მკასა,
მამკითხავი იმას არ ჰყამს.
რაც მოთიბა, მიაქვს ქარსა,
ცოლი ქალბატონი არის,
არსად შველის თავის ქმარსა,
ჩაიცვამს ფარჩის კაბებსა,
კოპით დაიხურამს თავსა.
კოხტათ გაივლ-გამოივლის
ბიჭებს მოაწონებს თავსა.

***

ნაღველისა სმა სჯობია
შხამიან თაფლის სმასაო,
სჯობს, მშობელმა შვას ლეკვები,
იმ უნამუსო ქალსაო.

## ციციშვილი

გამარჯვებულსა ციციშვილს
ერთი რამე ჯავრი აქო,
ყარსის ციხე არ მინახამს:
მინდა თვალით დავინახო,
ყეენმა შემოუთვალა:
„ყარსთან ტყვილად ხელი გაქო
თუ ყბედობას არ მოიშლი,
ზარბაზნებიც ბევრი მაქო,
მაგრამ შენსავით არა ვარ,
რომ წინადვე დავიბაქო (?).

***ახალციხის სახელმწიფო მუზეუმი. გიორგი გოგოლაძის ხელნაწერთა ფონდი N 87***

1 სოფ. ხიზაბავრაში წესი აქვთ, რომ ახალგაზრდა და მასთან ტოლიანიც ვაჟი თუ გარდაიცვალა, დატირებაზე ამ ლექსს ამბობენ.
2 ე.ი. მოჰკლამდაო. სოფ. სარო - ჯავახეთშია.

# წიგნის წარდგენა




ბოლო რამდენიმე წელია ახალციხის რაიონულ ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება, რაც ძირითადად ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის საქმისკენაა მიმართული. ჩვენი გაზეთის მკითხველები არაერთხელ გაეცნენ აქ გამართულ ღონისძიებებზე საგაზეთო მასალებს და რაოდენ სასიამოვნოა, რომ დამსწრეთა რაოდენობა მსგავს შეხვედრებზე ყოველთვის საგრძნობლად მატულობს.

სულ ახლახან, ამავე ბიბლიოთეკაში, კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ღონისძიების მოწმენი გავხდით. მისმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ლილი აჩელაშვილმა** საზოგადოებას წარუდგინა ქალაქ გორში მოღვაწე ცნობილი პოეტისა და გამომცემლის **დავით ახლოურის** რადაქტორობით გამოცემული – თანამედროვე ქართული პოეზიის მრავალტომეულის – **„მზის არილის“** 330 გვერდიანი მე-19-ე ტომი, სადაც შესულია ოთხი ავტორი.

ბატონი დავითი ფართო დიაპაზონის შემოქმედია, იგი ათზე მეტი წიგნის ავტორი, გაზეთისა და ჟურნალის რედაქტორი და, ამავდროულად, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

დავით ახლოურის შემოქმედებას ჩვენი გაზეთის მკითხველებიც რამდენჯერმე გაეცნო და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ პოეტებსა და მწერლებს ჩვენს „ეროვნულ, სამშობლოს სიყვარულში თავგადამკვდარ“ ტელევიზიებში იშვიათზე იშვიათად თუ შევხვდებით და, ვინ იცის, რამდენი ასეთი დიდებული ადამიანის გამომზეურება, რარიგად წაადგებოდა ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი იდეალებით აღზრდისათვის.

აღნიშნულ ტომში შესულმა ავტორებმა, რომლებიც ასევე მოწვეულები იყვნენ წიგნის წარდგინებაზე, წაიკითხეს თავიანთი შემოქმედების ნიმუშები.

წიგნის შეფასებისას მოსაზრებები გამოთქვეს და მომავალი წარმატებები უსურვეს რედაქტორ-გამომცემელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ,** პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ქეთევან მეშველაძემ,** ქალაქ ახალციხის მერის მოადგილემ **გურამ მელიქიძემ,** გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ,** სახალხო მთქმელმა **ვასილ კვინცხაძემ,** ბიზნესმენმა **ვლადიმერ ზედგინიძემ,** პედაგოგმა **სოსო გიქოშვილმა,** მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა **ზაზა თამარაშვილმა,** ახალციხის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრატორმა **შალვა ტაბატაძემ** და სხვებმა. მოწვეული სტუმრები და დამსწრე საზოგადოება დალოცა **მამა სტეფანემ,** ხოლო **მამა გიორგიმ** წაიკითხა დედამისის ლექსი, რომელიც ამ ტომშია შესული და დიდი წვლილი შეიტანა მის გამოცემაში.

წიგნის წარდგინებისას ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ბატონ დავით ახლოურის მიმართ, იმედი გამოთქვეს, რომ ანალოგიური შეხვედრები მოვალშიც დაიგეგმება.

ავთანდილ მესხი

## შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მე-12-ე გვერდზე, წერილში – „კონკურსი ესსეებში“, – გამარჯვებული კონკურსანტის სალომე გიორგაძის სურათის ნაცვლად დაიბეჭდა სხვისი სურათი, რაზეც გაზეთის რედაქცია ბოდიშს უხდის მას.



სალომე გიორგაძის

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**; **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

